Bl:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AU2040,AUS429,AUS419,D421,DE1735,F1240,F1342,F1423,FR1820,FR1944,GB434,GB1623,IE341,ES516,NL930/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8,9US

- აისბერგის ტიპის სალათი, მედეგია ფოთლების ამწვრობების და მინისებურობისადმი.
- რეკომენდებულია გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე ღია გრუნტში მოყვანა.
- მცენარე ივითარებს კომპაქტურ თავს (ზომით უფრო პატარა ვიდრე დიამანტინასი), გამოირჩევა ერთგვაროვნობით მთელი ვეგეტაციის განმავლობაში.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის, სალათის მწვანე ბუგრის და სალათის ფესვის ბუგრის მიმართ.



იკებანასი / Ikebanas RZ

ბრუმა / Bruma RZ

- აისბერგის ტიპის სალათის ჯიში, რომელსაც ახასიათებს ძალიან ნელი აღერების ტემპი, ამიტომ რეკომენდებულია ცხელ კლიმატურ პირობებში მოყვანა.
- შესაძლებელია ჰიდროპონიკაზე კულტივირება.
- მცენარე ივითარებს მწვანე ფერის თავს, რომელიც თანაბრად შევსებულია, აქვს დიდი და მრავალფოთლოვანი როზეტი.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის მიმართ.

ფინლანდია / Finlandia RZ

HR Bl:16-36EU

Bl:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AU2040,AUS429,AUS419,D421,DE1735,F1240,F1342,F1423,FR1820,FR1944,GB434,GB1623,IE341,ES516,NL930/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8,9US

სიახლე!

- აისბერგის ტიპის სალათის ახალი ჯიში, რეკომენდებულია გვიან შემოდგომაზე და ზამთარში მოყვანა (რეგიონებში სადაც შედარებით რბილი კლიმატია).
- თავი დიდი ზომისაა, მუქი მწვანე შეფერილობის, თავს იფორმირებს ნელა, ამიტომ მოსავლის აღების პროცესი გაზანგრძლივებულია.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის მიმართ.
- საშუალოდ მედეგია სალათის მოზაიკის ვირუსის მიმართ.



სუმარნასი / Sumarnas RZ

სუმარნასი / Sumarnas RZ

HR Bl:16-36EU/Nr:0

Bl:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AUS429,AUS419,D421,DE1735,F1240,F1342,F1423,FR1820,FR1944,GB434,GB1623,IE341,ES516,NL930/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8,9US

- აისბერგის ტიპის სალათის ჯიში ღია გრუნტში მოსაყვანად (საადრეო მოსავლისათვის შესაძლებელია დროებითი პოლიეთილენის გადახურვით მოყვანა).
- მედეგია ფოთლების კიდეების ამწვრობების მიმართ.
- რეკომენდებულია საადრეო ვადებში გადარგვა.
- ძლიერ მედეგია სალათის მწვანე ბუგრის და ჭრაქის მიმართ.

სულმარინასი / Salmarinas RZ

HR Pb/Bl:16-36EU/Nr:0Bl:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AU2040,AUS419,D421,DE1735,F1240,F1342,F1423,FR1820,FR1944,GB434,GB1623,IE341,ES516,NL930,PT2036/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8,9US

- აისბერგის ტიპის სალათის ჯიში, რომელსაც ახასიათებს მედეგობის ფართე სპექტრი (აყოჩება, დაავადებები და სხვ.).
- განუთვნილია გვიან გაზაფხულზე და ადრეულ შემოდგომაზე გადარგვისათვის.
- გამოდგება ინტენსიური აგროტექნოლოგიისათვის.
- ჯიში ხასიათდება ძალიან ნელი აღერებით.
- თავი დიდია და კარგად, ერთგვაროვნად ფორმირებული.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის, სალათის მწვანე ბუგრის და სალათის ფესვის ბუგრის მიმართ.



სულმარინასი / Salmarinas RZ



სალათი აისბერგი



რუბეტე / Rubette RZ

რუბეტე / Rubette RZ

HR Bl:16,21,23,32EU

Bl:US1612,USA522,USA927,DE1735/

Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6US

- საადრეო, მალმწიფადი აისბერგის ტიპის უნივერსალური სალათის ჯიში, რომელიც განკუთვნილია ზე-საადრეო მოსავლის მისაღებად.
- მცენარე ივითარებს საშუალო ზომის თავს.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის მიმართ.
- საშუალოდ მედეგია სალათის მოზაიკის ვირუსის მიმართ.

სანტარინასი / Santarinas RZ

HR Pb/Bl:16-26,31,32EU/Nr:0

Bl:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AU2040,A

US429,AUS419,DE1735,F1423/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/

Bl:5,6,7,8,9US

- აისბერგის ტიპის სალათის ჯიში (საშუალო ზომის სეგმენტში), მედეგია თავების დასკდომის მიმართ და ზაფხულის ცხელ პირობებში აქვს აღერებისადმი ძლიერი მედეგობა.
- მოყვანა შესაძლებელია ღია გრუნტში, ზაფხულის სეზონზე.
- მცენარე თავს იფორმირებს შედარებით ნელა, ამიტომ მოსავლის აღების პროცესი გახანგრძლივებულია.
- თავი სიმეტრიულია, მობრტყო-მრგვალი ფორმით (აქვს მოკლე შიდა მურკა), კარგად იფუთება და მოსახერხებელია საწარმოო გადამუშავებისთვის.
- დარგვის რეკომენდებული ვადები: აპრილის შუა - ივლისის შუა რიცხვები.
- ძლიერ მედეგია, სალათის მწვანე ბუგრის და სალათის ფესვის ბუგრის მიმართ.



სანტარინასი / Santarinas RZ



ტოსკანასი / Toscanas RZ

HR Bl:16-23,25,31,32EU/Nr:0/Pb

Bl:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AU2040,AUS419,DE1735/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,8,9US

- აისბერგის ტიპის სალათის ჯიშში, რომელიც ხასიათდება სტაბილური მოსავლით და რეკომენდებულია ადრე გაზაფხულზე ღია გრუნტში მოყვანა.
- თავი დიდი ზომისაა და კარგად ფორმირებული.
- მცენარე დიდი ზომისაა და მუქი მწვანე ფერით.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის, სალათის მწვანე ბუგრის და სალათის ფესვის ბუგრის მიმართ.

სიბერინასი / Siberinas RZ

HR Bl:16-26,31,32EU/Nr:0/Pb

Bl:16-26,31,32EU/Nr:0/Pb

Bl:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AU2040,AUS429,AUS419,DE1735,F1423/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8,9US

სიახლე!

- საადრეო მოსავლის აისბერგის ტიპის სალათის ჯიშში, რომელიც დაბალი ტემპერატურის პირობებშიც კარგად ვითარდება, ამიტომ მოყვანა რეკომენდებულია ზამთრის პერიოდში.
- თავი მუქი მწვანე ფერისაა, მრგვალია და მძიმე.
- მცენარე ხასიათდება დიდი ფოთლების როზეტით, რომელიც იცავს მას სიცივისგან.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის, სალათის მწვანე ბუგრის და სალათის ფესვის ბუგრის მიმართ.





ხრაშუნა სალათები



ლალიქე / Lalique RZ

ლალიქე / Lalique RZ

HR Bl:16-26,32EU

Bl:US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AUS429,DE1735,F1423/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8,9US

- მუქი მწვანე ფოთლოვანი აისბერგის ტიპის სალათის ჯიშში, რომელიც კომპანია «რიც ცვანის» პროდუქციის «კრისტალის» (Crystal) ასორტიმენტიდანაა წარმოდგენილი.
- ძლიერ მედეგია ნეკროზების (შიდა, გარე) და აყოჩების (აყვავილების) მიმართ.
- რეკომენდებულია აგროტექნოლოგიის ფართე დიაპაზონისათვის, ასევე სუზონურად ან მთელი წლის განმავლობაში მოყვანა.
- განკუთვნილია ღია გრუნტში, პოლიეთილენის სათბურებში და ჰიდროპონიკისათვის.
- მცენარე ივითარებს დიდი როდენობით ფოთლებს, რომლებიც ზაფხულის ცხელ პირობებში უძლებენ ჩახვევას და დახეთქვას.
- როზეტი კომპაქტური და მკვრივია, ხოლო ფოთლები ბზინვარეა, ოდნავ ტალღოვანი კიდეებით, ხრაშუნა და ტკბილია.
- გამოიყენება სხვადასხვა სალათების მოსამზადებლად, ასევე სენდვიჩების და ბურგერებისთვის.
- მედეგია ჭრაქის და სალათის მოზაიკის ვირუსისადმი.

ეკზაქტი / Exact RZ

HR Bl:16-27,30-32EU

Bl:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AUS429,AUS419,D421,DE1735,F1423,NL930/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8,9US

- ღია მწვანე ფერის «ხრაშუნა ფრიზე», რომელიც მედეგია აყოჩების (აყვავილების) მიმართ.
- ხასიათდება ზრდა-განვითარების სწრაფი ტემპით
- რეკომენდებულია ღია გრუნტში მოყვანა (მათ შორის არახელსაყრელი მოვლა-მოყვანის პირობები).
- როზეტი დიდი ზომისაა და მასიური, ვერტიკალურად მდგომარე ფოთლებით.
- ფოთლები ძლიერ დასერილია, ბზინვარე და ტკბილია; კარგად ინახება.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის მიმართ.
- საშუალოდ მედეგია სალათის მოზაიკის ვირუსის მიმართ.



ეკზაქტი / Exact RZ



ექსფაილსი / Exfiles RZ

HR Bl:16-34,36EU/Nr:0

Bl:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AUS 429,AUS419,D421,DE1735,F1240,F1342,F1423,GB434,GB 1623,IE341,ES516,NL930/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/ Bl:5,6,7,8,9US

- ღია მწვანე ფერის «ხრაშუნა ფრიზე», რომელიც ხასიათდება ზრდა-განვითარების სწრაფი ტემპით და განკუთვნილია ღია გრუნტში მოყვანისათვის.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის და სალათის მწვანე ბუგრის მიმართ.



ექსფაილსი / Exfiles RZ



ტრიპლექსი / Triplex RZ

ტრიპლექსი / Triplex RZ

HR Bl:16-30,32,33EU/Nr:0

Bl:US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AUS 429,DE1735,F1342,F1423,GB434,GB1623,NL930/ Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8,9US

- მუქი წითელი ფერის «ხრაშუნა ფრიზე», რომლის მოყვანა რეკომენდებულია ღია და დახურულ გრუნტში.
- ფოთლები ხრაშუნაა და კარგად ინახება მოსავლის აღების შემდეგ.



ფოთლოვანი სალათები



ლოკარნო / Locarno RZ

HR Bl:16,21,23,32EU

Bl:US1612,USA522,USA927,DE1735/

Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6US

- ლოლო ბიონდას ტიპის (Lollo bionda), მაღალმოსავლიანი ღია მწვანე ფერის სალათი, რომელიც ხასიათდება ძლიერი გამძლეობით აყოჩების (აყვავილების) მიმართ, ცხელი კლიმატური პირობების დროს.
- რეკომენდებულია ღია გრუნტში, მთელი სეზონის განმავლობაში მოყვანა.
- როზეტი დიდი და ერთგვაროვანად ფორმირებული.
- ფოთლის ფირფიტის კიდეები ტალღოვანია და გაჭრილი.
- გამძლეა ჭრაქის მიმართ.



ლოკარნო / Locarno RZ




ლევისტრო / Levistro RZ

ლევისტრო / Levistro RZ

HR Bl:16-23,25,31,32EU/Pb

Bl:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AU2040,AUS 419,DE1735/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,8,9US

- ლოლო ბიონდას ტიპის (Lollo bionda) მწვანე ფერის ფოთლოვანი სალათი, დიდი მოცულობის და მასის ფოთლებით.
- რეკომენდებულია მთელი სეზონის განმავლობაში მოყვანა, ღია გრუნტსა და პოლიეთილენის სათბურებში.
- ჯიში ხასიათდება არახელსაყრელი კლიმატური ფაქტორების მიმართ კარგი შემგუებლობის და სწრაფი განვითარების უნარით.
- შესაძლებელია ნედლად რეალიზაცია(მთელი მცენარეები ან განცალკევებული ფოთლების სახით).
- ფოთლები ლამაზია, ელვარე, მკვრივი და მოკრეფის შემდგომ დიდხანს ინახებიან.
- როზეტი კარგად იხურება ქვევიდან.
- გამძლეა ჭრაქის, სალათის ფესვის ბუგრის და სალათის მოზაიკის ვირუსის მიმართ.



ლანდაუ / Landau RZ

ლანდაუ / Landau RZ

HR Bl:16-34,36EU/Nr:0

Bl:US1612,USA927,USA841,USA541,AUS429,DE1735,F1240,F1342,F1423,GB434,GB1623,IE341,ES516,NL930/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8,9US

- ლოლო ბიონდას ტიპის (Lollo bionda), დიდი ზომის მუქი მწვანე სალათი, რომელიც გამძლეა ნეკროზების და აყორების (აყვავილების) მიმართ.
- რეკომენდებულია გაზაფხულიდან შემოდგომის ჩათვლით მოყვანა, ღია გრუნტსა და პოლიეთილენის სათბურებში.
- ჯიში ხასიათდება სწრაფი ზრდის ტემპით და მცენარის დიდი მასით.
- შესაძლებელია ნედლად რეალიზაცია (მთელი მცენარეები ან განცალკევებული ფოთლების სახით).
- ფოთლები ელვარა და მკვრივი.
- გამძლეა ჭრაქის, სალათის მწვანე ბუგრის და სალათის მოზაიკის ვირუსის მიმართ.



ლუნგავილა / Lungavilla RZ

HR Bl:16-34,36EU/Nr:0/Pb

Bl:US1612,USA927,USA841,USA541,AUS429,DE1735,F1240,F1342,F1423,GB434,GB1623,IE341,ES516,NL930/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8,9US

- ლოლო ბიონდას ტიპის (Lollo bionda) სალათის ჯიში, ხასიათდება სწრაფი ზრდის ტემპით და რეკომენდებულია მისი მოყვანა ღია გრუნტში.
- თავი გასწორებულია, მძიმე და დიდხანს ინახება მოსავლის აღების შემდეგ.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის, სალათის მწვანე ბუგრის, სალათის ფესვების ბუგრის მიმართ.
- საშუალოდ მედეგია სალათის მოზაიკის ვირუსის მიმართ.



ლუნგავილა / Lungavilla RZ



ფოთლოვანი სალათები



ლოზანო / Lozano RZ

ლოზანო / Lozano RZ

HR Bl:16-33EU/Nr:0

Bl:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AU2040,AU
S429,AUS419,D421,DE1735,F1342,F1423,GB434,GB1623,NL930/
Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8,9US

- ლოლო ბიონდას ტიპის (Lollo bionda) ახალი ჯიშის სალათი, რომლის მოყვანა რეკომენდებულია შემოდგომით, ზამთარსა და გაზაფხულზე; პოლიეთილენის სათბურებში, როგორც ნიადაგში, ასევე ჰიდროპონიკით.
- ფოთლები ზომიერი მწვანე ფერისა, წვრილად გაჭრილი, გასერილი ბოლოებით.
- გამძლეა ჭრაქის და სალათის მწვანე ბუგრის მიმართ.

ლუგანო / Lugano RZ

HR Bl:16,21,23,32EU

Bl:US1612,USA522,USA927,DE1735/

Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6US/Fol:race 4

- ლოლო ბიონდას ტიპის (Lollo bionda) ახალი ჯიშის სალათი, რომელიც მედეგია აღერების, რეზისტენტულია შიდა ამწვრობებისა და ძარღვების გაყვანისფერების მიმართ.
- შესაძლებელია მოყვანა მთელი სეზონის განმავლობაში, პოლიეთილენის სათბურებსა და ღია გრუნტში.
- ეს სალათი ერთ ერთი საუკეთესო ჯიშია ჰიდროპონიკაზე მოყვანისათვის.
- ფოთლები ნაჯერი მწვანე ფერისაა.
- მცენარე არის მძლავრი და ხასიათდება ძლიერი ფესვთა სისტემით.
- გამძლეა ჭრაქის მიმართ.



ლუგანო / Lugano RZ



ლიმეირა / Limeira RZ

HR Bl:16-36EU

Bl:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AU2040,AUS429,AUS419,D421,DE1735,F1240,F1342,F1423,FR1820,FR1944,GB434,GB1623,IE341,ES516,NL930,PT2036/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8,9US/Fol:race 4

- ლოლო ბიონდას ტიპის (Lollo bionda) სალათის ჯიშის, რომლის მოყვანა რეკომენდებულია შემოდგომასა და გაზაფხულზე დახურულ გრუნტში. თავები ძალიან ლამაზია, კომპაქტური ფორმის, კარგად იფუთებიან ტრანსპორტირებისთვის.
- ფოთლები არშინანია, სქელი და ძლიერი, ქვემოდან ძალიან იშვიათად ყვითლდებიან.
- აქვს ძლიერი მედეგობა ჭრაქის მიმართ.



ლიმეირა / Limeira RZ

ლინარო / Linaro RZ

HR Bl:16-30,32,33EU/Nr:0

Bl:US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AUS429,DE1735,F1342,F1423,GB434,GB1623,NL930/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8,9US

- ლოლო ბიონდას ტიპის (Lollo bionda) ღია-მწვანე ფერის სალათი, რომელიც გამძლეა კიდეების ამწვრობის მიმართ, რეკომენდებულია ღია გრუნტში და პოლიეთილენის სათურში მოყვანა.
- მცენარე ივითარებს დიდ თავებს სიცხეში და მაღალი შეფარდებითი ტენიანობის პირობებში. ძლიერ მედეგია ჭრაქის და სალათის მწვანე ბუგრის მიმართ.
- საშუალოდ მედეგია სალათის მოზაიკის ვირუსის მიმართ.



ლინარო / Linaro RZ

ფოთლოვანი სალათები

ალეპო / Aleppo RZ

HR Bl:16-30,32,33EU/Nr:0

Bl:US1612,USA522,USA927,USA541,AUS429,DE1735,F1342,GB434,GB1623,NL930/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8US

- ლოლო ბიონდას ტიპის (Lollo bionda) სალათის ტიპი, აყორების, აღერების და შიდა ამწვრობების მიმართ მაღალი მედეგობით.
- რეკომენდებულია მთელი სეზონის განმავლობაში კულტივირება, როგორც ღია, ასევე დახურულ გრუნტში.
- ფოთლები ღია მწვანე ფერისაა, მცირედ დახუჭუჭებული.
- გამძლეა ჭრაქის, სალათის მწვანე ბუგრის და სალათის მოზაიკის ვირუსის მიმართ.

კარმოლი / Carmoli RZ

HR Bl:16-23,25,31,32EU/Nr:0

Bl:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AU2040,AUS419,DE1735/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,8,9US

- ლოლო როსას (Lollo rossa) ტიპის «სამმაგი წითელი – ტრიპლ რედ» შეფერილობის («triple red»)) სალათი, რეკომენდებულია ღია გრუნტსა და ჰიდროპონიკაში მოყვანა.
- მცენარე ღია ტიპისაა, რის გამოც გარანტირებულია თავის თანაბარზომიერი შეფერილობა.

ენთონი / Anthony RZ

HR Bl:16,21,23,32EU/Fol:1

Bl:US1612,USA522,USA927,DE1735/

Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6US

- ლოლო როსას (Lollo rossa) ტიპის წითელი («ორმაგი წითელი - დაბლ რედ» («double red»)) სალათი, ფოთლების დიდი მოცულობით და მასით.
- შესაძლებელია ნედლად რეალიზაცია (მთელი მცენარეები ან განცალკევებული ფოთლების სახით).
- რეკომენდებულია მთელი სეზონის განმავლობაში მოყვანა, ღია გრუნტში.
- ჯიში ხასიათდება ძლიერი და სწრაფი ზრდის ტემპით, გამძლეა დაბალი ტემპერატურებისადმი, ძალიან სწრაფად ივითარებს როზეტის დიდ მოცულობას.
- ფოთოლი წითელია, ღრმა ინტენსიური შეფერვით.
- გამძლეა ჭრაქის და ფუზარიოზის მიმართ.

ენთონი / Anthony RZ



სატინე / Satine RZ

სატინე / Satine RZ

HR BI:16-27,30-32EU/Nr:0

BI:US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AUS429,D4
21,DE1735,F1240,F1423,FR1820,FR1944,GB1623,PT2036/
BI:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/BI:5,6,7,8,9US/Fol:race 4

- ლოლო როსას (Lollo rossa) ტიპის მუქი-წითელი სალათი, რეკომენდებულია ღია გრუნტში და სასალათო ხაზისთვის კულტივირება.
- ძლიერ მზარდი ჯიშში, რომელიც სწრაფად იწვითარებს დიდ მოცულობას და მასას, რაც მაღალი მოსავლის და შედარებით ადრეული მოსავლის გარანტიაა.
- როზეტი და ფოთლები შიგნიდან ძალიან ლამაზი, ნაჯერი წითელი ფერისაა.
- გამძლეა ჭრაქის და სალათის მწვანე ბუგრის მიმართ.

ლეოტინე / Leotine RZ

HR BI:16-32,34,36EU/Nr:0

BI:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AUS429
,AUS419,D421,DE1735,F1240,F1342,F1423,GB434,IE341,ES51
6,NL930/BI:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/BI:5,6,7,8,9US

- ლოლო როსას (Lollo rossa) ტიპის სალათი კონტრასტული სამზავი ფერით, რეკომენდებულია შემოდგომაზე და გაზაფხულზე ღია გრუნტში მოყვანა, როგორც ნიადაგში, ასევე ჰიდროპონიკაზე.
- გამძლეა ჭრაქის და სალათის მწვანე ბუგრის მიმართ.



ლეოტინე / Leotine RZ

ფოთლოვანი სალათები

სენსიბელ / Cencibel RZ

HR Bl:16-32,34,36EU/Nr:0

Bl:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AUS429,AUS419,D421,DE1735,F1240,F1342,F1423,GB434,IE341,ES516,NL930/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8,9US/Fol:race 4

- მუქი წითელი ფერის სალათი აყორების (აყვავილების) და ნეკროზების მიმართ მაღალი გამძლეობით ზაფხულში.
- რეკომენდებულია ღია გრუნტში და სათბურებში (ასევე ჰიდროპონიკაზე) მოყვანა.
- სალათი განვითარდება ნელადა რეალიზაციისთვის მთელი მცენარეების სახით და შესაძლებელია გადამუშავებაც.
- ფოთლები ფაქიზია, კარგად შეფერილი და ელვარე.
- ფოთლების შეფერვა ხდება დაბალი, შეზღუდული განათების პირობებშიც.
- გამძლეა ჭრაქის და სალათის მწვანე ბუგრის მიმართ.



სენსიბელ / Cencibel RZ



კარმესი / Carmesi RZ

კარმესი / Carmesi RZ

HR Bl:16-27,30-32EU/Nr:0

Bl:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AUS429,AUS419,D421,DE1735,F1423,NL930/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8,9US/Fol:race 2 (only Japan, E-Asia)

IR Fol:1

- ლოლო როსას (Lollo rossa) ტიპის წითელი («სამმაგი წითელი - ტრიპლ რედ» («triple red»)) სალათი, ხასიათდება სწრაფი განვითარების უნარით და საშუალო ზრდის ტემპით.
- რეკომენდებულია ღია და დახურულ გრუნტში მოყვანა, ასევე რეკომენდებულია ჰიდროპონიკისთვის.
- შესაძლებელია ნელადა რეალიზაცია (მთელი მცენარეების ან განცალკევებული ფოთლების სახით), ასევე შეიძლება დაჭრა და მზა სალათების მიქსების დამზადება.
- ფოთლები ალუბლისფერი-წითელი და ელვარეა, შეფერვა წვეროსკენ მეთადა გამოხატული.
- როზეტი ღია ტიპისაა და დიდი.
- გამძლეა ჭრაქის, ფუზარიოზის და სალათის მწვანე ბუგრის მიმართ.



სალათი რომენი



კვინტუსი / Quintus RZ

კვინტუსი / Quintus RZ

HR Bl:16-20,22-25,29,30,33-36EU/Fol:1/Nr:0

Bl:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AU2040,AUS429,AUS419,D421,F1240,F1342,F1423,FR1820,FR1944,GB434,GB1623,IE341,ES516,NL930,PT2036/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8US

- დიდი ზომის მუქი მწვანე სალათი, ხასიათდება მედეგობით აყორების (აყვავილების) და ნეკროზების მიმართ.
- შესაძლებელია მთელი მცენარეების აღება, ასევე განცალკევებული ფოთლების სახით კრეფა.
- გამოდგება საწარმოო გადამუშავებისთვის.
- რეკომენდებულია ღია გრუნტში მოყვანა.
- ფოთლები ბზინვარეა, ნაჯერი მწვანე ფერით, მკვრივია და ხრამუნა.
- თავის ფორმა ცილინდრულია, ბრტყელი ძარღვებით (ზომები: შეიძლება დიდი და საშუალო თავების კულტივირება).
- გადარგვა შესაძლებელია მარტის დასაწყისიდან აგვისტომდე.
- მედეგია ნაცრის, ფუზარიოზის და სალათის მწვანე ბუგრის მიმართ.



იგნატიუსი / Ignatius RZ

HR Bl:16-34,36EU/Nr:0

Bl:US1612,USA927,USA841,USA541,AUS429,DE1735,F1240,F1342,F1423,GB434,GB1623,IE341,ES516,NL930/Bl:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/Bl:5,6,7,8,9US

სიახლე!

- ღია მწვანე ფერის სალათი რომენი, კომპაქტური თავით და ფოთლების ამწვრობის მიმართ მედეგობით.
- რეკომენდებულია გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომით მოყვანა.
- შესაძლებელია ჰიდროპონიკაზე მოყვანაც.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის და სალათის მწვანე ბუგრის მიმართ.
- საშუალოდ მედეგია სალათის მოზაიკის ვირუსის, ფესვების გაკორების და ფუზარიოზის მიმართ.



იგნატიუსი / Ignatius RZ



სალათი რომენი



მწვანე

უკონა / Auvona RZ

HR BI:17-22,24-26,32EU/Fol:1

BI:USA927,USA841,USA541,AUS429,DE1735,F1423/

BI:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/BI:5,6,7,8,9US

- ღია ტიპის რომენის სალათი, რომელიც შიდა ნეკროზების მიმართ მაღალი მედეგობით ხასიათდება.
- განუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ და გადამუშავებისთვის.
- ფოთოლი მუქი მწვანეა და ვერტიკალურად განლაგებული, თავის გული არ ყვითდება.
- შესაძლებელია ცალკე მთელი მცენარეების აღება, ასევე განცალკევებული ფოთლების კრეფა.
- მოსავლის აღება გახანგრძლივებულია (შესაძლებელია რამდენჯერმე მოსავლის აღება).
- გამოდგება მოსავლის მექანიზირებულად აღებისთვის.
- მედეგია ნაცრის და ფუზარიოზის მიმართ.



უკონა / Auvona RZ



მაქსიმუსი / Maximus RZ

HR BI:16-30,32,33EU

BI:US1612,USA522,USA927,USA541,AUS429,DE1735,F13

42,GB434,GB1623,NL930/BI:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/

BI:5,6,7,8US

- დიდი ზომის მწვანე სალათი რომენი, რომელიც აყორების (აყვავილების) და ნეკროზების მიმართ მედეგობით ხასიათდება.
- რეკომენდებულია ღია გრუნტში მოყვანა.
- ძალიან გამძლე ჯიშია, კარგად ეგუება ცხელ კლიმატს(სასაქონლო იერის და ხარისხის მაჩვენებლების დაქვეითების გარეშე).
- ფოთლები ღია მწვანეა, ელვარე, საკმაოდ მკვრივი და გლუვი, ვერტიკალურად მდგომარე, სალათის თავი არ ყვითდება.
- ივითარებს დიდი ზომის როზეტს ვერტიკალურად განლაგებული ფოთლებით, (ზამთარში 20-25 სმ-ია, ხოლო ზაფხულში დაახლ. 30 სმ).
- მედეგია ჭრაქისა და ფესვების გაკორპებისადმი.

მაქსიმუსი / Maximus RZ



წითელი

თურიუსი / Thurinus RZ

HR Pb/BI:16-27,30-32EU/Nr:0

BI:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AUS429,AUS419,D421,DE1735,F1240,F1423,FR1820,FR1944,GB1623,PT2036/BI:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/BI:5,6,7,8,9US

- კომპანიის ასორტიმენტში პირველი წითელი ფერის სალათი რომენი, რომელიც ხასიათდება ძლიერი ფესვთა სისტემით და საკმაოდ სწრაფი ზრდის ტემპით.
- მედეგია ნეკროზების და აყორების (აყვავილების) მიმართ, შესაძლებელია ღია გრუნტში მთელი წლის განმავლობაში მოყვანა.
- ფოთლები ინტენსიური წითელი ფერისაა, რომლებიც ზამთარში მოყვანის დროს, სინათლის დეფიციტის მიუხედავად მაინც ინარჩუნებს ფერს.
- მედეგია ჭრაქის, სალათის მწვანე ბუგრის და სალათის მოზაიკის ვირუსის მიმართ.

გალათეა / Galatea RZ

HR BI:16-27,30-32EU

BI:US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AUS429,D421,DE1735,F1240,F1423,FR1820,FR1944,GB1623,PT2036/BI:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/BI:5,6,7,8,9US

- სალათი რომენი (Roman lettuce) ფოთლების სამმაგი წითელი შეფერვით, შესაძლებელია გაზაფხულზე და შემდგომში მოყვანა.
- ზონებში სადაც ზამთარი შედარებით რბილია, რეკომენდებულია სათბურში მოყვანა.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის მიმართ.
- საშუალოდ მედეგია სალათის მოზაიკის ვირუსის მიმართ.

თურიუსი / Thurinus RZ

რაფაელი / Rafael RZ

HR BI:16-20,22-25,29,30,33-36EU/Fol:1/Nr:0

BI:US1618,US1612,USA522,USA927,USA841,USA541,AUS429,AUS419,D421,F1240,F1342,F1423,FR1820,FR1944,GB434,GB1623,IE341,ES516,NL930,PT2036/BI:1,2,4,5,6,7,10,12,13,14,15EU/BI:5,6,7,8US

- მინი სალათი რომენი აყორების (აყვავილების) და ნეკროზების მიმართ მაღალი მედეგობით.
- რეკომენდებულია ღია გრუნტში მოყვანა.
- სალათის ნელადა რელიზაცია შესაძლებელია მცირე ზომის თავების, ასევე განცალკევებული ფოთლების სახით, შეიძლება გადამუშავებაც.
- გარედან ფოთლები ელვარეა, შუქი მწვანე ფერით.
- თავს აქვს ხარისხის მაღალი მაჩვენებლები, კარგად დახურულია, ხასიათდება ერთგვაროვნებით და თავის ჩამოყალიბების ნელი ტემპით.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის, ფუზარიოზის და სალათის მწვანე ბუგრის მიმართ.

გალათეა / Galatea RZ





სალათი ბატავია



ღია მწვანე ფერის სალათი ბატავია

ოლმეტიე / Olmetie RZ

HR Bl:16-34,36EU/Nr:0

- ღია მწვანე ფერის სალათი ბატავია, რომელიც ხასიათდება ზრდის სწრაფი ტემპით, მოუხედავად ამისა აქვს ნეკროზების და აყოჩების (აყვავილების) მიმართ კარგი მედეგობა.
- რეკომენდებულია ღია გრუნტში და სათბურში მოყვანა.
- ჯიში ძალიან კარგად ეგუება ინტენსიური კულტივირების (მაღალი ტემპერატურები, განათება და კვება) რეჟიმებს, როგორც მოსავლის გაზრდის თვალსაზრისით, ისე საკუთრივ თითოეული მცენარის მასის მატების მხრივ.
- ფოთლები ტალღოვანი კიდეებითაა.
- მედეგია ჭრაქის, სალათის მწვანე ბუგრის და სალათის მოზაიკის ვირუსის მიმართ.

აფიციონი / Aficion RZ

HR Bl:16,21,23,32EU

- ღია მწვანე ფერის სალათი ბატავია, კიდეების ნეკროზის და აყოჩების (აყვავილების) მიმართ კარგი მედეგობით, წარმატებით მოიყვანება ყველა განსხვავებულ სინათლის ან კლიმატურ პირობებში.
- ერთ-ერთი ყველაზე მაღმწიფადი და საადრეო სალათის ჯიშია ჰოდროპონიკაზე მოყვანისას (დაახლოებით 17 დღე ჩითილობა, 20 დღე ხაზზე).
- ეგუება ოპტიმალური პირობებიდან მკვეთრ გადახვევებს, არ არის მიდრეკილი აღერებისკენ, მომატებული ტემპერატურის პირობებში.
- გამძლეა ჭრაქის მიმართ.

მუქი მწვანე ფერის სალათი ბატავია

კონვერსიონი / Conversion RZ

HR Bl:16-27,30-32EU/Nr:0

- მუქი მწვანე ფერის სალათი ბატავია პოლიეთილენის სათბურისთვის, შიდა ნეკროზების მიმართ მაღალი გამძლეობით.
- რეკომენდებულია ღია გრუნტში და სათბურში მოსაყვანად, როგორც სეზონურად ისე მთელი წლის განმავლობაში (აგროტექნოლოგიის დიაპაზონი ფართეა).
- განკუთვნილია ნელადად სარეალიზაციოდ მთელი მცენარეების სახით.
- ფოთლები მკვრივია, ელვარე და სუსტად ტალღოვანი კიდეებით.
- მცენარე ძლიერი და დიდია, ხასიათდება ვერტიკალურად მდგომარე როზეტით, რომელიც საშუალებას იძლევა ფართობზე მცენარეები ჩავახშიროდ.
- გამძლეა ჭრაქის და სალათის მწვანე ბუგრის მიმართ.

სტარფაიტერი / Starfighter RZ

HR Bl:16-25,27,30-32EU/Nr:0/Pb

- მუქი მწვანე ფერის სალათი ბატავია, რომელიც გამძლეა შიდა ნეკროზების მიმართ.
- ფოთლები მკვრივია და ოდნავ ბუშტოვანი.
- მცენარე ხასიათდება დიდი, ღია ფოთლების როზეტით.
- მედეგია ჭრაქის, სალათის მწვანე ბუგრის და სალათის ფესვის ბუგრის მიმართ.

ოლმეტიე / Olmetie RZ

აფიციონი / Aficion RZ





ღია მწვანე ფერის სალათი ბატავია

ოტილი / Othili RZ

HR Bl:16-32,34,36EU/Nr:0/Pb

- ღია მწვანე ფერის სალათი ბატავია, რომელიც გამძლეა ნეკროზების და აყრების (აყვავილების) მიმართ, საშუალოდ გამძლეა ფესვთა სისტემის დაავადებების მიმართ.
- რეკომენდებულია სასალათო მიმართულების წარმოებისათვის.
- საუკეთესოა ზაფხულის კლიმატურ პირობებში მოსაყვანად, ასევე შესაძლებელია ღია გრუნტში (გაზაფხული, შემოდგომა) და სათბურში (შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული) კულტივირება.
- ხასიათდება ფოთლოვანი მასის სწრაფი ფორმირებით და ძლიერი ფესვთა სისტემის განვითარებით.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის, სალათის მწვანე ბუგრის და სალათის ფესვის ბუგრის მიმართ.
- საშუალოდ მედეგია სალათის მოზაიკის ვირუსის და ფუზარიოზის მიმართ.

მწვანე სალათი ბატავია

ტურბილონი / Tourbilon RZ

HR Bl:16-27,30-32EU/Nr:0/Pb

- მწვანე ფერის სალათი ბატავია, რომელიც ივითარებს ღია ტიპის თავს, ძალიან გვიან იწყებს აღებებს, მისი მოყვანა შესაძლებელია ღია გრუნტში მთელი სეზონის განმავლობაში.
- ჯიში გამძლეა შიდა ნეკროზების და ჭრაქის მიმართ, განუთვნილია, როგორც გადამუშავებისთვის, ასევე ნედლად სარეალიზაციოდ.
- თავი (საშუალო-დიდი ზომის) მიმზიდველი მწვანე ფერისაა, ღია, ფოთლის კიდეები ტალღოვანია (ხუჭუჭი).
- თავის წონა ღია, ხოლო განცალკევებული ფოთლების რაოდენობა ბევრი, ამიტომ ეს ჯიში ძალიან მიმზიდველი და მოთხოვნადია სალათების ინდუსტრიისათვის (ე.წ. «Tourbillion - ტურბილონი»).
- სუფთა, დახურული ტიპის ძირი უზუნველყოფს ნიადაგის ნაკლებ დაბინძურებას.
- ჩითილების გადარგვა უნდა მოხდეს მარტის დასაწყისიდან აგვისტოს შუამდე.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის (პერონოსპოროზის), სალათის მწვანე ბუგრის და სალათის ფესვის ბუგრის მიმართ.
- საშუალოდ მედეგია სალათის მოზაიკის ვირუსის მიმართ.

სტარფაიტი / Starfighter RZ





წიწაკა



წიწაკა კაპია



ტკბილი წიწაკა კუბისებური



სვით პალერმო® (SweetPalermo®)



ცხარე წიწაკა





ტკბილი წიწაკა



ტოპზელი / Topzel RZ F1

ღია მწვანე კონუსური წიწაკა

მაგრეტა / Magretta RZ F1

HR Tm:0-2/Xcv:1-3

- ახალი მაღალმოსავლიანი კონუსური წიწაკის ჰიბრიდი, ღია და დახურული გრუნტისათვის, გაზაფხულის ბრუნვაში (პოლიეთილენის სათბურებში, პოლიეთილენის დროებითი გადახურვა ან სხვა); ასევე, ხანგრძლივი თესლბრუნვისათვის (გაზაფხული-შემოდგომა).
- საადრეო, მაღმწიფადი ჰიბრიდი სავეგეტაციო პერიოდით 58 - 62 დღე (ჩითილების გადარგვიდან).
- ნაყოფი ერთგვაროვანია და დიდი, კონუსური ფორმით, მასა 150-180 გ, ხოლო სიგრძე 12-14 სმ-ია, დიამეტრი ყუნწისკენ 6-8 სმ, ხოლო ქერქის სისქე 7-8 მმ.
- ტექნიკური სიმწიფისას ღია მწვანე ფერისაა, ხოლო ბიოლოგიური სიმწიფისას ნაჯერი წითელი.
- მცენარე დაბალანსებულია (ვეგეტატიური და გენერაციული) და აქვს ძლიერი ზრდის ტემპი.
- ძლიერ მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსის და ბაქტერიული ლაქიანობების მიმართ.

ტოპზელი / Topzel RZ F1

HR Tm:0-2 IR TSWV:0

- კაპიას ტიპის, მაღალმოსავლიანი წიწაკა, რომელიც მედეგია პომიდორის ბრინჯაოსფერი დაფერილობის (ლაქებიანი ჭკნობა) მიმართ.
- ნაყოფი მიმზიდველი ფორმისაა, ელვარე ქერქის ზედაპირით, დამწიფებისას ღია მწვანე/წითელი ფერისაა.
- მცენარე ხასიათდება ძლიერი ზრდით.
- ძლიერ მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსის მიმართ.
- საშუალოდ მედეგია პომიდორის ბრინჯაოსფერი დაფერილობის (ლაქებიანი ჭკნობა) ვირუსის მიმართ.



მაგრეტა / Magretta RZ F1

წიწაკა კაპია

ბალკანიკა / Balcanica RZ F1

HR PVY:0,1,1.2/Tm:0-2/Xcv:1-3 IR TSWV:0

- კაპიას ტიპის საადრეო მაღალმოსავლიანი ტკბილი წიწაკის ჰიბრიდი, რომელიც მედეგია პომიდორის ბრინჯაოსფერი დაფერილობის (ლაქებიანი ჭკნობა) ვირუსისადმი.
- ახასიათებს ძლიერი გამონასკვის უნარი ყველა (ცივი და ცხელი) კლიმატურ პირობაში.
- ნაყოფის მასა 120-140 გ, ხოლო სიგრძე 15-17 სმ-ია.
- ძლიერ მედეგია კარტოფილის ვირუსის, პომიდორის მოზაიკის ვირუსის და ბაქტერიული ლაქიანობების მიმართ.
- საშუალოდ მედეგია პომიდორის ბრინჯაოსფერი დაფერილობის (ლაქებიანი ჭკნობა) ვირუსადმი.



ბალკანიკა / Balcanica RZ F1



წიწაკა კაპია



დინამიკა / Dinamica RZ F1

HR PVY:0,1,1.2/Tm:0-2/Xcv:1-3

- მაღალმოსავლიანი ტკბილი წიწაკის ჰიბრიდი, ღია გრუნტში და პოლიეთილენის სათბურებში მოყვანისათვის.
- ნაყოფები შესანიშნავი ორგანოლექტიური მახასიათებლებისაა, მასით 120-140 გ, ხოლო სიგრძით 15-17 სმ.
- მცენარეს აქვს ძლიერი ფესვთა სისტემა.
- ძლიერ მედეგია კარტოფილის ვირუსის, პომიდორის მოზაიკის ვირუსის და ბაქტერიული ლაქიანობების მიმართ.

ვიტალიკა / Vitalica RZ F1

HR Tm:0-2 IR TSWV:0

- კაპიას ტიპის ტკბილი წიწაკის ჰიბრიდი, რომელიც მედეგია პომიდორის ბრინჯაოსფერი დაფერილობის (ლაქებიანი ჭკნობა) მიმართ.
- რეკომენდებულია დროებითი გადახურვით (პოლიეთილენი, აგრო ქსოვილი ან სხვ.) და ღია გრუნტში მოყვანა.
- ნაყოფი მუქი წითელი ფერისაა, მასით 120-140 გ და სიგრძით 15-17 სმ.
- მცენარე ხასიათდება ძლიერი ზრდით და ღია ფორმის ბუჩქით.
- ძლიერ მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსის მიმართ.
- საშუალოდ მედეგია პომიდორის ბრინჯაოსფერი დაფერილობის (ლაქებიანი ჭკნობა) მიმართ.



პოტრეკა / Potreca RZ F1



დინამიკა / Dinamica RZ F1

პოტრეკა / Potreca RZ F1

HR Tm:0-2

- ახალი, კაპიას ტიპის, მაღალმოსავლიანი წითელი წიწაკის ჰიბრიდი, რომლის მოყვანა რეკომენდებულია დროებითი პოლიეთილენის გადაფარვით (საადრეო მოსავლის მისაღებად) და ღია გრუნტში.
- ნაყოფი მიმზიდველი ნაჯერი წითელი ფერისაა, კონუსური ფორმის(2-3 Xკამერით), მასა 120-140 გ, ხოლო სიგრძე 12-14 სმ-ია.
- ხასიათდება საუკეთესო გემოს თვისებებით და განკუთვნილია ნედლად გამოყენებისათვის და გადამუშავებისთვის (გაყინვა, დაკონსერვება, შეწვა და გამოშრობა).
- მცენარე გენერაციული ტიპისაა, კომპაქტურია და ძლიერი ზრდის ენერგიით ხასიათდება.
- ბუჩქს ახასიათებს ძლიერი და მასიური მწვანე (ფოთლოვანი) მასის აკუმულირება.
- ძლიერ მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსის მიმართ.



ტკბილი წიწაკა კუბისებური



წითელი კუბისებური

ზონდელა / Zondella RZ F1

- შუა-საგვიანო კუბისებური წითელი წიწაკის ჰიბრიდი, რომელიც ხასიათდება ნაყოფების კარგი გამონასკვის უნარით არახელსაყრელი კლიმატური პირობების დროსაც.
- საიმედო ჰიბრიდია კომპლექსური მედეგობის უნარებით (დაავადებები, მავნებლები და სხვ.), რომელიც შედის კომპანიის ასორტიმენტში «სურსათის მრეწველობა/გადამამუშავება».
- ნაყოფი ტექნიკური სიმწიფისას მუქი მწვანეა, ხოლო ბიოლოგიურის - წითელი; დიდი ზომისაა, მძიმეა და სქელქერქიანი.
- მცენარე ძლიერია და დადებითად რეაგირებს ჭიგოზე მიმაგრების მიმართ.
- ძლიერ მედეგია კარტოფილის ვირუსის, პომიდორის მოზაიკის ვირუსის და პომიდორის ბრინჯაოსფერი დაფერილობის (ლაქებიანი ჭკნობა) ვირუსის მიმართ.

მაზურკა / Mazurka RZ F1

HR Tm:0

- შუა სეზონის ბრუნვის წითელი კუბისებური წიწაკის ჰიბრიდი, იდეალურია პოლიეთილენის სათბურში მოსაყვანად.
- მოსავლის აღების პერიოდი გახანგრძლივებულია.
- ნაყოფი გემრიელი, წვნიანი, ტკბილი, სქელქერქიანი და მსუბუქია.
- შენახვის დროს არ იჭმუჭნება.
- ორივე ფერი (მწვანე, წითელი) ინარჩუნებს ელვარებას მოკრეფის შემდგომ.
- სწრაფად იცვლის შეფერვას - მწვანედან წითელში.
- მცენარე საშუალოდ-ღია ტიპისაა და ძლიერია, მოკლე მუხლთაშორისებით, ამ თვისებების გამო მარტივი მოსავლეა.
- ძლიერ მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსის მიმართ.

რედ ჯეტი / Red Jet RZ F1

HR PVY:0,1,1.2/Tm:0-2/Xcv:1-3 IR Lt

- ახალი, მაღალმოსავლიანი – საადრეო კუბისებური წიწაკის ჰიბრიდი, რომელსაც ახასიათებს ერთგვაროვანი და სტაბილური მოსავალი მთელი სეზონის განმავლობაში.
- მედეგია არახელსაყრელი ფაქტორების და სტრესის მიმართ.
- რეკომენდებულია პოლიეთილენის სათბურებში, საშუალო სიმაღლის გადახრევებში (პოლიეთილენი, აგრო ქსოვილი ან სხვ.) და ღია გრუნტში მოყვანა.
- აქვს კარგი ტრანსპორტირების უნარი და ხანგრძლივად შენახვის ვადა (ხარისხის მაჩვენებლების გაუარესების გარეშე).
- ნაყოფი ნაჯერი მუქი წითელი და გემრიელია, კუბისებური ფორმის (4 ცალი Xკამერით), 8-9 x 7 სმ (სიგრძე/სიგანე), მასით 200-250 გ, ხოლო ქერქის სისქე 8-9 მმ-ია.
- ნაყოფის რეალიზაცია შესაძლებელია ტექნიკური და ბიოლოგიური სიმწიფის ფაზაში.
- მცენარე გენერაციული ტიპისაა, კომპაქტური და კარგად განვითარებული ფოთლოვანი აპარატით.
- მცენარეების რეკომენდებული რაოდენობა 3-4 მგ./მ²-ზე (დახურულ გრუნტში), ხოლო 33-40 ათასი მგ./ჰა-ზე (ღია გრუნტში).
- მედეგია კარტოფილის ვირუსის, პომიდორის მოზაიკის ვირუსის, შავი ბაქტერიული ლაქიანობების და ნაცრის მიმართ.



მაზურკა / Mazurka RZ F1



ნარინჯისფერი კუბისებური წიწაკა

სიმპათია / Sympathy F1 RZ

HR Tm:0-2

- შუა-საადრეო ნარინჯისფერი კუბისებური წიწაკის ჰიბრიდი.
- შესაძლებელია ღია და დახურულ გრუნტში მოყვანა.
- მცენარე საშუალო ზომისაა და კარგად განვითარებულია.
- ნაყოფი ღია ნარინჯისფერი ფერისაა, კონუსური ფორმის (4 X კამერით), საშუალო მასა 200-250 გ, ხოლო სიგრძე და სიგანე 10 x 8-9 სმ-ია.
- ნაყოფების რელიზაცია შესაძლებელია როგორც ტექნიკური, ასევე ბიოლოგიური სიმწიფის სტადიაში.
- ძლიერ მედეგია თამბაქოს მოზაიკის ვირუსის მიმართ.

სიმპათია / Sympathy F1 RZ

ყვითელი კუბისებური

ბაჩატა / Bachata RZ F1

HR Tm:0-3 IR TSWV:0

- შუა-საგვიანო სეზონის კუბისებური ყვითელი წიწაკის ჰიბრიდი, კარგი გამონასკვის და ერთგვაროვანი, სტაბილური მოსავლის მაჩვენებლით მთელი ვეგეტაციის განმავლობაში (ამ თვისებებს ვერ აუარესებს ცივი და ცხელი კლიმატური პირობები).
- რეკომენდებულია პოლიეთილენის სათბურებში, საშუალო სიმაღლის დროებით გადახურვაში (პოლიეთილენი, აგრო ქსოვილი და სხვ.) და ღია გრუნტში მოყვანა.
- ნაყოფი ნაჯერი ღია ყვითელი ფერისაა, კუბისებური ფორმით (4ცალი Xკამერით), 9x8-8.5 სმ (სიგრძეXსიგანე), მასა 300-350 გ, ხოლო ქერქის სისქე 8-10 მმ-ია.
- გამოირჩევა საუკეთესო გემოს თვისებებით.
- მცენარეთა რეკომენდებული რაოდენობა 3 მც./მ²-ზე (დახურული გრუნტი), ხოლო 30-35 ათასი მც./ჰა-ზე (ღია გრუნტი).
- მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსის და პომიდორის ბრინჯაოსფერი დაფერილობის (ლაქებიანი ჭკნობა) ვირუსის მიმართ.



ბაჩატა / Bachata RZ F1





Sweet Palermo®

www.sweetpalermo.com

რითი განსხვავდება სხვა წიწაკებისაგან სვით პალერმო® (Sweet Palermo®)?

ვიზუალი – სვით პალერმოს® აქვს გამორჩეული დამახასიათებელი ჩახვეული «ყელი». შიდა სტრუქტურა – სვით პალერმოს® აქვს ძალიან თხელი და რბილი ქერქი, ასევე ძალიან ცოტა რაოდენობის თესლი კამერაში. გემო – სრულიად შეესაბამება დასახელებას, სვით პალერმოს® (Sweet – ტბკილი) აქვს დახვეწილი, სასიამოვნო სიტკბო. ბრიქსის შკალით 9.0 (მაგალითად: კუბისებურ წიწაკას – 7.0).

სვით პალერმოს® მახასიათებლების უნიკალურობა დაამტკიცეს ვაგენინგენის უნივერსიტეტის ექსპერტებმა, სამეცნიერო-კვლევით ცენტრში (Wageningen University & Research Centre). აღსანიშნავია, რომ ნარინჯისფერ ჰიბრიდებში ვიტამინ C-ს შემცველობა 2-ჯერ მეტია, ვიდრე სხვა წიწაკებში. სვით პალერმო® შეიცავს ვიტამინებს A და E, ფოლიუმის მჟავას, მაგნიუმს, ბეტა-კაროტინს და კალიუმს.

პალერმო / Palermo RZ F1

HR Tm: 0-2

- იტალიური ტიპის (Dulce Italiano) წითელი ტბილი წიწაკის ჰიბრიდი, პოლიეთილენის და მინის სათბურებში მოყვანისათვის.
- ნაყოფების კარგი გამონასკვის უნარი უზრუნველყოფს მაღალმოსავლიანობას (სინათლის დეფიციტის პირობებშიც).
- ნაყოფი მწვანე/წითელი ფერისაა, კონუსური ფორმით, მასა 120-140 გ, სიგრძე 15-25 სმ (30 მდე), ხოლო ყუნწისკენ სიგანე 5-6 სმ-ია.
- პირველი ნაყოფები გრძელია, ხოლო ყოველი მომდევნო – შედარებით მოკლე, ერთგვაროვანი და ძალიან გემრიელია.
- სადეგუსტაციო მახასიათებლები: წვნიანი, მკვრივი ქერქით, ტკბილ-მჟავეს კარგი თანაფარდობით.
- ძლიერ მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსის მიმართ.



შეიგრძენი, დაინახე და გასინჯე გემოს უნიკალურობა... სვით პალერმოს® (Sweet Palermo®) სელექციაზე მრავალი წელი ვმუშაობდით, შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს!



პალერმო / Palermo RZ F1





ტკბილი წიწაკა



პალერმო ობედისი

/ Palermo Obedius RZ F1 (35-529)

HR PVY:0,1,1.2/Tm:0-2 **IR** TSWV:0

- მინის სათბურებში მოსაყვანად რეკომენდებული ტკბილი წიწაკის ჰიბრიდი.
- ნაყოფის საშუალო მასა 140 გ, შენახვის კარგი უნარით.
- მთელი სეზონის განმავლობაში ხასიათდება სტაბილური გემოთი, ძალიან ტკბილია და არომატული. შაქრიანობა ბრიქსის შკალით 8–10 (დამოკიდებულია მოსავლის თვეზე და კლიმატურ პირობებზე).

პალერმო რადიუსი / Palermo Radius RZ F1

HR PVY:0,1,1.2/Tm:0-2 **IR** TSWV:0

- ტკბილი, არომატული, მუქი წითელი, კონუსური ფორმის წიწაკის ჰიბრიდი, რომელიც ხასიათდება მაღალი მოსავლით.
- რეკომენდებულია გათბობით და გათბობის გარეშე კულტივირება.
- ნაყოფები სწრაფად იფერება (საბოლოო ფერი: მუქი წითელი).
- ქერქის ზედაპირი ტალღოვანია.
- ძალიან ტკბილია, არომატული, საშუალო მასით 125 გ, გამოირჩევა ხანგრძლივად შენახვის ვადით.
- მედეგია პომიდორის ბრინჯაოსფერი დაფერილობის (ლაქებიანი ჭკნობა) ვირუსისადმი.



პალერმო ობედისი /
Palermo Obedius RZ F1

პალერმო რადიუსი / Palermo Radius RZ F1



პალერმო იუსმიტ / Palermo Yusmit RZ F1

HR PVY:0,1,1.2/Tm:0-2 **IR** TSWV:0

- იტალიური ტიპის (Dulce Italiano) ყვითელი წიწაკის ჰიბრიდი, რომელიც ხასიათდება მაღალი მოსავლით და შენახვის ხანგრძლივი ვადით.
- რეკომენდებულია მინის სათბურებში კულტივირება.
- ნაყოფი დაფარულია ლაზარით, ღია ყვითელი ფერის თხელი კანით, მასით 125 გ, ძალიან ტკბილი და არომატულია (ხილის გემოთი), გამოირჩევა ვიტამინი C-ს მაღალი შემცველობით (50%-ით მეტი ვიდრე კუბისებური წიწაკის ჰიბრიდებში).
- ინარჩუნებს სტაბილურ გემოს მთელი წლის მოსავალში, შაქრიანობა ბრიქსის შკალით 8-10-მდეა (დამოკიდებულია მოსავლის თვეზე და კლიმატურ პირობებზე).
- მცენარე ღია ტიპისაა, თუმცა, უფრო კომპაქტური ვიდრე პალერმო.
- ნაყოფების თანაბარზომიერების და ერთგვაროვნების გამო, სარეალიზაციოდ დაფასდება შესაძლებელია ჰიბრიდ პალერმოსთან ერთად (ეწ. «დუოპეკი – Duopack»).
- მედეგია კარტოფილის ვირუსის, პომიდორის მოზაიკის ვირუსის და პომიდორის ბრინჯაოსფერი დაფერილობის (ლაქებიანი ჭკნობა) ვირუსის მიმართ.





სპეციფიკური წიწაკა



მოკლენაყოფიანი

ნარინჯისფერი

ტრიორო / Trioro RZ F1

HR Tm:0-2

- ტრაპეციულ-კონუსური ნარინჯისფერი წიწაკა, რომლის მოყვანა რეკომენდებულია გახანგრძლივებულ ბრუნვაში, სუბსტრატებზე.
- ნაყოფი 75-85 გ-ია, სიგრძით 10-11 სმ.
- დიამეტრი ყელთან 5-6 სმ.
- კედლის სისქე 6-8 მმ.
- ძალიან გემრიელია, სასაიმოვნოდ ტკბილი, მაქრიანობა ბრიქსის შკალით 8-10 - მდე.
- მცენარე საშუალო ზომისაა და ღია ტიპის.
- თანაბრად და ერგვაროვნად იცვლის ფერს – მწვანედან ნარინჯისფერში.



**სხვადასხვა
ფერის წიწაკების
ერთდროული
მომწიფების უნარი!**

წითელი

ტრიროსო / Triosso RZ F1

HR Tm:0-2

- ტრაპეციულ-კონუსური ფორმის, წითელი წიწაკის ჰიბრიდი, ფერის თანაბარი ცვლილების უნარით დამწიფებისას (მწვანედან წითელში).
- რეკომენდებულია მოყვანა გახანგრძლივებული ბრუნვისათვის - სუბსტრატზე.
- ნაყოფი ძალიან გემრიელია, სასაიმოვნოდ ტკბილი არომატით (მაქრიანობა ბრიქსის შკალით 8-10 მდე).
- ნაყოფის მასა 75-85 გ, სიგრძე 9-10 სმ, დიამეტრი 5-6 სმ, ხოლო ქერქის სისქე 6-8 მმ-ია.
- კარგად ინახება.
- მცენარე ღიაა და საშუალო სიმაღლის.
- მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსის მიმართ.

ყვითელი

ტრიელო / Triello RZ F1

HR Tm:0-2

- ტრაპეციულ-კონუსური ფორმის, ყვითელი წიწაკის ჰიბრიდი, ფერის თანაბარი ცვლილების უნარით დამწიფებისას (მწვანედან ყვითელში).
- რეკომენდებულია მოყვანა გახანგრძლივებული ბრუნვისათვის - სუბსტრატზე.
- ნაყოფი ძალიან გემრიელია, სასაიმოვნოდ ტკბილი არომატით (მაქრიანობა ბრიქსის შკალით 8-10 მდე).
- ნაყოფის მასა 75-85 გ, სიგრძე 9-10 სმ, დიამეტრი 5-6 სმ, ხოლო ქერქის სისქე 6-8 მმ-ია.
- კარგად ინახება.
- მცენარე ღიაა და საშუალო სიმაღლის.
- მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსის მიმართ.



ორანჯ ტარტა / Orange Tarta RZ F1 (35-1095)

HR Tm:0

- ნარინჯისფერი კუბისებური «ხემსი-წიწაკის» ჰიბრიდი, დახურული გრუნტისათვის.
- ნაყოფი ძალიან ტკბილია, ერთგვაროვანი, მასით 19-35გ, სიგრძით 6-8სმ, დიამეტრით 3-4სმ, შაქრიანობა ბრიქსის შკალით 9% – მდე, ხასიათდება პატარა თესლის კამერით.
- ძლიერ მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსის მიმართ.



ორანჯ ტარტა / Orange Tarta RZ F1



იელოუ ზუპა / Yellow Zuppa RZ F1

იელოუ ზუპა / Yellow Zuppa RZ F1

HR Tm:0-3

- ყვითელი კუბისებური «ხემსი-წიწაკის» ჰიბრიდი, დახურულ გრუნტში მოყვანისათვის.
- ძალიან საადრეო და მაღალმოსავლიანი ჰიბრიდია.
- ნაყოფის მასა 31-35 გ-ია.
- ძლიერ მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსის მიმართ.

რედ ტატინ / Red Tatin RZ F1

HR Tm:0-2

- ტკბილი, მაღალმოსავლიანი კონუსური, წითელი «ხემსი-წიწაკის» ჰიბრიდი, დახურულ გრუნტში მოყვანისათვის.
- ნაყოფების მასა 23-31 გ-ია.
- ძლიერ მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსის მიმართ.



დეარ დევილი / Daredevil RZ F1

დეარ დევილი / Daredevil RZ F1

HR Tm:0-3

- ცხარე წიწაკა, რომელიც მედეგია წვეროს სიღამპლის მიმართ და ივითარებს მაღალი ხარისხის ნაყოფებს.
- რეკომენდებულია ღია და დახურულ გრუნტში მოყვანა.
- ნაყოფი გლუვია და სწორი, მასით-15-22 გ, ხოლო სიგრძე 10-13 სმ.
- დაკრეფა შესაძლებელია სიმწიფის ნებისმიერ ფაზაში.
- ძლიერ მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსის მიმართ.

მექსთიზო / Mextizo RZ F1

HR Tm:0-2

- «სერანოს» ტიპის ძალიან ცხარე წიწაკა, რომლის მოყვანა რეკომენდებულია ღია და დახურულ გრუნტში.
- ნაყოფი მაღალი ხარისხისაა, სქელკედლიანი და მასიური.
- კრეფის რეკომენდაცია: მწვანე და წითელი ფერის სიმწიფის ფაზაში.
- ძლიერ მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსი მიმართ.

ჰაბიბი / Habib RZ F1

- მაღალმოსავლიანი ცხარე წიწაკის ჰიბრიდი.
- რეკომენდებულია ღია და დახურულ გრუნტში მოყვანა, ზამთრის ბრუნვაში.
- ნაყოფის მასა 35-40 გ, ხოლო სიგრძე 18-22 სმ-ია, დაკრეფა შესაძლებელია სიმწიფის ნებისმიერ ფაზაში.
- მცენარე გენერაციული ტიპისაა, ხასიათდება ძლიერი ზრდით.
- ძლიერ მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსისადმი.

დემირბილეკი / Demirbilek RZ F1

HR Tm:0-2 IR TSWV:0

- «ცხარე სივრის» ტიპის საშუალო-ცხარე წიწაკა, რომელიც მედეგია პომიდორის ბრინჯაოსფერი დაფერილობის (ლაქებიანი ჭკნობა) ვირუსის მიმართ.
- ხასიათდება ზრდის და განვითარების კარგი უნარით ციკ კლიმატურ პირობებში.
- ნაყოფის მასა 28-32 გ, სიგრძე 22-25 სმ.
- ძლიერ მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსის მიმართ.
- საშუალოდ მედეგია პომიდორის ბრინჯაოსფერი დაფერილობის (ლაქებიანი ჭკნობა) მიმართ.



დემირბილეკი / Demirbilek RZ F1



თანდერი / Thunder RZ F1

იანკა / Yanka RZ F1

HR Tm:0

- საადრეო, მაღალმოსავლიანი ცხარე წიწაკის ჰიბრიდი, პოლიეთილენის სათბურებში და ღია გრუნტში მოსაყვანად.
- ნაყოფი გრძელია, თითქმის თეთრი ფერის (სრული-ტექნიკური სიმწიფის ფაზაში: წითელი ფერის).
- მცენარე ღია და გენერაციული ტიპის, რომელიც ივითარებს დიდი რაოდენობით ნაყოფებს.

აფრიკული ცხარე ჰაბანეროს წიწაკა

იელოუ ლოლეზა / Yelow Loleza RZ F1 (93-907)

HR Tm:0

- «ჰაბანეროს» ტიპის ყვითელი წიწაკა, ღია და დახურული გრუნტისათვის.
- საადრეო, ძლიან ცხარე წიწაკა, რომელიც გამოდგება მოსავლის გახანგრძლივებული კრეფისათვის.
- ნაყოფის საშუალო მასა 9 გ-ია.
- ძლიერ მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსის მიმართ.



რედ აფადია / Red Afadja RZ F1

თანდერი / Thunder RZ F1

HR Tm:0-2

- «ბულჰორნის» ტიპის ცხარე წიწაკა, რომლის მოყვანა რეკომენდებულია პოლიეთილენის სათბურებსა და ღია გრუნტში.
- ნაყოფი მწვანეა (სრული სიმწიფისას: წითელი) და დიდი ზომის, სიგრძით 20 სმ, ქერქის კედლის სისქე 4-5 მმ, ხოლო დიამეტრი 4 სმ-ია.
- ახასიათებს ნაყოფების ერთგვაროვნება მთელი სეზონის განმავლობაში.
- მცენარე ძლიერია, კარგად იტანს სიცივეს (გამოირჩევა ხანგრძლივი სიცივეების შემდგომ საუკეთესო აღდგენის უნარით).
- ძლიერ მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსის მიმართ.



იანკა / Yanka RZ F1

რედ აფადია / Red Afadja RZ F1 (93-001)

HR Tm:0

- საადრეო და მაღალმოსავლიანი «ჰაბანეროს» ტიპის ძალიან ცხარე წიწაკა, ღია და დახურულ გრუნტში მოყვანისათვის.
- გამოდგება მოსავლის გახანგრძლივებული კრეფისათვის.
- ნაყოფი მიმზიდველი ოვალური ფორმისაა, საშუალო მასით 15 გ.

რედ ლენგაი / Red Lengai RZ F1 (93-005)

HR Tm:0

- «ჰაბანეროს» ტიპის აფრიკული წითელი წიწაკა, ღია და დახურული გრუნტისათვის.
- ნაყოფის საშუალო მასა 13 გ-ია.



ბადრიჯანი





ბადრიჯანი



ცილინდრული ფორმის მუქი იასამნისფერი ბადრიჯანი

ორიენტალი / Oriental RZ F1

- მაღალმოსავლიანი ჰიბრიდი, რომლის მოყვანა რეკომენდებულია გაზაფხულზე, შემოდგომასა და ზამთარში, დახურულ გრუნტში.
- ნაყოფის სიგრძე 15–35 სმ, დიამეტრი 6–9 სმ, ხოლო მასა 400–450 გ.
- ნაყოფები ინტენსიური ფერისაა, გრძელი, ცილინდრული ფორმის, წვეტების გარეშე.

ნილო / Nilo RZ F1

- მაღალმოსავლიანი ჰიბრიდი, შეზღუდული ან შემცირებული განათების პირობებშიც კი.
- რეკომენდებულია როგორც ღია გრუნტში, ისე პოლიეთილენის სათბურებში მოყვანა.
- ნაყოფები მუქი იასამნისფერი ფერისაა თეთრი რბილობით, გრძელია და ცილინდრული ფორმის, სიგრძე 20–23 სმ-ია.





ანამური / Anamur RZ F1

- მოკლე ცილინდრული ფორმის, მუქი იასამნისფერი ბადრიჯანი.
- რეკომენდებულია პოლიეთილენის სათბურებში და ღია გრუნტში მოყვანა.
- ძალიან საადრეო, სიცხე გამძლე ჰიბრიდია, სწრაფად ახდენს ნაყოფების გამონასკვას, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ მოსავალი ადრეულ ვადებში.
- ნაყოფები ძალიან ერთგვაროვანია, გამოირჩევა მაღალი ხარისხით, არის მკვრივი და ცილინდრული ფორმის, სიგრძე 20–22 სმ-ია.
- რბილობს აქვს სასიამოვნო არომატი, თანმდევი სიმწარის გარეშე, თესლების განვითარება ხდება ძალიან გვიან.
- მცენარე საკმაოდ მოკლეა, კომპაქტური, მაგრამ ძალიან ძლიერი, ჯანსაღი ფოთლებით.
- ყვავილის ჯამის ფოთოლი წვეტების გარეშე.

მელუსინა / Melusina RZ F1

- გრძელი, ცილინდრული ფორმის ბადრიჯნის ჰიბრიდი, რომელიც ხასიათდება სავსე პირობებში ვერტიცელიოზის მიმართ მაღალი მედეგობით.
- რეკომენდებულია ღია გრუნტში და პოლიეთილენის სათბურებში მოყვანა.
- ნაყოფები ინტენსიური მუქი ფერისაა, ელვარე ზედაპირით და სქელი ცილინდრული ფორმის, თესლებს პრაქტიკულად არ ივითარებს.
- ნაყოფები ჰიბრიდ ნილოს ნაყოფებთან შედარებით თხელია, ხოლო სიგრძე 18–22 სმ-ია.
- მცენარე ძლიერია, სწორად მდგომი, ჯამის ფოთლები წვეტების გარეშე.





ბადრეული კულტურები



ნესვი: ტიპი კანარის ყვითელი



ნესვი: პიელ დუ საპო



ნესვი: ანანასის ტიპი



ნესვი: გალიას ტიპი



ნესვი: კანტალუპას ტიპი



საზამთრო: კრიმსონ სვითი



საზამთრო: შუგა ბეიბი



საზამთრო: თაიგერი





ნესვი



გალიას ტიპი

გუელიზი / Gueliz RZ F1

HR MNSV/Fom:0,1 IR Px (ex Sf):2,5

- გალიას ტიპის კლასიკური ნესვის ჰიბრიდია ღია გრუნტში მოსაყვანად, რომელიც ხასიათდება კარგად ბალანსირებული საადრეო მოსავლით, ზრდის ძლიერი ტემპით და ნაყოფის გამონასკვის კარგი უნარით.
- ნაყოფს ქერქზე აქვს მკვეთრად გამოხატული ბადე.
- რბილობი რბილია, შაქრების მაღალი შემცველობით.

იუკარი / Jucar RZ F1

HR Fom: 0,1 IR Gc (ex Ec):1/Px (ex Sf): 2,5

- გალიას ტიპის საადრეო მოსავლის ნესვის ჰიბრიდი.
- ნაყოფები ოვალურ-მრგვალია, პატარა ზომის სათესლე კამერით, მასა 1.5–1.8 კგ.
- რბილობი თეთრია, უმნიშვნელო მომწვანო ტონით ქერქთან ახლოს.
- მცენარე ხასიათდება ძლიერი ზრდით და ნაყოფების გამონასკვის კარგი უნარით.
- მცენარეთა დარგვის სიხშირეა 8–10 ათასი მც./ჰა-ზე.
- გამძლეა ფუზარიოზის და ნაცრის მიმართ.

მონტსენი / Montseny RZ F1

HR Fom:0,1 IR Px (ex Sf):2,3,5

- გალიას ტიპის ყვითელი ჰიბრიდი, რომლის მოყვანა რეკომენდებულია ღია გრუნტში.
- ნაყოფები დიდი, მასით 2 კგ.
- რბილობი ონდავ მომწვანო შეფერილობისაა.
- ძლიერ მედეგია ფუზარიოზის მიმართ.
- საშუალოდ მედეგია ნაცრის მიმართ.

ტიპი - კანარის ყვითელი

დურკალ / Ducral RZ F1

HR Fom:0,2 IR Gc (ex Ec):1/Px (ex Sf):2,5

- შუა-სეზონის მოსავლის, კანარის ყვითელი ტიპის ნესვის ჰიბრიდი.
- სხვა ტიპის ნესვებისაგან განსხვავებით ხასიათდება კარგი ტრანსპორტირების უნარით.
- განვითარდება ნელადად სარეალიზაციოდ და გადამუშავებისათვის (მაგ: დაჭრილი ხილის ხემსი).
- მსოფლიოს გარშემო სუპერმარკეტების ქსელებში ძალიან მზარდი მოთხოვნით სარგებლობს.
- სავეგეტაციო პერიოდი 70-75 დღეა.
- ნაყოფი ოვალურია, მასით 2.5–3.0 კგ, ქერქის ზედაპირზე ძალიან უმნიშვნელო წიბოებით და ღია ყვითელი ფერით, კარგი სასაქონლო სახით.
- რბილობი თეთრია, წვნიანი და შაქრიანობა 12-13%-ის ფარგლებშია.
- მცენარე ძლიერია, გამოირჩევა ზრდის ძლიერი ტემპით, ფოთლების აპარატი კარგად განვითარებული აქვს.
- მცენარეთა დარგვის რეკომენდებული სიხშირეა 5-6 ათასი მც./ჰა-ზე.
- გამძლეა ფუზარიოზის და ნაცრის მიმართ.





პიელ დე საპო

რიკურა / Ricura RZ F1

HR MNSV/Fom:0,1 IR Gc (ex Ec):1/Px (ex Sf):2,5

- შუა-სეზონის ნესვის ჰიბრიდი, რომელსაც ახასიათებს ფოთლოვანი მასის კარგი დაფარვის უნარი, ასევე ქერქის დახეუქვის მიმართ მედეგობა.
- არ ახასიათებს სიღამლეების წარმოქმნა ქერქზე, იმ ადგილებში რომლითაც ეხება ნიადაგს.
- შესაძლებელია პირდაპირ თესლით დათესვა (ჩითილების გამოყვანის გარეშე).
- ეს ნესვის ჰიბრიდი შეიძლება გამოიყენოთ ხემსის სახით სარეალიზაციოდ (დაჭრილი ხილი), ან გავყინოთ კუბების სახით.
- სავეგეტაციო პერიოდი ჩითილების გადარგვიდან 75 - 85 დღეა.
- ნაყოფი ოვალურია, გრძელი ხაზებით, წიბოვანი და ერთგვაროვანია, მასით 1.8–2.2 კგ.
- გამოირჩევა უმაღლესი ხარისხის რბილობით, მაღალი გემოსა და არომატის თვისებებით.
- შაქრიანობა 14–16% ბრიქსის შკალის მიხედვით.
- ქერქი მწვანეა, მუქი მწვანე მხეფებით. რბილობი იდეალური თეთრი ფერისაა, სათესლე კამერა პატარაა.
- ჰიბრიდი შედის ევროპაში ძალიან პოპულარული პროდუქციის ბრენდულ ხაზში, სახელად: «მელისსიმო» – Mellissimo®.
- სხვა ნესვის ტიპებისაგან განსხვავებით გამოირჩევა საუკეთესო ტრანსპორტირების უნარით, ხანგრძლივად შენახვისას ინარჩუნებს პირვანდელ ხარისხს, ასევე სასაქონლო სახეს, ამიტომ მოთხოვნა დიდია სარესტორნო ქსელებში და ჰორეკა (HoReCa) სექტორში.
- განსაკუთრებით კარგად შეეხამება «ხამონს» ამიტომ, ესპანეთში ძალიან პოპულარული ჰიბრიდია, ასევე იყიდება დაჭრილი ხემსის სახით.
- მცენარეთა დგომის სიხშირეა 6–10 ათასი მც./ჰა-ზე.
- გამძლეა ნესვის ნეკროზული ლაქიანობის ვირუსის, ფუზარიოზის და ნაცრის მიმართ.

რეიმიელი / Reymiel RZ F1

HR MNSV/Fom:0,1 IR Gc (ex Ec):1/Px (ex Sf):2,3,5

- «პიელ დე საპო - Piel de Sapo» – ს ტიპის შუა-სეზონის ნესვის ჰიბრიდი, ფოთლების მასით კარგი დაფარვის უნარით.
- შესაძლებელია ნელადა რეალიზაცია და გადამუშავება.
- შუა-საგვიანო სეზონის ჰიბრიდი, სავეგეტაციო პერიოდით 80–85 დღე.
- ნაყოფის ქერქი მწვანე ფერისაა, მოგრძო-ოვალური ფორმის, ოდნავ წიბოვანი და ერთგვაროვანი, მასით 5–6კგ.
- რბილობი თეთრი, გემრიელი და არომატულია, სათესლე კამერა პატარა ზომისაა, შაქრიანობა 13–15% – ია ბრიქსის შკალით.
- გამძლეა ნესვის ნეკროზული ლაქიანობის ვირუსის, ფუზარიოზის და ნაცრის მიმართ.

რიკურა / Ricura RZ F1



ბრავურა / Bravura RZ F1

HR Fom:0,1,2 IR Ag/Gc (ex Ec):1/Px (ex Sf):2,5

- «პიელ დე საპო – Piel de Sapo» – ს ტიპის ნესვის ძლიერი ჰიბრიდი, რომელსაც ახასიათებს ფოთლების მასით კარგი დაფარვის უნარი და შენახვის ხანგრძლივი ვადა.
- სავეგეტაციო პერიოდი 75–85 დღეა.
- ნაყოფი ოვალურია, წიბოვანი, მასით 2.2–2.5(3.0 კგ-მდე) და მედეგია დახეუქვის მიმართ.
- რბილობი თეთრია, მიმზიდველი ხარისხის მაჩვენებლით, არაჩვეულებრივი გემოს თვისებებით, შაქრიანობა ბრიქსის შკალით 14–15%-ის დონეზეა.
- მცენარეთა დგომის სიხშირეა 6–8 ათასი მც./ჰა-ზე.
- მედეგია ფუზარიოზის, ნაცრის და ბაქტერიული ბუგრის მიმართ.



ბრავურა / Bravura RZ F1



ნესვი



ანანასის ტიპი ყვითელი რბილობით

კალინა RZ F1 / Kalyna RZ F1

NEW

HR Fom:0,1,2 IR Px (ex Sf):2,3,5

- ანანასის ტიპის შუა-საადრეო მოსავლის ნესვის ჰიბრიდი, რომელიც გამოირჩევა სასიამოვნო ნესვის არომატით, ფოთლებით გადაფარვის კარგი უნარით და შესანიშნავი ტრანსპორტირების უნარით.
- სავეგეტაციო პერიოდი 65–70 დღეა.
- ნაყოფები ოვალურია, საშუალო და დიდი ზომის, მასით 2.5-დან 4 კგ-მდე, აქვს პატარა სათესლე კამერა და ქერქზე ხშირი, მკვეთრად გამოხატული ბადე.
- რბილობი ნაჯერი მოყვითალო-ნარინჯისფერია, საუკეთესო გემოს თვისებებით, შაქრიანობა 13–14% – ია ბრიქსის შკალით.
- მცენარე მძლავრია.
- შესაძლებელია თესლის პირდაპირი წესით დათესვა.
- რეკომენდებული სიხშირე 6–8 ათასი მც./ჰა-ზე, დიდი ზომის ნაყოფების მისაღებად მცენარეთა რეკომენდებული სიხშირე კი 4–5 ათასი მც./ჰა-ზე.
- გამძლეა ფუზარიოზის და ნაცრის მიმართ.

ტარგო / Tagbo F1 RZ (34-870)

NEW

HR Fom:0,2

- ანანასის ტიპის ნესვის ჰიბრიდი, თეთრი რბილობით.
- ნაყოფი ერთგვაროვანია და ოვალური ფორმის, ინტენსიური და ლამაზი ბადით ქერქზე, საშუალო მასა 2.5–3 კგ-ია.
- აქვს შაქრების მაღალი შემცველობა ბრიქსის შკალით 14% და მცირე ზომის თესლის კამერა.
- მცენარე მძლავრია, ძლიერი გამონასკვის უნარით, რაც მაღალი მოსავლის გარანტიაა.
- ძლიერ მედეგია ფუზარიოზის მიმართ.



კარიბიან გოლდი / Caribbean Gold RZ F1



კანტალუპას ტიპი

კარიბიან გოლდი / Caribbean Gold RZ F1

HR Fom: 0,1,2 IR Px (ex Sf): 2/Ag

- შუა-საგვიანო სეზონის, კანტალუპას ტიპის ნესვის ჰიბრიდი.
- შესაძლებელია ნელადა, ჭორფა პროდუქციის სახით რეალიზაცია (დაჭრილი ხილი, გაყინული) და ხანგრძლივი შენახვისათვის (1–2 თვის განამჯლობაში, ოპტიმალური პირობების შექმნით შესაძლებელია კამერებში).
- მასზე მოთხოვნა ძალიან მზარდია სარესტორნო ქსელებსა და ჰორეკა (HoReCa) სექტორში, ასევე ნედლი ბოსტნეულის ბაზრობებზე.
- სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 80–85 დღეა.
- ნაყოფები ოვალურია და ერთგვაროვანი, ძალიან მჭირდო და მსხვილი ბადით ქერქზე, მასა 1.8–2.2 კგ-ია.
- აქვს შესანიშნავი ტრანსპორტირების უნარი სქელი ქერქის და პატარა სათესლე კამერის გამო.
- რბილობი ღია ნარინჯისფერი, წვნიანი და ტკბილია (12–13% ბრიქსის შკალის მიხედვით).
- მცენარე ძლიერ მოზარდია, კარგად განვითარებული ფოთლების აპარატით.
- მოსავლის აღება კონცენტრირებულია და შესაძლებელია 1–2 ჯერ!
- მცენარეთა დგომის სიხშირეა 7-8 ათასი მც/ჰა-ზე.
- გამძლეა ფუზარიოზის, ნაცრის და ბაღრის ბუგრის მიმართ.

მირანდოლი / Mirandol RZ F1

HR Fom: 0,1 IR Gc (ex Ec):1/Px (ex Sf): 2,5


- კანტალუპას ტიპის ნესვის ჰიბრიდი მავნებლების და ნაცრის მიმართ მაღალი გამძლეობით
- რეკომენდებულია მოყვანა საადრეოდ და საზაფხულო ბაღებისათვის, ღია გრუნტში.
- ნაყოფებს აქვს კარგად გამოკვეთილი ბადე ქერზე, ხასიათდება შაქრების მაღალი შემცველობით, ტრანსპორტაბელურია.
- მცენარე კარგად ეგუება ზაფხულის ცხელ პირობებს.
- ძლიერ მედეგია ფუზარიოზის, ნაცრის და ბაღრის ბუგრის მიმართ.

ჰარპერის ტიპი

კარიბიან კინგი / Caribbean King RZ F1

HR Fom:0,1,2 IR Px (ex Sf):2,3,5

- ჰარპერის ტიპის სადეგუსტაციო ნესვის ჯიში, რომელსაც საველე პირობებში ახასიათებს კარგი სტაბილურობა, აქვს ხანგრძლივი ვადით შენახვის უნარი, გამოსადეგია გადამამუშავებელ მრეწველობაში.
- ნაყოფები დიდია მომცრო საზებით და ხშირი ბადით.
- რბილობი ინტენსიური ნარინჯისფერია, საუკეთესო გემოთი, შაქრების მაღალი შემცველობით (ბრიქსის შკალით 15%).



კარიბიან კინგი / Caribbean King RZ F1



საზამთრო



«კრიმსონ სვითის - Crimson Sweet» ტიპი

ქეროლი / Carroll RZ F1

- «კრიმსონ სვითი – Crimson Sweet» – ს ტიპის საადრეო სიმწიფის საზამთროს ჰიბრიდი, ყველაზე საადრეო კომპანია «რიც ცვანის» ასორტიმენტში, რომელიც ხასიათდება ძალიან მაღალი მოსავლით, ნაყოფების ერთგვაროვნებით და საუკეთესო ტრანსპორტირების უნარით.
- ჰიბრიდი კარგად ეგუება ინტენსიურ კვების რეჟიმებს, რეკომენდებულია მოყვანა პოლიეთილენის გადახურვებში (სხვა გადახურვით: აგრო ქსოვილი ან სხვ.) და ღია გრუნტშიც.
- სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობაა 58–62 დღეა.
- ნაყოფი მომრგვალო - ოვალური ფორმისაა, მასით 7–9 კგ და გამოირჩევა მიმზიდველი, მუქი მწვანე ფერის ქერქით.
- რბილობი ღია წითელია, ხრამუნა და უმაღლესი გემოს თვისებებით ხასიათდება, აქვს მომცრო ზომის შავი ფერის კურკები.
- მცენარე საშუალო სიძლიერისაა, ფოთლოვანი მასის კარგი საფარით.
- რეკომენდებულია მყნობა საძირე ფერო F1-ზე.
- მცენარეების სიხშირე ნაკვეთზე 7–9 ათასი მც./ჰა-ზე.

კოლამბია / Columbia RZ F1

HR Fom: 1

- შუა-საადრეო სეზონის «კრიმსონ სვითი – Crimson Sweet» – ს ტიპის საზამთროს ჰიბრიდი, ხასიათდება გამონასკვის კარგი უნარით სრტესული ფაქტორების დროსაც.
- რეკომენდებულია მისი მოყვანა დროებითი პოლიეთილენის გადახურვის ქვეშ, ღია გრუნტში.
- სავეგეტაციო პერიოდი 68–72 დღეა.
- ნაყოფი მრგვალი ფორმისაა, ერთგვაროვანი, მასით 6–7 კგ და ტანსპორტაბელურია.
- ხასიათდება ბზინვარე ქერქით, რომელიც ღია მწვანე ზოლებითაა დახატული.
- რბილობი მუქი წითელი და ხრამუნაა, ძალიან გემრიელია და ტკბილია (შაქრიანობა 12–13% ბრიქსის შკალით).
- მცენარე კარგად განვითარებულია, ძლიერი ფოთლოვანი აპარატით.
- მცენარეთა რეკომენდებული რაოდენობაა 6–7 ათასი მც./ჰა-ზე.



კოლამბია / Columbia RZ F1



ონეიდა / Oneida RZ F1

- ძალიან საადრეო «კრიმსონ სვიტი – Crimson Sweet» – ს ტიპის საზამთროს ჰიბრიდი.
- აქვს მაღალი ხარისხის ნაყოფების მოსავლის პოტენციალი.
- რეკომენდებულია ხელოვნური გადაფარვით მოყვანა გრუნტში (აგრო ქსოვილი და სხვ.)
- სავეგეტაციო პერიოდი 60–62 დღეა.
- ნაყოფი მომრგვალო ფორმისაა, ერთგვაროვანი, მასით 6-8 კგ, ტრანსპორტაბელური.
- რბილობი ღია წითელია, მცირე რაოდენობის პატარა ზომის თესლებით, ხრამუნაა და ტკბილი (შაქრიანობა 11–12%).
- მცენარეს აქვს ფოთლებით გადაფარვის უნარი.
- მცენარეთა რეკომენდებული რაოდენობა 8–10 ათასი მც./ჰა-ზე.



ლუსიტანა / Lusitana RZ F1

- «კრიმსონ სვიტი – Crimson Sweet» – ს ტიპის, დიდი ზომის საზამთროს ჰიბრიდი.
- აქვს განსაკუთრებით მაღალი მოსავლის პოტენციალი.
- ნაყოფი დიდი ზომისაა, ოვალური ფორმით, კურკებიანი.
- რბილობი ინტენსიური წითელი ფერისაა კარგი არომატით.



ლუსიტანა / Lusitana RZ F1

მორგანი / Morgan RZ F1

მორგანი / Morgan RZ F1

- შუა-საადრეო «კრიმსონ სვიტი – Crimson Sweet» – ს ტიპის საზამთროს ჰიბრიდი რომელიც ხასიათდება მაღალი და სტაბილური მოსავლით სხვადასხვა კლიმატურ ზონებში მოყვანისას.
- აქვს კარგი ტრანსპორტირების უნარი და შესანიშნავი სასაქონლო ვიზუალი.
- რეკომენდებულია ღია გრუნტში მოყვანა.
- სავეგეტაციო პერიოდი 68–72 დღეა.
- ნაყოფი წაგრძელებული ოვალური ფორმისაა, მასით 12–15 კგ(პოტენციალი 18კგ), ერთგვაროვანია და ხასიათდება ბზინვარე მუქი მწვანე ქერქით, რომელსაც დაყვება ვიწრო მწვანე ზოლები.
- რბილობი ღია წითელია, ხრამუნა, მაღალი გემოს თვისებებით(შაქრიანობა 13.5–14% ბრიქსის შკალით).
- მცენარე კარგად განვითარებულია და აქვს ძლიერი ფოთლის აპარატი.
- მცენარეთა რეკომენდებული რაოდენობაა 6–7ათასი მც./ჰა-ზე (წვეთოვანი მორწყვით), ხოლო 4–5 ათასი მც./ჰა-ზე (წვეთოვანის მორწყვის გარეშე).





საზამთრო



ლანიკაი / Lanikai RZ F1

ლანიკაი / Lanikai RZ F1

- შუა-საადრეო «კრისმონ სვითი – Crimson Sweet» – ს ტიპის, უკურო, მაღალმოსავლიანი საზამთროს ჰიბრიდი.
- აქვს უბადლო გემოს თვისებები
- ტრანსპორტაბელურია.
- მოსავლის აღების შემდგომ ინახება ხანგრძლივად.
- ამ ჰიბრიდზე სუპერმარკეტების ქსელებისგან, მისი გემოს და ხანგრძლივად შენახვის თვისებების გამო მოთხოვნა მუდმივად იზრდება.
- რეკომენდებულია მისი მოყვანა დროებითი პოლიეთილენის გადახურვის ქვეშ, ღია გრუნტში.
- სავეგეტაციო პერიოდი 68–72 დღეა.
- ნაყოფი მომრგვალო და ერთგვაროვანია, მასით 6–8კგ, აქვს მუქი მწვანე ქერქი და ღია მწვანე ზოლები.
- რბილობი მუქი წითელია, ხრამუნა და კურკების გარეშე, ტკბილია (შაქრიანობა 13–14% ბრიქსის შკალით).
- მცენარე არის ძლიერი, ფოთლებით კარგი გადაფარვის უნარით.
- მცენარეთა რეკომენდებული რაოდენობაა 6–8 ათასი მც./ჰა-ზე (25% დამამტვერიანებელი ჯიშების ჩათვლით).
- დამამტვერიანებლად რეკომენდებულია ჰიბრიდი უელვა.

ბრეტონა / Bretona RZ F1

2020 წლის სიახლე!

- «კრისმონ სვითი – Crimson Sweet» – ს ტიპის, საადრეო საზამთროს ჰიბრიდი, რომლის მოყვანა რეკომენდებულია ღია გრუნტში დროებითი გადაფარვით (აგრო ქსოვილი, პოლიეთილენი და სხვ.
- სავეგეტაციო პერიოდი შეადგენს 65–68 დღეს.
- ნაყოფი ოვალური წაგრძელებული ფორმისაა, ერთგვაროვანია და ტრანსპორტაბელური, მასით 9–12 კგ.
- ქერქი ბზინვარა, მუქი მწვანე ფერის და გრძივი მწვანე ზოლებით.
- რბილობი ნაჯერი წითელი ფერისაა, ხრამუნა, საშუალო ზომის თესლებით, ხასიათდება მაღალი გემოს თვისებებით და ხარისხის მაჩვენებლებით, შაქრიანობა 12.5–13%-ია.
- მცენარე კარგადაა განვითარებული, ძლიერი ფოთლების აპარატით.
- მცენარეთა რეკომენდებული რაოდენობა 6–8 ათასი მც./ჰა-ზე (წვეთოვანი მორწყვით), ხოლო 4–5 ათასი მც./ჰა-ზე (წვეთოვანი მორწყვის გარეშე).

კამპოლინა / Campolina RZ F1

სიახლე!

- «კრისმონ სვითი – Crimson Sweet» – ს ტიპის საზამთროს ჰიბრიდი.
- ნაყოფი დიდი ზომისაა, ოვალური ფორმის, საშუალო მასით 8 კგ-დან.
- რბილობი ძალიან ლამაზია, მუქი წითელი ფერით.



ბრეტონა / Bretona RZ F1



თაიგერი

ტიგრინიო / Tigrinho RZ F1

- «თაიგერის» (Tiger) ტიპის ხეშაღ მისართმევი საზამთროს ჰიბრიდი, მიკრო თესლებით რბილობში.
- სუპერმაკეტების ქსელებსა და ბაზრობებზე მოთხოვნა მუდმივად იზრდება.
- საადრეო სიმწიფის ჰიბრიდია, კარგი ტრანსპორტაბელობით
- მოყვანა რეკომენდებულია ღია გრუნტში დროებითი გადახურვის მეთოდით (პოლიეთილენი, აგრო ქსოვილი ან სხვ.)
- სავეგეტაციო პერიოდი 65 -68 დღეა.
- ნაყოფი მომრგვალოა და ერთგვაროვანი, მასით 2-4 კგ, ხასიათდება ბზინვარე მწვანე ქერქით და ვიწრო მუქი მწვანე ზოლებით.
- რბილობი მიმზიდველი წითელი ფერისაა, ხრამუნა და ტკბილი (შაქრიანობა 12–13% ბრიქსის შკალით).
- მცენარე განვითარებულია და აქვს ფოთლებით კარგი გადაფარვის უნარი.
- მცენარეთა რეკომენდებული რაოდენობა 8–10 ათასი მც./ჰა-ზე(მცენარეების რაოდენობის შემცირებით შესაძლებელია ნაყოფის მასის ზრდა).
- უკურო ჰიბრიდების ნარგაობებში გამოიყენება როგორც დამამტვერიახელი (ტიტანია, ლანიკაი).



ტიგრინიო / Tigrinho RZ F1

თაიგერი

კიდმანი / Kidman RZ F1

- «თაიგერის» (Tiger) ტიპის პირველი ჰიბრიდი კურცების გარეშე «რიკ ცვანის» ასორტიმენტში.
- მოთხოვნადია სუპერმაკეტებში და ბოსტნულის ბაზრობებზე.
- ჰიბრიდი საშუალოდ საადრეოა, კარგი ტრანსპორტირების უნარით და მაღალი ხარისხის სასაქონლო მაჩვენებლებით.
- შესაძლებელია მოყვანა დროებითი პოლიეთილენის გადაფარვით (აგროქსოვილით ან სხვ.).
- სავეგეტაციო პერიოდი ჩითილების გადარგვიდან 70–75 დღეა.
- ნაყოფი მომრგვალოა და ერთგვაროვანი, მასით 5–6კგ, ხასიათდება ბზინვარე მწვანე ქერქით ღია მწვანე ზოლებით.
- რბილობი მიმზიდველი წითელი ფერისაა, ხრამუნა, ტკბილი(12–13% ბრიქსის შკალით).
- მცენარე არის ძლიერი, ფოთლების კარგი გადაფარვის უნარით.
- მცენარეთა რეკომენდებული რაოდენობაა 7–8 ათასი მც./ჰა-ზე, (25% დამამტვერიახელის ჩათვლით).
- დამამტვერიახელად გამოიყენეთ ჰიბრიდი უელვა.
- საძირების გამოყენების(ფერო და კობალტი)შემთხვევაში, მცენარეთა რეკომენდებული რაოდენობაა 5–6 ათასი მც./ჰა-ზე.



კიდმანი / Kidman RZ F1



საზამთრო



ტროპიკალ სანშაინი / Tropical sunshine RZ F1

ტროპიკალ სანშაინი / Tropical sunshine RZ F1

- «შუგა ბეიბის» (Sugar Baby) ტიპის პირველი ყვითელრბილობიანი საზამთროს ჰიბრიდია «რიც ცვანის» ასორტიმენტში.
- საადრეო, მალმწიფადი და მაღალმოსავლიანი ჰიბრიდია, კარგი გემოს თვისებებით.
- რეკომენდებულია ღია გრუნტში დროებითი გადახურვით მოყვანა (აგრო ქსოვილი, პოლიეთილენი ან სხვ.).
- ძალიან გემრიელი ყვითელი საზამთროა, კარგი ტრანსპორტაბელობით და ხანგრძლივად შენახვის ვადით.
- სავეგეტაციო პერიოდი ჩითილების გადარგვიდან 62–64 დღეა.
- ნაყოფი მომრგვალო და ერთგვაროვანია, მასით 4–5 კგ, აქვს მწვანე ქერქი გრძივად მუქი მწვანე ზოლებით.
- შიგთავსი ღია ყვითელია, უკურო, ხრამუნა და ტკბილია (შაქრიანობა 13% ბრიქსის შკალით).
- მცენარე ბალანსირებული ტიპისაა და აქვს ფოთლებით კარგი გადაფარვის უნარი.
- მცენარეთა რეკომენდებული რაოდენობა 6–8 ათასი მც.ჰა-ზე (25% დამამტვერიანებლის ჩათვლით).
- დამამტვერინებული ჰიბრიდი: იუკონი ან ტიგრინიო.



ბარონესა / Baronessa RZ F1


- «შუგა ბეიბის» (Sugar Baby) ტიპის, შუა-საადრეო სეზონის საზამთროს ჰიბრიდი.
- მაღალმოსავლიანი (6 ნაყოფამდე კარგი კვების პირობებში) და ტრანსპორტაბელობით.
- სავეგეტაციო პერიოდი 70–75 დღეა.
- ნაყოფი მომრგვალო-ოვალური ფორმისაა, დიდი ზომის, მასით 8–10 კგ, ერთგვაროვანი.
- ხასიათდება ბზინვარე მუქი მწვანე ქერქით და ცვილის მკვრივი ფენით.
- რბილობი მუქი წითელი და ხრამუნაა.
- რბილობში თესლი ძალიან ცოტაა.
- მცენარე ძლიერია, კარგად განვითარებული დიდი რაოდენობის ფოთლებით, რომლებიც კარგად იცავენ ნაყოფს მზის დამწვრობისგან.




შუგა ბებიები

ტიტანია / Titania RZ F1

- «შუგა ბებიის» (Sugar Baby) ტიპის, შუა-საადრეო სეზონის უკურო საზამთროს ჰიბრიდი.
- მაღალმოსავლიანი ჰიბრიდია, საუკეთესო გემოს თვისებებით და ტრანსპორტირების კარგი უნარით.
- რეკომენდებულია ღია გრუნტში დროებითი გადახურვით მოყვანა (აგრო ქსოვილი, პოლიეთილენი ან სხვ.).
- სავსეგეგმად პერიოდი, ჩითილების გადარგვიდან 65–72 დღეა.
- ნაყოფი მრგვალი და ერთგვაროვანია, მასით 7–8 კგ, ხასიათდება, ბზინვარე მუქი მწვანე ქერქით და ცვილის მკვრივი ფენით.
- რბილობი მუქი წითელია, უკურო, ხრამუნა და ტბილი (შაქრიანობა 13% ბრიქსის შკალით).
- მცენარე ძლიერია და კარგადაა განვითარებული, აქვს ფოთლებით კარგი გადაფარვის უნარი.
- მცენარეთა რეკომენდებული რაოდენობა 5–6 ათასი მც./ჰა-ზე (25% დამამტვერიანებლის ჩთვლით).
- რეკომენდებულია დამამტვერიანებლად ჰიბრიდი იუკონის გამოყენება.
- საზამთროს საძირების (ფერო და კობალტი) გამოყენებისას, მცენარეთა რეკომენდებული რაოდენობაა 4–5 ათასი მც./ჰა-ზე.



ტიტანია / Titania RZ F1





კომბოსტო



თუთრთავიანი კომბოსტო



კომბოსტო კონუსური თავით



წითელთავიანი კომბოსტო



ყვავილოვანი კომბოსტო



კომბოსტო რომანესკო



ბროკოლი





თეთრთავიანი კომბოსტო




ზარისსიმა / Zarissima RZ F1

- ახალი, თეთრთავიანი კომბოსტის საადრეო ჰიბრიდი, რომელსაც ახასიათებს კარგი მედეგობა სოკოვანი დაავადებების მიმართ;
- განსაკუთრებულად კარგი შედეგები აქვს გადახურვით მოყვანისას (სათბური, აგრო ქსოვილი და სხვ.).
- საადრეო მოსავლისთვის ჩითილების მისაღებად ითვლება ძალიან ადრე (შესაძლებელია საგვიანოდ გადარგვაც ღია გრუნტში).
- სარეალიზაციოდ ვარგის და ზარისსიმა თავს ივითარებს ჩითილების გადარგვიდან 45 - 50 დღეში.
- თავი საუკეთესო ზარისსიმა, მკვრივი სტრუქტურით, მასა 0.8-1.8 კგ-ია.
- თავის საადრეოდ ფორმირების უნარი საშუალებას იძლევა, მოვჭრათ 0.5 კგ-იანი(ან მეტი მასის) თავები.
- მცენარე არ ივითარებს კონუსისებურ თავებს.
- მცენარეთა რეკომენდებული სიხშირეა გადაფარვით (აგრო ქსოვილი ან სხვ.) 6 - 7 მც./მ².

პუშმა / Pushma RZ F1

- თეთრთავიანი კომბოსტის ჰიბრიდი, რომელსაც სავსე პირობებში ახასიათებს ძალიან მაღალი მედეგობა სოკოვანი დაავადებების მიმართ, შესაძლებელია მოყვანა გადაფარვით (აგრო ქსოვილი და სხვ.), ასევე კარგად იზრდება ღია გრუნტში შედარებით გვიან ვადებში გადარგვისას.
- სავსეგვადი პერიოდი ჩითილების გადარგვიდან, სარეალიზაციოდ მზა თავის ფორმირებამდე შეადგენს 46 - 50 დღეს.
- თავები მკვრივია, მომრგვალო, მასით 0.8-2.2 კგ.
- მცენარეთა დარგვის რეკომენდებული სიხშირეა 50 - 60 ათასი მც./ჰა-ზე ღია გრუნტში და 6 - 8 მც./მ² - ზე გადახურულში.





ბოლერომა / Boleroma RZ F1

HR Foc: 1

- თეთრთავიანი კომბოსტოს ჰიბრიდი, რომელსაც აქვს ფუზარიოზისადმი მედეგობა და ახასიათებს სტრესული ფაქტორების მიმართ გამძლეობა.
- რეკომენდებულია ღია გრუნტში მოყვანა, როგორც პირდაპირი დათესვით, ისე ჩითილების გადარგვის წესით (ამ შეთხვევაში შესაძლებელია უფრო დიდი ზომის თავების მიღება).
- განვითარდება ნელადად სარეალიზაციოდ.
- სავეგეტაციო პერიოდი 60 – 75 დღეა.
- თავების დასკდომის ალბათობა იშვიათია და არ ახასიათებს.
- მცენარეთა დარგვის რეკომენდებული სიხშირეა 35 – 50 ათასი მც./ჰა-ზე.

ჯინტამა / Gintama RZ F1

HR Foc: 1

- უნივერსალური დანიშნულების თეთრთავიანი კომბოსტოს ჰიბრიდი, რომელსაც ახასიათებს საველე პირობებში სტრესული ფაქტორების მიმართ მაღალი მედეგობა.
- მოყვანა შესაძლებელია ზამთარში თითქმის ყველა კლიმატურ ზონაში; სამხრეთ რეგიონებში კი - მეორე ბრუნვაშიც.
- განვითარდება ბოსტნულის ბაზრობებზე ნელადად სარეალიზაციოდ, საწარმოო გადამუშავებისთვის და მოკლევადიანი შენახვისათვის.
- მოკლევადიანი შენახვისათვის აუცილებელია ჩითილების გადარგვა 15 ივნისის შემდგომ.
- სავეგეტაციო პერიოდი 90 - 100 დღეა.
- თავი ბრტყელი-მომრგვალოა, ძალიან მკვრივი და კომპაქტურია, პატარა შიდა მურკით, მასა 1.8-4.0 კგ-ია.
- მასის რეგულირება შესაძლებელია მცენარეთა დარგვის სიხშირით.





თეთრთავიანი კომბოსტო



კორსუმა / Korsuma RZ F1

HR Foc: 1

- თეთრთავიანი კომბოსტოს ჰიბრიდი, რომელიც ხასიათდება ფუზარიოზის მიმართ მედეგობით, მისი მოყვანა რეკომენდებულია ყველა კლიმატურ ზონაში, როგორც ჩითილებით, ისე პირდაპირი დათესვის წესით, აგრეთვე სამხრეთ რეგიონებში.
- შესაძლებელია მეორე ბრუნვაში მოყვანაც.
- შეუდარებელია ნედლად სარეალიზაციოდ, საუკეთესოა სალათების მოსამზადებლად და გამოდგება დასამწნილებლად.
- თავი ნაჯერი მწვანე ფერისაა, მრგვალი ფორმის, მასით 3.5-4.5 კგ.
- მოსავლის ფორმირება ხდება ჩითილების გადარგვიდან 90 - 100 დღის შემდგომ.
- ხასიათდება მკვრივი და მჭიდრო შიდა სტრუქტურით.
- სასაქონლო სახეს და ხარისხის მაჩვენებლებს არ კარგავს შენახვიდან 4 თვის შემდგომაც.



კორსუმა / Korsuma RZ F1

სეკომა / Secoma RZ F1

HR Foc: 1

- უნივერსალური დანიშნულების თეთრთავიანი კომბოსტოს ჰიბრიდი, რომელსაც ახასიათებს ბაქტერიოზის და ფუზარიოზის მიმართ მედეგობა.
- რეკომენდებულია მოყვანა ყველა კლიმატურ ზონაში, ძალიან კარგი შედეგებით გამოირჩევა მშრალ რეგიონებში.
- სამხრეთ რეგიონებში შესაძლებელია მეორე ბრუნვაში მოყვანა.
- განუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ, საწარმოო გადამამუშავებისთვის და მოკლევადიანი შენახვისათვის.
- სავეგეტაციო პერიოდი 105 - 110 დღეა.
- თავი ლამაზი მწვანე ფერისაა, მომრგვალო, მასით 2.5-5.5 კგ; მოკლე შიდა მურვით და ახასიათებს თანაბრად განწილებული ფოთლების ფენებით.
- მცენარეს აქვს კარგად განვითარებული როზეტი, ძლიერი ცვილის ფენით.



სეკომა / Secoma RZ F1

კონგამა / Congama RZ F1

HR Foc: 1

- თეთრთავიანი კომბოსტოს ჰიბრიდი, რომელიც საველე პირობებში გამძლეა ფუზარიოზის მიმართ და კარგად ეგუება არასტაბილურ აგროტექნოლოგიურ პირობებს.
- განუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ.
- სავეგეტაციო პერიოდი 100 - 125 დღეა.
- თავი მწვანე ფერისაა, ძლიერი ცვილის ფენით, ბუშტის ფორმის, მკვრივი შინაგანი სტრუქტურით, მასა 1.3-3.5 კგ.
- მცენარე ძლიერია, მოცისფრო-მწვანე ფერის ვერტიკალურად მოზარდი და ნახევრად აწეული ფოთლებით.
- მცენარეთა დარგვის სიხშირეა 30 - 60 ათასი მც./ჰა-ზე.



კონგამა / Congama RZ F1



ანკომა / Ancoma RZ F1

ანკომა / Ancoma RZ F1

HR Foc: 1

- თეთრთავიანი კომბოსტოს ყველაზე პოპულარული ჰიბრიდი შუა-საგვიანო სეგმენტში, რომელიც შესანიშნავად ეგუება ინტენსიურ აგროტექნოლოგიას და წვეთოვანი მოწყობით მოყვანის პირობებს.
- ძალიან საიმედო ჰიბრიდია, ხანგრძლივად შენახვის შემდგომაც კი შესაძლებელია დამწნილება და სალათებში გამოყენება.
- სავეგეტაციო პერიოდი 110 - 120 დღეა.
- თავი მრგვალია, მასით 3.5-5.0 კგ, მომრგვალო ფორმის, მკვრივი, ფოთლების და ცვილის ფენით კარგი დაფარვით, ფიფქვით თეთრი შიდა ფურცლებით.
- ხანგრძლივი შენახვის შემდგომ თავების გასუფთავება შესაძლებელია მინიმალური დანაკარგებით.
- გადარგვის ვადები: აპრილის შუა რიცხვებიდან - ივნისის შუა რიცხვებამდე (შესაძლებელია თესლით პირდაპირი დათესვა!).
- მოსავლის აღება: აგვისტოდან - ოქტომბრის შუა რიცხვებამდე.
- სარეალიზაციო პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია: შუა აგვისტოდან - მაისის დასაწყისამდე.

მუკსუმა / Mucsuma RZ F1

HR Foc: 1

- თეთრთავიანი კომბოსტოს ჰიბრიდი, რომელიც ხასიათდება ფუზარიოზის მიმართ მედეგობით, უზრუნველყოფს მაღალ მოსავალს რეგიონებში ცხელი და მშრალი კლიმატური პირობებით.
- განუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ, გადასამუშავებლად და შესანიშნავია ხანგრძლივად შენახვისათვის.
- სავეგეტაციო პერიოდი 125 - 135 დღეა.
- თავი მომრგვალოდან, მომრგვალო-ოვალური ფორმისაა, მასით 3.0-4.5 კგ;
- კარგად აქვს განვითარებული ცვილის ფენა, დიდი ზომის და მარტივად მოსაცლელი ფოთლების საფარით.
- ახასიათებს ხარისხის მაღალი მაჩვენებლები, არის სტრუქტურულად მკვრივი და აქვს თანაბარი წყობის ფოთლების ფენები.
- გადარგვის ვადები: აპრილის შუა რიცხვები - ივნისის დასაწყისი.
- მოსავლის აღება რეკომენდებულია დავიწყით სექტემბრის შუა რიცხვებიდან, ნოემბრის დასაწყისამდე.
- რეგიონებში სადაც შესაძლებელია ზამთარში მოყვანა, ჩითილების გადარგვა ხდება სექტემბერში, ხოლო მოსავლის აღება - მარტში.



მუკსუმა / Mucsuma RZ F1



თეთრთავიანი კომბოსტო



ლაგრიმა / Lagrima RZ F1

ლაგრიმა / Lagrima RZ F1

HR Foc: 1

- თეთრთავიანი კომბოსტოს საგვიანო ჯიშია, რომელსაც აქვს ფუზარიოზის და თრიფსების მიმართ მაღალი მედეგობა, საუკეთესოდ ადაპტირდება და ეგუება სხვადასხვა აგროტექნოლოგიას.
- განკუთვნილია საწარმოო გადამუშავებისათვის, დასამწნილებლად და ხანგრძლივი შენახვისათვის.
- სავეგეტაციო პერიოდი 120–130 დღეა.
- თავი მომრგვალოა (ბუშტის ფორმის), მასით 3.0 კგ-დან 6.0 კგ-მდე, აქვს მაღალი ხარისხის მაჩვენებლები და მკვრივი სტრუქტურა.
- მცენარე ძლიერია, ივითარებს მუქი მწვანე ფერის და დიდი ზომის როზეტს, ძლიერი ცვილის ფენით.
- ძალიან საიმედო ჰიბრიდია, კარგად ინახება მინდორში.
- სასაქონლო სახეს და ხარისხის მაჩვენებლებს ინარჩუნებს ხანგრძლივი შენახვის და გადამუშავების შემდგომაც.

ფლექსიმა / Flexima RZ F1

HR Foc: 1

- თეთრთავიანი კომბოსტოს საგვიანო ჰიბრიდი, რომელიც განკუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ, ასევე ხანგრძლივად შენახვისათვის.
- სავეგეტაციო პერიოდი 125–135 დღეა.
- თავი მომრგვალო ფორმის, კომპაქტურია, მასით 1.5–3.0 კგ, ფოთლების მკვრივი და მჭიდრო ფენებით.
- მცენარე ძლიერია, მუქი მწვანე ფერით, კარგი ცვილის ფენით და ერთგვაროვანი თავებით.
- მცენარეთა დარგვის რეკომენდებული სიხშირეა 35–45 ათასი მც./ჰა-ზე.



ფლექსიმა / Flexima RZ F1



მულტიმა / Multima RZ F1

HR Foc: 1

- შუა-საგვიანო სეზონის თეთრთავიანი კომბოსტოს ჰიბრიდი, რომელიც გამოდგება ნედლად სარეალიზაციოდ და სამრეწველო გადამამუშავებისთვის.
- კარგად იტანს ცხელ და ნესტიან კლიმატურ პირობებს.
- შესაძლებელია მთელი სეზონის განმავლობაში მოყვანა.
- რეგიონებში სადაც ზამთარი შედარებით რბილია, შესაძლებელია მოსავლის ზამთარში აღება.
- თავი ხასიათდება მომრგვალო-მობრტყო ფორმით, მიმზიდველი მოლურჯო მწვანე ფერით, ხოლო მასა 1.8 – 4.0 კგ-ია. შესაძლებელია ბრტყელი თავის მიღება შემოდგომის და ზამთრის სეზონზე.
- შიდა სტრუქტურის მიხედვით ფოთლები თავისუფლადაა განლაგებული და ფაშარია, მოთეთრო მოყვითალო ფერით.
- სავეგეტაციო პერიოდი 85 - 100 დღეა.
- მცენარეთა დარგვის სიხშირეა 30 - 45 ათასი მც. /ჰა-ზე.
- ძლიერ მედეგია თრიფსების მიმართ.
- რეზისტენტულია ფუზარიოზის მიმართ.



მულტიმა / Multima RZ F1



ტაკომა / Tacoma RZ F1

ტაკომა / Tacoma RZ F1

HR Foc: 1

- შუა-საგვიანო სეზონის თეთრთავიანი კომბოსტოს ჰიბრიდი, რომლის გამოყენება რეკომენდებულია ნედლად და შესაძლებელია სამრეწველო გადამამუშავებაც.
- საუკეთესოდ იტანს სტრესულ გარემო პირობებს: ნესტიანი და ძალიან ცხელი კლიმატი.
- თავი ხასიათდება მიმზიდველი მომრგვალო-მობრტყო ფორმით, გარე საფარი ფოთლები მოლურჯო მწვანეა და აქვს ძლიერი ცვილის ფენა. მასა 1.5 – 3.5 კგ-ია.
- ფოთლები თავისუფლადაა განლაგებული და ფაშარია, მოთეთრო ყვითელი და თხელია.
- კლიმატური პირობების გათვალისწინებით, შესაძლებელია მთელი სეზონის განმავლობაში კულტივირება, ხოლო ბრტყელი თავების მისაღებად რეკომენდებულია ივნისის შუაში დარგვა.
- სავეგეტაციო პერიოდი 70 – 80 დღეა.
- მცენარეთა დარგვის სიხშირეა 28 - 40 ათასი მც. /ჰა-ზე.
- ძლიერ მედეგია თრიფსების და ფუზარიოზის მიმართ.



თეთრთავიანი კომბოსტო



მადალია / Madalya RZ F1

NEW

HR Foc: 1

სიახლე ჩვენს ასორტიმენტში!

- თეთრთავიანი კომბოსტოს ჰიბრიდი, რომელიც განუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ და სამრეწველო გადამამუშავებისთვის.
- მცენარეს ახასიათებს ზრდის საშუალო სიძლიერე და საშუალო სიმაღლე.
- შესაძლებელია მთელი სეზონის განმავლობაში მოყვანა, თუმცა კარგი შედეგები აქვს ზაფხულსა და შემოდგომაზე.
- მოსავლის აღების რეკომენდებული დროა შუა სეზონზე.
- მცენარე თავს ძალზე სწრაფად ივითარებს (ივითარებს 20-ზე მეტ თხელ ფოთოლს, რომლებიც გამოიყენება შესახვევად, მაგ: როლები, ტოლმა და გამოდგება ტრადიციული მწნილებისათვის).
- თავი ბრტყელია, შიდა ფაშარი სტრუქტურით, ხოლო მასა 1.5 – 3.5 კგ-ია. ფოთლები მომწვანო ყვითელია, საშუალო ცვილის ფენით.
- სავეგეტაციო პერიოდი 65 – 80 დღეა.
- მცენარეთა დარგვის სიხშირეა 25 - 50 ათასი მც. /ჰა-ზე.
- ძლიერ მედეგია ფუზარიოზის მიმართ.



მადალია / Madalya RZ F1

დულჩიმა / Dulcima RZ F1

NEW

HR Foc: 1

- თეთრთავიანი კომბოსტოს საგვიანო ჰიბრიდი, რომელიც განუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ და სამრეწველო გადამამუშავებისთვის.
- ინახება საშუალო დროით.
- მცენარე ძლიერმზარდია.
- თავი ბუმბულის ფორმისაა, მწვანე ფერის და მასა 2.5 – 4.7 კგ-ია. ხასიათდება ერთგვაროვანი, მკვირივი შიდა სტრუქტურით და სასიამოვნო მოტკბო გემოთი.
- მოყვანა რეკომენდებულია ყველა რეგიონში, კარგად უძლებს სტრესულ გარემო პირობებს და მედეგია ფუზარიოზის მიმართ.
- სავეგეტაციო პერიოდი 115-135 დღეა.
- მცენარეთა დარგვის სიხშირეა 28 - 40 ათასი მც. / ჰა-ზე.



დულჩიმა / Dulcima RZ F1



კომბოსტო კონუსური თავით



სონსმა / Sonsma RZ F1

- თეთრთავიანი კომბოსტოს საადრეო ჰიბრიდი, რომელიც განუთვნილია ნელადად სარეალიზაციოდ და ნელადად მოსახმარად (სალათებში ან სხვ.).
- თავს აქვს შეუდარებელი გემოს თვისებები, ქორფაა და ტკბილი, დამახასიათებელი ერთგვაროვანი შიდა სტრუქტურით, მასა 0.8–2.0 კგ-ია.
- პროდუქტი პრემიუმ კლასისაა – მიმზიდველი სასაქონლო სახით და ძალზედ მოსახერხებელია შეფუთვისათვის.
- მცენარეთა დარგვის რეკომენდებული ნორმა: «მინი-კომბოსტო» (მასით 0.5 – 0.8 კგ) – 50–70 ათასი მც./ჰა-ზე; სტანდარტული კომბოსტო (0.8 – 2.0 კგ) – 40–55 ათასი მც./ჰა-ზე.
- გადარგვის ვადები: მარტი–აპრილი.



სონსმა / Sonsma RZ F1

ტეამა / Teama RZ F1

HR Foc: 1

- თეთრთავიანი კომბოსტოს ჰიბრიდი, რომლის მოყვანა რეკომენდებულია ზამთრის კლიმატში, სამხრეთ რეგიონებში.
- სავეგეტაციო პერიოდი 65 – 70 დღეა.
- თავი კონუსური ფორმისაა, მასით 1.2–2.2 კგ.



ტეამა / Teama RZ F1





წითელთავიანი კომბოსტო



რედმა / Redma RZ F1

რედმა / Redma RZ F1

- შუა-საადრეო სეზონის წითელთავიანი კომბოსტოს ჰიბრიდი, მაღალი მოსავლის პოტენციალით, რომელსაც აქვს კრეფის გაზანგრძლივებული ვადა.
- განუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ, ბოსტნულის ბაზრობებისთვის და საადრეო სამრეწველო გადამამუშავებისათვის.
- სავეგეტაციო პერიოდი 80–100 დღეა.
- თავი მომრგვალოა, ხარისხის საუკეთესო მაჩვენებლებით, ნორჩი შიდა სტრუქტურით, მასა 1.5–3.0 კგ-ია (დამოკიდებულია მცენარეთა დარგვის სიხშირეზე).
- ჩითილების გადარგვა რეკომენდებულია: მარტის დასაწყისიდან - ივნისის ბოლომდე.
- მოსავლის აღების ვადები: ივნისის შუა – სექტემბრის ბოლო.

რედ ქარიზმა / Red Charisma RZ F1

- წითელთავიანი კომბოსტოს ჰიბრიდი, რომელიც ხასიათდება სავსე პირობებში თანაბარზომიერი მცენარეების წარმოქმნით.
- ჩითილების გადარგვა ხდება ყველაზე საადრეო ვადებიდან სექტემბრამდე.
- სავეგეტაციო პერიოდი 95–100 დღეა.
- თავი ოვალური ფორმისაა, მკვრივია, მოკლე მურკით, მასა 1.0–1.5 კგ (დარგვის ნორმით 55–60 ათასი მც./ჰა-ზე) და 2.0–3.0 კგ (დარგვის სიხშირის ნორმით 35–40 ათასი მც./ჰა-ზე).
- მცენარე მუქი წითელი ფერისაა ძლიერი ცვილის ფენით.

რედ ქარიზმა / Red Charisma RZ F1





რექსომა / Rexoma RZ F1

- წითელთავიანი კომბოსტოს ჰიბრიდი, რომელსაც ახასიათებს სტრესული ფაქტორების მიმართ გამძლეობა (ტემპერატურის მკვეთრი ვარდნა, შეფარდებითი ტენიანობის ცვლილება და სხვ.).
- განუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ ბოსტნეულის ბაზრობებზე, ასევე საუკეთესოა სალათების მოსამზადებლად.
- თავი კარგად ინახება და დიდხანს იანრჩუნებს ხარისხის მაღალ მაჩვენებლებს.
- სავეგეტაციო პერიოდი 110–120 დღეა.
- თავი ინტენსიური წითელი ფერისაა, მომრგვალო, მასით 2.0–3.5 კგ; მკვრივი შიდა სტრუქტურით და მიმზიდველი გარეგნული სახით.
- შიდა მურკა საშუალო-მოკლეა.
- მცენარეთა დარგვის რეკომენდებული ნორმაა 35–45 ათასი მც/ჰა-ზე.

როდიმა / Rodima RZ F1

- წითელთავიანი კომბოსტოს სტანდარტული ჰიბრიდი, რომელსაც საველე პირობებში დაავადებების მიმართ კარგი მედეგობა ახასიათებს.
- ივითარებს მაღალი ხარისხის ჯანსაღ თავებს, რის გამოც მოსავლის აღების პერიოდი გახანგრძლივებულია.
- განუთვნილია საწარმოო გადამამუშავებისათვის, ასევე ბოსტნეულის ბაზრობებზე სარეალიზაციოდ, ხანგრძლივად შენახვის შემდგომაც.
- ახასიათებს მზა პროდუქციის მაღალი გამოსავლიანობა: სალათების მომზადებისას, დაჭრის და კონსერვირების დროს, როგორც ახლად მოკრეფილზე, ისე ხანგრძლივად შენახვის შემდგომ.
- სავეგეტაციო პერიოდი 120–130 დღეა.
- თავი შიგნიდან მუქი წითელი ფერისაა, ოვალური ფორმის, მასით 2.0–3.5 კგ.
- გადარგვის ვადები: აპრილი-მაისი.
- მოსავლის აღება რეკომენდებულია სექტემბრიდან სეზონის დასრულებამდე.
- კომბოსტოს შენახვის ვადები: ივნისი-ივლისი.
- მოკლევადიანი შენახვისათვის შესაძლებელია მოსავლის მექანიზირებულად აღება.





ყვავილოვანი კომბოსტო



ცერზი / Cersy RZ F1

ცერზი / Cersy RZ F1

- უნივერსალური გამოყენების ყვავილოვანი კომბოსტოს ჰიბრიდი, რომლის მოყვანა რეკომენდებულია ზაფხულის და შემოდგომის ბრუნვაში.
- სავეგეტაციო პერიოდი 70–75 დღეა გაზაფხულზე გადარგვისას; ხოლო საშემოდგომო მოსავლისთვის: 85–100 დღე.
- თავი თეთრია, მასით 1.5–2.5 კგ.
- მცენარეს აქვს კარგად განვითარებული და ძლიერი ფოთლების აპარატი, რომელიც კარგად ფარავს თავს.
- ჩითილების გადარგვის რეკომენდებული ნორმაა 25 – 35 ათასი მც./ჰა-ზე.

შამბორდი / Chambordt RZ F1

- ყვავილოვანი კომბოსტოს ამ ჰიბრიდს ახასიათებს ერდროული მოწიფების უნარი და საუკეთესოა საადრეო, უმაღლესი ხარისხის მოსავლის მისაღებად.
- ძალიან კარგად ეგუება ზაფხულის ცხელ კლიმატს.
- სავეგეტაციო პერიოდი გაზაფხულზე გადარგვისას 70–80 დღეა; ზაფხულში 80–90 დღე.
- თავი იდეალური თეთრი ფერისაა, მჭირდრო და კარგად დამალული, მასით 1.5–2.0 კგ.
- მცენარეს აქვს კარგად განვითარებული და ძლიერი ფოთლების აპარატი, რომელიც კარგად ფარავს და იცავს თავს.



შამბორდი / Chambordt RZ F1



ვიტური / Vituri RZ F1

NEW

- უნივერსალური დანიშნულების ყვავილოვანი კომბოსტოს ჰიბრიდი, გამოდგება ნედლად სარეალიზაციოდ და გასაყინად.
- სავეგეტაციო პერიოდი ჩითილების გადარგვიდან: გაზაფხულზე 70 - 85 დღე, ზაფხულში 90 -100 დღე.
- ყვავილედ კარგად დახურულია, მასით 2.0 კგ-მდე.
- მცენარეს აქვს ძლიერი და კარგად განვითარებული ფოთლების აპარატი.
- ჩითილების გადარგვის რეკომენდებული ნორმა 25-35 ათასი მც./ჰა-ზე.



ვიტური / Vituri RZ F1

კასპერი / Casper RZ F1

- ძალიან პლასტიკური, ერთგვაროვანი და მაღლმოსავლიანი ყვავილოვანი კომბოსტოს ჰიბრიდი, რომელიც განკუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ და საწარმოო გადამუშავებისთვის (მაგ:გაყინვა ან სხვ.).
- სავეგეტაციო პერიოდი 85–90 დღეა.
- თავი თეთრია, მკვირი და კარგად დახურული, მასით 3.5 კგ-მდე;
- გადამუშავების დროს თავის ყლორტების განცალკევება მარტივად არის შესაძლებელი სასურველ ზომებამდე.
- მცენარე ძლიერია, კარგად განვითარებული ფოთლებით.
- გადარგვის ვადები: ივნისის დასაწყისი–ივლისის შუა პერიოდი.
- მოსავლის აღება: აგვისტოს ბოლოდან ოქტომბრის ბოლომდე.
- ჩითილების გადარგვის ნორმა 25 – 35 ათასი მც./ჰა-ზე.

სანტამარია / Santamaria RZ F1

- ყვავილოვანი კომბოსტოს ჰიბრიდი, მთელი სუზონის ციკლში მოყვანისათვის.
- სავეგეტაციო პერიოდი 75–80 დღეა.
- თავი კარგად დახურული და მძიმეა, მასით 1,5–2,5 კგ.
- მცენარეს აქვს კარგად განვითარებული ფოთლოვანი აპარატი და ძლიერი ფესვთა სისტემა, ასევე ახასიათებს ზრდის ძლიერი ტემპი.
- გადარგვის რეკომენდებული ნორმა 25 –35 ათასი მც./ჰა-ზე.





ყვავილოვანი კომბოსტო



ორმონდე / Ormonde RZ F1

- ყვავილოვანი კომბოსტოს მაღალმოსავლიანი ჰიბრიდი, განსხვავებული კლიმატური პირობებისთვის. ნაყოფების მაღალი გამოსავლიანობით, რომელზეც გავლენას ვერ ახდენს მცენარეთა ჩახშირებული დარგვა. რეკომენდებულია ზაფხულ-შემდგომის პერიოდში მოყვანა.
- ახასიათებს ერგვაროვანი ყვავილების ფორმირება. განუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ და საწარმოო გადამუშავებისთვის.
- სავეგეტაციო პერიოდი 70-80 დღეა.
- თავი თეთრი, მძიმე, მაგარი და მკვრივი, მასით 2,0 კგ; დიდხანს ინარჩუნებს ხარისხის მაჩვენებლებს მოსავლის აღების შემდგომ, ყვავილელების განცალკევება მარტივად არის შესაძლებელი.
- მცენარე სტანდარტული სიმაღლისაა, ვერტიკალურად მზარდი ფოთლებით, ამის გამო ახასიათებს თვით-გადაფარვის უნარი, სწრაფი და სტაბილური ზრდის ციკლი, თავის ფორმირების და მომწიფების ერთდროული უნარით (მოსავლის აღება შესაძლებელია 2 ჯერ!)
- მცენარეთა დარგვის რეკომენდებული სიხშირე 30-35 ათასი მც./ჰა-ზე.



ორმონდე / Ormonde RZ F1



ბელამი / Bellamy RZ F1

ბელამი / Bellamy RZ F1

- ყვავილოვანი კომბოსტოს ჰიბრიდი, შემოდგომა-ზამთრის ბრუნვისათვის თბილი კლიმატის რეგიონებში.
- განუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ ბოსტნეულის ბაზრობებზე.
- სავეგეტაციო პერიოდი ჩითილების გადარგვიდან 110-135 დღეა.
- თავი მკვრივი და ბურთის ფორმის.
- მცენარეს აქვს მცირე რაოდენობის ვერტიკალურად მოზარდი ფოთლები, რომელიც თავს იცავს წაყინვებისაგან.



რომანესკო

ვიტავერდე / Vitaverde RZ F1

- კომბოსტო რომანესკოს ჰიბრიდი, რომელსაც ახასიათებს თანაბარი მომწიფების უნარი.
- სავეგეტაციო პერიოდი 70-80 დღეა. ყვავილედ მოყვითალო-მწვანეა, მძიმეა და მაგარი, ძალიან მიმზიდველი სასაქონლო სახის გამო მეტად გამორჩეულია ბოსტნეულის ბაზრობებზე.
- მცენარეს აქვს ვერტიკალურად მოზარდი ფოთლები კარგი გადაფარვის უნარით, რომელიც საუკეთესოდ იცავს თავს.
- გადარგვის ვადები: მარტის შუა რიცხვები - ივლისის ბოლო. მოსავლის აღების ჩატარება რეკომენდებულია ზაფხულსა და შემოდგომაზე.



ვიტავერდე / Vitaverde RZ F1

პუნტოვერდე / Puntoverde RZ F1

- კომბოსტო რომანესკოს ჰიბრიდი, სოკოვანი დაავადებების მიმართ მედეგობით სავსე პირობებში, ოპტიმალური პირობების გარეშე მოყვანის მიუხედავად არ ახასიათებს ანტოციანური პიგმენტაცია.
- განუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ ბოსტნეულის ბაზრობებზე.
- სავეგეტაციო პერიოდი 75-85 დღეა.
- თავი ღია მწვანე ფერისაა, მკვრივია, ყვავილედ ოდნავ მომრგვალებულია, რის გამოც გამორჩეულია მისი დაზიანება მექანიზირებული მოსავლის აღების დროს და ტრანსპორტირებისას.
- მცენარე ძლიერია.



პუნტოვერდე / Puntoverde RZ F1



ბროკოლი



აგასი / Agassi RZ F1

HR Foc: 1

- ბროკოლის ძალიან მაღალმოსავლიანი ჰიბრიდი, რომელსაც არ ახასიათებს ზედმეტი ფოთლების წარმოქმნა და ღეროში ფუღუროს გაკეთება.
- კარგად იტანს ცხელ კლიმატს, განკუთვნილია ერთდროული მოსავლის აღებისათვის.
- სავეგეტაციო პერიოდი 70–80 დღეა.
- ყვავილეთი არის მწვანე, მომრგვალო და მკვრივი, რომელიც მოსავლის აღებიდან დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს სასაქონლო იერს.
- თავისათვის დამახასიათებელია მომცრო ზომის როზეტები, თანაბარი მომწიფების უნარით.
- საზაფხულო მოსავლისათვის: გადარგვა ხდება მარტი-აპრილში, მოსავალი მაისი ივნისი.
- საშემოდგომო მოსავლისათვის: დარგვა-ივნის-ივლისი, მოსავლის აღება სექტემბერ-ოქტომბერი.



აგასი / Agassi RZ F1

ვიკარიო / Vicario RZ F1

HR Foc: 1

- ბროკოლის ჰიბრიდი, რომლის მოყვანა რეკომენდებულია გაზაფხულ-ზაფხულის ბრუნვაში.
- განკუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ.
- მოსავლის ფორმირება ხდება ჩითილების გადარგვიდან 65 - 75 დღეში.
- ყვავილეთი მუქი მწვანე ფერისაა, თანაბარი მასით 0.5 კგ.
- მცენარე ივითარებს კარგ ფოთლების აპარატს.





ლარსონი / Larson RZ F1

HR Foc: 1

- ბროკოლის ჰიბრიდი, რომელსაც ახასიათებს სტრესული ფაქტორების მიმართ კარგი მედეგობა
- მოსავლის აღება რეკომენდებულია საშემოდგომოდ.
- განკუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ და სამრეწველი გადამუშავებისათვის.
- სავეგეტაციო პერიოდი 70 - 80 დღეა.
- ყვავილედ მუქი მწვანე ფერისაა და ძალიან მკვრივია.
- მცენარეს აქვს ზრდის მაღალი ენერგია და ძლიერი ფესვთა სისტემა.

ლარსონი / Larson RZ F1





ძირხვენები



სუფრის სტაფილო



სუფრის ჭარხალი



ბოლოკი





სუფრის სტაფილო



მონტანა / Monanta RZ

- შუა-საადრეო სიმწიფის სტაფილოს ჯიში, განკუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ, ასევე მოკლევადიანი შენახვისათვის (4-5 თვე).
- სავეგეტაციო პერიოდი 100 დღეა.
- ძირხვენები ერთგვაროვანია, გულგულაც და ქერქიც ინტენსიური ფერისაა, ცილინდრულია, სიგრძით 18 – 20 სმ; გლუვია და აქვს წაგრძელებულ-ბლაგვი წვერო.
- გამოირჩევა საუკეთესო გემოს და ხარისხის თვისებებით - წვნიანია და ტკბილი, შაქრების მაღალი შემცველობით.
- ფოთლები მკვრივია და შესაძლებელია მოსავლის მექანიზირებულად აღება.
- ჯიშის დათესვა შესაძლებელია განმეორებითაც.
- თესვის რეკომენდებული ნორმაა 0.8-1.0 მლნ. თესლი/ჰა-ზე.




ფიდრა / Fidra RZ F1

ჯერადა / Jerada RZ F1

- სტაფილოს ჰიბრიდი, რომელიც შედეგია დასკდომის მიმართ, ასევე განკუთვნილია საადრეო რეალიზაციისათვის და შესანახად.
- სავეგეტაციო პერიოდი 90–120 დღეა.
- ძირხვენები ერთგვაროვანი ფორმისაა, გლუვი ზედაპირით.
- ფოთლები მკვრივი და ძლიერია, მუქი-მწვანე ფერის, ხასიათდება სავსე პირობებში დაავადებების მიმართ მაღალი მედეგობით.
- მოსავლის აღება შესაძლებელია სტაფილოს ამომღები კომბაინის საშუალებით.
- თესვის რეკომენდებული ნორმაა 0.6–1.2 მლნ. თესლი/ჰა-ზე.

ფიდრა / Fidra RZ F1

- შუა-საადრეო მოსავლის სტაფილოს ჰიბრიდი, რომელიც წინასწარ გარეცხვის და დაფასების შემდგომ ხანგრძლივად ინახება.
- სავეგეტაციო პერიოდი 110 დღეა.
- ძირხვენები ერგვაროვანია, ინტენსიური ნარინჯისფერი, ცილინდრული ფორმის, მასა 100–200 გ, სიგრძე 18–20 სმ.
- ჰიბრიდი გამოდგება მოსავლის მექანიზირებული აღებისათვის.
- თესვის რეკომენდებული ნორმაა 0.8–1.2 მლნ. თესლი/ჰა-ზე.



ჯერადა / Jerada RZ F1



ელლისი / Ellis RZ F1

ელლისი / Ellis RZ F1 (55-247)

- ნანტეს ტიპის სტაფილოს მაღალმოსავლიანი ჰიბრიდი, სარეალიზაციოდ ვარგისი ძირხველების მაღალი გამოსავლიანობით, მედეგია ნაცრის მიმართ.
- განუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ და ხანგრძლივად შენახვისათვის.
- ძირხვეები სიგრძით 20 სმ-ია, გლუვი თხელი ქერქით, მედეგია დასკდომის და სიმყიფისადმი (ნაკლებად მტვრევადია).
- მცენარე ივითარებს ძლიერ ფოთლოვან აპარატს.
- მოსავლის აღება შესაძლებელია მექანიზირებულად.
- თესვის რეკომენდებული ნორმა 1.0-1.2 მლნ. თესლი/ჰა-ზე.



მორელია / Morelia RZ F1

მორელია / Morelia RZ F1





სუფრის სტაფილო



ჰესტანი / Hestan RZ F1

ჰესტანი / Hestan RZ F1 (55-246)

- სტანდარტულად მაღალმოსავლიანი სტაფილოს ჰიბრიდი, ნაცრის მიმართ კარგი მედეგობით, განუთვნილია ხანგრძლივი შენახვისათვის.
- სავეგეტაციო პერიოდი 135 დღეა.
- ძირხვენები ზომით დაახლოებით 20 სმ-ია, მედეგია დახეთქვისა და ნაკლებად მტვრევადია, განსაკუთრებით მოსავლის აღების დროს.
- მცენარე ივითარებს ძლიერ ფოთლოვან აპარატს.
- მოსავლის აღება შესაძლებელია მექანიზირებულად.
- თესვის რეკომენდებული ნორმაა 1.0-1.2 მლნ. თესლი/ჰა-ზე.

ვოლინი / Wolin RZ F1 (55-604)

- ფლაკეს ტიპის სტაფილოს მაღალმოსავლიანი ჰიბრიდი, სარეალიზაციოდ ვარგისი ძირხვენების მაღალი გამოსავლიანობით, გამოდგება გადასამუშავებლად.
- სავეგეტაციო პერიოდი 150 დღეა.
- ძირხვენა შეიცავს ჭარბი რაოდენობით კაროტინს მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით.
- მცენარე ივითარებს ფოთლების ძლიერ აპარატს.
- ჰიბრიდის მოსავლის აღება შესაძლებელია მექანიზირებულად.
- თესვის რეკომენდებული ნორმაა 0.6-0.8 მლნ. თესლი/ჰა-ზე.



ვოლინი / Wolin RZ F1



იმერი / Ymer RZ F1

ნანტეს ტიპი

იმერი / Ymer RZ F1 (55-414)

- გარდამავალი ტიპის (ბელიკუმი/ნანტი) სტაფილოს ჰიბრიდი, რომელიც ხასიათდება მაღალგამოსავლიანი, სასაქონლოდ ვარგისი ძირხვენებით და ძლიერი ფოთლოვანი აპარატით.
- შესაძლებელია ნედლად რეალიზაცია და შენახვა.
- სავეგეტაციო პერიოდი 120 დღეა.
- ძირხვენა ნაჯერი ნარინჯისფერია, გლუვი ქერქით, სიგრძე 18 – 20 სმ.
- თესვის რეკომენდებული ნორმაა 1.0-1.2 მლნ. თესლი/ჰა-ზე.



სუფრის ჭარხალი



ზეპპო / Zeppo RZ F1

ზეპპო / Zeppo RZ F1

- ბაზარზე არსებული ყველაზე საადრეო სუფრის ჭარხლის ჰიბრიდი, რომლის მოყვანა შესაძლებელია გადასაფარებელი ქსოვილის (აგრო-ბოჭკო ან სხვ.) გამოყენებით ან მის გარეშე.
- ადრეულ ვადებში დათესვით შეგვიძლია ნედლად რეალიზაცია კონებად, ხოლო გვიან ვადებში - განკუთვნილია შესანახად.
- სავეგეტაციო პერიოდი 55 - 60 დღეა. ძირხველა მცირე კუდითაა, ლამაზი, მრგვალი და გლუვია.
- ფოთლების აპარატი ხასიათდება დაავადებების მიმართ კარგი მდეგობის უნარით.
- ზე-საადრეო მოსავლის მისაღებად თესვის ნორმაა 250 ათასი თესლი/ჰა-ზე.

ლიბერო / Libero RZ

- სუფრის ჭარხლის საადრეო ჯიში, რომელიც განკუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ, სამრეწველო და მოკლევადიანი შენახვისათვისაც.
- სავეგეტაციო პერიოდი 70 - 90 დღეა.
- ძირხველა ინტენსიური ფერისაა, მრგვალია, გამორჩეულად გლუვი ქერქით.
- ფოთლები საშუალო სირგძისაა.
- თავაკი პატარაა, ხოლო ფოთლების და მისი შეერთების მონაკვეთი მოკლეა.
- ჰიბრიდის დათესვა რეკომენდებულია ადრეულ ვადებში.



ლიბერო / Libero RZ F1





სუფრის ჭარხალი



ლარკა / Larka RZ

ლარკა / Larka RZ

- შუა-საადრეო სუზონის სუფრის ჭარხლის ჯიში, რომლის მოყვანა რეკომენდებულია საადრეო და საგვიანო ვადებში
- აგროტექნოლოგიის მიმართ ნაკლებად მომთხოვნი ჯიშია.
- შესაძლებელია შენახვა, გადამუშავება და ნედლად რეალიზაცია.
- ძირხვენები შიგნიდან არის ინტენსიური მუქი წითელი ფერის, მრგვალია, გლუვი, თეთრი რგოლების გარეშე
- თავაკი პატარაა
- ხასიათდება საუკეთესო გემოს და ხარისხის თვისებებით.

აკელა / Akela RZ

- ჭარხლის შუა-საადრეო, მაღალმოსავლიანი და ძალიან გამძლე ჰიბრიდი.
- სუფრის ჭარხლის სამრეწველო ჰიბრიდია აყოჩების (აყვავილების) მიმართ მედეგობით.
- განუთვნილია ხანგრძლივად შენახვისათვის (საგვიანო ნათესების შემთხვევაში).
- ძირხვენები ნაჯერი მუქი ფერისაა, მრგვალი და ახასიათებს ძლიერი ფოთლოვანი აპარატი.
- ჰიბრიდი განსაკუთრებულად გამოდგება მოსავლის მექანიზირებული აღბისათვის.
- რეკომენდებულია თესვა დაიწყოს მაისიდან, ხოლო – მოსავლის აღება ივლისიდან.



აკელა / Akela RZ



მონტი / Monty RZ F1

- სუფრის ჭარხლის მაღალმოსავლიანი ჰიბრიდი, რომელიც განუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ, ხანგრძლივად შენახვის და გადამუშავებისთვის.
- ძირხვენები ინტენსიური ბორდოსფერია, მომრგვალო და ოდნავ წაგრძელებული ფორმის
- ხასიათდება იდეალური გემოს და არომატის თვისებებით, შაქრების მაღალი შემცველობით.



მონტი / Monty RZ F1

ბეტი / Betty RZ F1

- სუფრის ჭარხლის საუკეთესო ჰიბრიდი, რომელიც განუთვნილია ხანგრძლივად შენახვისათვის.
- ხასიათდება ძირხვენების ერთგვაროვნებით (ერგვაროვნობის კოეფიციენტი 1-ის ტოლია)
- აქვს საადრეო მოსავლის მიღების პოტენციალი, ხოლო ზე-საადრეო მოსავლის მისაღებად რეკომენდებულია: თესვის სიხშირე 250–300 ათასი თესლი/ჰა-ზე; საჭირო ოდენობით მორწყვა და აგრობოჭკოს ან სხვა გადასაფარებელი ქსოვილის გამოყენება.
- ძირხვენა ინტენსიური ფერისაა, შიგნიდან მუქი წითელი, თეთრი რგოლების გარეშე, მომრგვალო და გლუვია.
- ფოთლები მძლავრია და მდგომარე, დიდი ზომისაა და აქვს სოკოვანი დაავადებების მიმართ მედეგობა.
- მოსავლის პოტენციალი: უძლებს და გავლენას ვერ ახდენს ჩახშირებული ნათესები.
- შესაძლებელია მოსავლის მექანიზირებულად აღება.
- ძირხვენების ხანგრძლივად შენახვისათვის და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად, თესვის ნორმაა 600 ათასი თესლი/ჰა-ზე.
- ამ სიხშირით დათესვისას სავეგეტაციო პერიოდი 105–115 დღეა.



ბეტი / Betty RZ F1



ბოლოკი



ბოლიამი / Bodiam RZ F1

2020 წლის სიახლე!

- ბოლოკის ჰიბრიდი, რომლის მოყვანა შესაძლებელია ღია გრუნტში, ადრე გაზაფხულის და შემოდგომის ბრუნვებში, აგრო ქსოვილის გამოყენებით და მის გარეშე.
- გასაყიდად მზა ძირხვენას ივითარებს აღმოცენებიდან 20 – 23 დღის შემდგომ (ოპტიმალური მოვლა-მოყვანის პირობების შემთხვევაში).
- ძირხვენები ღია წითელი, მომრგვალო და თანაბარი ზომებისაა;
- ფოთლები მწვანეა, ძლიერია და ვერტიკალურად მდგომარე.
- შესაძლებელია მოსავლის «კონებად» აღება, ასევე «წონით» რეალიზაცია.
- რეკომენდებული თესვის ნორმა: 200 – 280 ცალი/მ² (კვების არე: 4 - 5სმ X 10 –12 სმ).

მონდიალი / Mondial RZ F1

- ბოლოკის ჰიბრიდი, რომელიც ხასიათდება მცენარის სწრაფი განვითარებით და საადრეო მოსავლით.
- ღია გრუნტში მოყვანისას საადრეო მოსავლის მისაღებად რეკომენდებულია აგრო ქსოვილის ან სხვა გადასაფარებელი სისტემის გამოყენება.
- თესვა ხდება პოლიეთილენის სათბურში ან აგრო ქსოვილის ქვეშ, თებერვლიდან აპრილის ჩათვლით (თესვის პერიოდი დამოკიდებულია რეგიონზე).
- ძირხვენები ღია ფერისაა, წვრილი და თხელი ფესვით, ერგვაროვანია, მრგვალი და ძლიერი; საშუალო სიგრძის ფოთლებით, რის გამოც გამარტივებულია «კონებად» შეგროვება.



მონდიალი / Mondial RZ F1

არლი / Arley RZ F1

- ბოლოკის ჰიბრიდი, რომლის მოყვანა რეკომენდებულია ღია გრუნტში.
- ძირხვენები ფუღუროს გარეშე, ნაჯერი მუქი წითელი ფერის, მრგვალია და ერგვაროვანი.
- გამოირჩევიან ძალიან მაღალი ხარისხის მაჩვენებლებით.
- ფოთლები ძლიერია და მსხვილი, რის გამოც ჰიბრიდს მარტივად გადააქვს სიცხე და ძლიერი (სტრესული) განათების ღონე.

ბოლიამი / Bodiam RZ F1



ვალერია / Valerie RZ F1

- ძალიან მალეწიფადი და საადრეო, მაღალმოსავლიანი ბოლოკის ჰიბრიდი, რომელიც ხასიათდება ძირხვენების დახეუქვისადმი კარგი მედეგობით, ერთგვაროვნებით და დაბალი ტემპერატურების პირობებში აღმოცენების უნარით.
- ჰიბრიდის კულტივაცია რეკომენდებულია ღია გრუნტში, ძირითადად ადრე გაზაფხულზე და შემოდგომაზე.
- ძირხვენები მრგვალია და ღია წითელი, მოსავლის აღების შემდგომ ფერს ინარჩუნებს დიდხანს.
- ფოთლები მუქი მწვანე ფერის, მოკლე, კომპაქტური და მკვრივია.



ბელსაი / Belsay RZ F1



არლი / Arley RZ F1



ვალერია / Valerie RZ F1

ბელსაი / Belsay RZ F1

- ბოლოკის ჰიბრიდი, რომლის მოყვანა რეკომენდებულია დახურულ და ღია გრუნტში.
- მოსავლის აღება შესაძლებელია «კონებად» გაზაფხულის და შემოდგომის ბრუნვაში, ხოლო «წონით» ზაფხულის პერიოდში.
- ძირხვენები ლამაზია, ღია წითელი ფერის და მომრგვალოა: დიამეტრით 4 – 5 სმ, რეცხვის შემდგომ არ კარგავს ფერს, გამოირჩევა ხანგრძლივი შენახვის ვადით.
- ფოთლები მუქი მწვანეა და ძალიან კარგად განვითარებული.
- რეკომენდებული თესვის სიხშირე: 200 – 240 ცალი/მ²-ზე (კვების არე: 4 – 5სმ X 10 – 12 სმ).

სიონი / Syon RZ F1

- ბოლოკის ახალი პერსპექტიული ჰიბრიდი, რომელიც იძლევა კარგ შედეგებს და მოსავალს სხვადასხვა (არახელსაყრელი ან ინტენსიური) აგროტექნოლოგიის პირობებში, როგორც ღია, ასევე დახურულ გრუნტში.
- ძირხვენები ფერს ინარჩუნებენ დიდხანს, ახასიათებთ მაღალი ხარისხის მოსავალი;
- მცენარეს აქვს გათანაბრებული მწვანე ფოთლოვანი მასა ნებისმიერ შემთხვევაში, მათ შორის ცივ ნიადაგში ჩათესვისას.



სხვა კულტურები



რუკოლა



მინდვრის სალათი



სალათი ფრიზე



ისპანახი



ყაბაყი



ნიახური



ლობიო



საძირე



პრასი



ფოთლოვანი ქარხალი
(მანგოლდი)





ზრდის კოსმოსური
ტემპი!

ჩართეთ ძრავი, თქვენი
ბიზნესი ვითარდება!



მრავალი წლის სელექციური
საქმიანობის შედეგად, კომპანია «რიც
ცვანია» პირველად წარმოადგენს
რუკოლას ჯიშების ასორტიმენტს,
რომელიც გაერთიანებულია
«როკეტირზის»™ (Rocketeerz™)
დასახელების ქვეშ. ამ ინოვაციურ
ჯიშებს ახასიათებთ ზრდის
რაკეტისებური სისწრაფე.
გაუშვით თქვენი ბიზნესი კოსმოსურ
სიმაღლეზე!

ინოვაციების შემუშავება და დანერგვა
უმნიშვნელოვანესია ბიზნესისთვის,
შემოსავლების გაზრდისა და
შენარჩუნებისათვის.

რუკოლას ჯიშები «როკეტირზის»™ ხაზიდან
აქცენტირებულია გაძლიერებული, სწრაფი
ზრდისათვის, როგორც აგრონომიული
თვალსაზრისით, ასევე მოსავლიანობის,
დაავადებების მიმართ მედეგობების
და ხანგრძლივად შენახვის უნარების
მხრივადაც.

საბოლოო მომხმარებლებისთვის
გათვალისწინებულია საუცხოო გემო, ფერი
და ვიზუალური მხარეც.

ასორტიმენტის ხაზში შედის ველური და
კულტურული რუკოლები.

«როკეტირზის»™

ასორტიმენტი ქმნის ახალ

შესაძლებლობებს მოვამზადოთ მზა, განსხვავებული
ფოთლოვანი მიქსები, როგორც მონოპროდუქტი, ან შეიქმნას
მზა მიქსები, სხვადასხვა წვრილფოთლიანი კულტურებით,
მაგალითად რუკოლა და ისპანახი ან სხვ.

მსგავსი განსხვავებული მზა ფოთლოვანი მიქსები
აფართოვებს სამომხმარებლო სეგმენტს, ბიზნესს კი
დამატებით შემოსავლების აკუმულირების საშუალებას
აძლევს.

რას იტყვით რომ შემოგთავაზოთ ქორფა და ნორჩი სალათის
მიქსი ისპანახთან ერთად, მაგ: სპარკლი RZ-ს და ისპანახის
მიქსი ერთ პაკეტში?





რუკოლა



ველური რუკოლა

სპარკლი / Sparkle

სინოპე / Sinope RZ

- ველური რუკოლას ჯიში, რომლის მოყვანა რეკომენდებულია ჰიდროპონიკაზე და გრუნტში, შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში კულტივაცია.
- ჯიში გამოირჩევა განსაკუთრებული სტაბილურობით გადახურების (მომატებული სიცხეების) და ჰიპოთერმიის (ტეპერატურის დაწვისას) დროს, ასევე აღმოცენების მაღალი უნარით და ზრდის კარგი ტემპით საადრეო პერიოდში მოყვანისას.
- ფოთლები მუქი მწვანე ფერისაა, გამოკვეთილი გემოთი, გათანაბრებული როზეტით.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის მიმართ.



სინოპე / Sinope

თემისტო / Themisto RZ

- ველური რუკოლას ჯიში, რომელსაც აქვს ზრდის სწრაფი ტემპი და მაღალი მოსავალი.
- მოყვანა შესაძლებელია ჰიდროპონიკაზე და გრუნტშიც, კულტივირება შეიძლება მთელი წლის განმავლობაში.
- ფოთლები მწვანეა და დიდი ზომის, აქვს გამოკვეთილი გემოს თვისებები.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის მიმართ.

კულტურული რუკოლა

სპარკლი / Sparkle RZ

- კულტურული რუკოლას ჯიში, აღმოცენებისა და ზრდის ადრეული ვადებით, რეკომენდებულია ჰიდროპონიკასა და გრუნტში მოყვანა მთელი წლის განმავლობაში.
- ჯიშს ახასიათებს ზრდის სწრაფი ტემპი, მაღალი და სტაბილური მოსავალი, სხვადასხვა კლიმატურ პირობებში.
- მცენარე ივითარებს მსხვილი, ოვალური ფოთლების როზეტს, საუკეთესო გემოს თვისებებით, რომელიც არ კარგავს და ინარჩუნებს ხარისხის მაჩვენებლებს მოჭრის შემდგომაც.
- ძლიერ მედეგია ჭრაქის მიმართ.

თემისტო / Themisto





მინდვრის სალათი



მინდვრის სალათი

რეველე / Revelle RZ

NEW

- სტანდარტული მინდვრის სალათის ჯიში, მუქი მწვანე, მომრგვალო ფორმის ფოთლებით.
- განუთვნილია მთელი წლის მანძილზე მოყვანისათვის: შემოდგომიდან გაზაფხულამდე ღია გრუნტში, ზამთარში პოლიეთილენის სათბურებში, მათ შორის პირდოპონიკაზეც.
- ჯიში ადვილად ასაღებია, შედის ისეთი პროდუქციის მიმართულებაში, როგორიც არის «ნახევარფაბრიკატები/საკვებად გამზადებული».
- მცენარე კომპაქტურია, მოკლე ღეროებით და მდგომარე სქელი ფოთლებით.
- აქვს ფოთლების ლამაზი წყობა როზეტში, რომელიც დიდხანს არ კარგავს ფორმას.
- მცენარე მძიმეა, რაც დიდი რაოდენობის და უმაღლესი ხარისხის მოსავლის გარანტია (მ²-ზე).



რეველე / Revelle RZ

დიონა / Diona RZ

- ვარიანტის ტიპის მინდვრის სალათი, რომელიც ფოთლების ჩახვევის მიმართ მედეგობით ხასიათდება.
- მოყვანა რეკომენდებულია გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე.
- ჯიში ტენის მოყვარულია, განუთვნილია ნელადად სარეალიზაციოდ.
- მცენარე მინიატურულია, ადრე გაზაფხულზე აყალიბებს როზეტს, პატარა მუქი მწვანე ფოთლებით.
- სწრაფად აყალიბებს მოსავალს.



დიონა / Diona RZ



სალათი ფრიზე



ენდივი (არდი)

სიგალი / Cigal RZ

- კლასიკური ენდივის ტიპის სალათი ფრიზე (Frisee), მკვეთრად გამოკვეთილი, დასერილი ფოთლის ფირფიტებით და დიდი ზომის როზეტით.
- რეკომენდებულია ღია გრუნტში მოყვანა მთელი სეზონის მანძილზე.
- განუთვნილია ნელად სარეალიზაციოდ და სამრეწველო გადამუშავებისთვის.
- შედის «ნახევარფაბრიკატები / საკვებად გამზადებული» პროდუქციის მიმართულებაში.
- ახასიათებს კარგი გამოსავლიანობა დაჭრის შემდგომ და აყორების (აყვავილების) მიმართ ძლიერი მედეგობა (განსაკუთრებით სიცხესა და სიცივეში).

მონაკო / Monaco RZ

- ენდივის ტიპის სალათი ფრიზე (Frisee), მკვეთრად გამოკვეთილი, დასერილი ფოთლის ფირფიტებით და დიდი ზომის როზეტით.
- რეკომენდებულია ღია გრუნტში მოყვანა, მაისიდან სექტემბრამდე (შესაძლებელია გადამუშავება, მაგ: სალათის მიქსებში)
- ფოთოლი ბრტყელია და მასიური.
- როზეტი მკვრივია და მძიმე.
- გამოირჩევა აყორების (აყვავილების) და ნეკროზების მიმართ ძლიერი მედეგობით.

ბერლინალი / Berlinal RZ

- ენდივის ტიპის სალათი ფრიზე (Frisee), მკვეთრად გამოკვეთილი, დასერილი ფოთლის ფირფიტებით და დიდი ზომის როზეტით.
- ხასიათდება კარგი მოსავლით და კარგად იტანს ტემპერატურის, ასევე ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის მკვეთრ ცვლილებებს.
- როზეტი დიდია.
- გამოირჩევა კიდეების ნეკროზის და აყორების (აყვავილების) მიმართ ძლიერი მედეგობით.

სიგალი / Cigal RZ





ისპანახი



ლოკუსტი / Locust RZ

ლოკუსტი / Locust RZ

- აღმოსავლური ტიპის ისპანახი, პერონოზსპოროზის მიმართ კარგი მედეგობით.
- მოყვანა რეკომენდებულია გაზაფხულსა და შემოდგომაზე.
- ფოთლები მუქი მწვანე ფერისაა, გამოირჩევა დიდი და ძლიერი ფოთლის ფირფიტებით.

პაითონი / Python RZ

- მაღალმოსავლიანი, მალმწიფადი, საადრეო, იაპონური მდოგვისებური ტიპის ისპანახი, რომელიც ხასიათდება სიცხის მიმართ გამძლეობით.
- განკუთვნილია გადამუშავებისთვის და ნედლად სარეალიზაციოდ.
- ფოთლები მუქი მწვანე ფერის და სწორად მდგომარეა.



პაითონი / Python RZ



ბოა / Boa RZ

HR Pe:1-9,11,13,15,16

- მალმწიფადი, საადრეო – საზაფხულო ისპანახის ჰიბრიდი, რომელიც ხასიათდება ძალიან სწრაფი ზრდის ტემპით.
- აქვს მოსავლის აღების გახანგრძლივებული პერიოდი, აყოჩების (აყვავილების) მიმართ მაღალი მედეგობით.
- მოსავლის ამღები კომბაინისთვის ძალიან მოსახერხებელია მცენარეთა ერთგვაროვანი ზრდის გამო.
- რეკომენდებულია გაზაფხულ-შემოდგომის პერიოდში მოყვანა.
- შედის პროდუქციის ხაზში: «სურსათის მრეწველობა».
- ფოთოლი მწვანე ფერისაა, ოვალური ფორმის და გლუვი.
- გამძლეა ჭრაქის მიმართ.

აუროხი / Auroch RZ

- აღმოსავლური ტიპის ისპანახი, ფართე სპექტრის სოკოვანი დაავადებების მიმართ მედეგობით, რომლის მოყვანაც რეკომენდებულია შემოდგომასა და ზამთარში.
- ფოთლები მუქი მწვანე ფერისაა, დიდი და სწორად მდგომარე, გამოირჩევა ლამაზი საბაზრო სახით.
- მცენარეს ახასიათებს ზრდის სწრაფი ტემპი.



ბოა / Boa RZ





ისპანახი



ტრაგოპანი / Tragopan RZ

- აღმოსავლური ტიპის ისპანახი, რომლის მოყვანა შესაძლებელია გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე,
- განკუთვნილია ქორფა, ახალი, ნედლი და საადრეო ბოსტნეულის ბაზრებისათვის .
- მცენარეს ახასიათებს ზრდის საშუალო ტემპი.
- ძლიერ მედეგია ნაცრის მიმართ.



ტრაგოპანი / Tragopan RZ

მეერკატი / Meerkat RZ

- ისპანახის საადრეო ჰიბრიდი, რომელსაც ახასიათებს სწრაფი ზრდა-განვითარება და მწვანე მასის აკუმულირება.
- რეკომენდებულია ზამთარში, გაზაფხულსა და შემოდგომაზე მოყვანა.
- ჰიბრიდი გამოდგება ე.წ «Baby-Leaf / ბები-ლიფ» ტექნოლოგიისთვის და შედის კომპანიის პროდუქციის მიმართულებებში: «ნახევარფაბრიკატები / საკვებად გამზადებული და სურსათის მრეწველობა».
- ფოთლები მუქი მწვანე ფერის, გლუვია და ოვალური. როზეტი სწორედ მდგომია, ფოთლის ფირფიტები და ღეროები ერთი სიგრძისაა, რაც ძალიან აადვილებს კრეფის პროცესს.
- მოსავლის აღება შესაძლებელია ხელით და მექანიზირებულად.
- გამძლეა ჭრაქის მიმართ.



მეერკატი / Meerkat RZ



ზებუ / Zebu RZ

- სავოს ფოთლებიანი ისპანახის ჰიბრიდი, რომელიც მედეგია აყორების (აყვავილების) მიმართ.
- რეკომენდებულია გაზაფხულ-შემოდგომის პერიოდში მოყვანა და გამოდგება ე.წ «Baby Leaf - ბები ლიფ» ტექნოლოგიაში.
- განუთვნილია გადამუშავებისთვის, გასაყინად და ნედლად სარეალიზაციოდ.
- ფოთლები მუქი მწვანე ფერის, სქელია და ოვალური, ფოთლის დაბუმტული ფირფიტით.
- მცენარე მძლავრი და მკვრივია.
- შესანიშნავად გამოდგება მექანიზირებული მოკრეფისათვის.
- მედეგია ჭრაქის მიმართ.

დელფინი / Dolphin RZ

- ისპანახის საადრეო ჰიბრიდი, რომელიც განუთვნილია გადასამუშავებლად და ნედლად სარეალიზაციოდ.
- შედის პროდუქციის მიმართულებაში: «სურსათის მრეწველობა».
- მედეგია კიტრის მოზაიკის ვირუსის და ჭრაქის მიმართ.



ზებუ / Zebu RZ



ისპანახი



მუფლონი / Mouflon RZ

მუფლონი / Mouflon RZ

- ისპანახის ჰიბრიდი, რომელიც მედეგია აყოჩების(აყვავილების) მიმართ.
- მოყვანა რეკომენდებულია გაზაფხულიდან შემოდგომის ჩათვლით, სტაბილურია ზაფხულის პირობებშიც.
- გამოდგება «Baby leaf – ბები ლიფ» ტექნოლოგიისთვის. განუთვნილია გადასამუშავებლად და ნედლად სარეალიზაციოდ, შედის პროდუქციის მიმართულებებში: «სურსათის მრეწველობა».
- ფოთლები მუქი მწვანე, ოვალური და ხორციანი.
- იდეალურია მექანიზირებული კრეფისათვის.
- გამძლეა ჭრაქის მიმართ.

პუმა / Puma RZ

- საზაფხულო ისპანახის ჰიბრიდი, აყოჩების (აყვავილების) მიმართ ძლიერი მედეგობით.
- ჰიბრიდი შედის პროდუქციის მიმართულებებში: «ნახევარფაბრიკატები/ საკვებად გამზადებული» და «სურსათის მრეწველობა».
- ფოთლები ლამაზი მწვანე ფერისაა, სასიამოვნო საბაზრო სახით, შესანიშნავი ხარისხის, მომრგვალებული, დიდი ზომის, მსხვილი და მოკლე ღეროებით.
- მოსავლის კრეფა შესაძლებელია დავიწყით ივნისის დასაწყისიდან სექტემბრის ბოლომდე.
- მედეგია ჭრაქის მიმართ.



პუმა / Puma RZ



ყაბაყი



კალაზინა / Calazina RZ F1

- მუქი მწვანე მაღალმოსავლიანი ყაბაყი ჰიბრიდი.
- რეკომენდებულია ადრე გაზაფხულის და ზაფხულ-შემოდგომის ბრუნვაში მოყვანა.
- ნაყოფი მუქი მწვანე ფერისაა, ელვარე და პრიალა, ცილინდრული ფორმის, მასით 250 - 300 გ, სიგრძით 18 - 22 სმ; აქვს უმნიშვნელოდ გამოკვეთილი წიბოები.
- მცენარე ღია, კომპაქტური და ბუჩქოვანი, კომპაქტური მუხლთაშორისებით.



კალაზინა / Calazina RZ F1



მანისესი / Manises RZ F1

მანისესი / Manises RZ F1

- «რიკ ცვანის» ბოსტნულის ასორტიმენტში პირველი ყაბაყის ჰიბრიდი, რომლის მოყვანა რეკომენდებულია ადრე გაზაფხულის და ზაფხულ-შემოდგომის ბრუნვაში.
- ნაყოფი მწვანე ფერისაა, ელვარე და პრიალა, წიბოების გარეშე, ცილინდრული ფორმის, მასით 300 - 400 გ. და სიგრძით 18 - 20 სმ.
- შესაძლებელია მოკრეფა ყვავილთან ერთად 10 - 14 სმ. სიგრძისას (როგორც «მინი ბოსტნულის»).
- მცენარე ძლიერი, ბუჩქოვანი და ღია, ხასიათდება საშუალო მუხლთაშორისით.
- მცენარეთა რეკომენდებული სიხშირეა – 15 ათასი მც./ჰა-ზე.





ნიახური ბოლქვებიანი



პრეზიდენტი / President RZ

- ბოლქვებიანი ნიახურის ძალიან ცნობილი, სტაბილური და საიმედო ჯიშია, იძლევა უმაღლესი ხარისხის მოსავალს.
- ჯიში უნივერსალურია გამოყენების თვალსაზრისით და შესაძლებელია: ნედლად რეალიზაცია (ქორფა და ახალი ბოსტნეულის ბაზრობები), სამრეწველო გადამამუშავება და ხანგრძლივი შენახვა.
- შედის «სურსათის მრეწველობის» პროდუქციის მიმართულებაში.
- ძირხვენა მრგვალია და გლუვი, აქვს ძალიან თეთრი ფერის რბილობი, მარტივია მოსავლის აღება და გასუფთავება, რადგან ფოთლის და ფესვის შეერთების წერტილი ნიადაგის ზედაპირთან ძალიან ახლოსაა.



ოტაგო / Otago RZ



ოტაგო / Otago RZ

- ბოლქვებიანი ნიახურის მაღალმოსავლიანი ჯიშია, რომელიც გამძლეა დასვდომის მიმართ, მოსავლის აღების შემდგომ რეცხვისა და გამრობის დროს.
- განკუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ და შესანახად.
- ჯიში ინარჩუნებს მაღალი ხარისხის მაჩვენებლებს ხანგრძლივი შენახვის შემდგომაც.
- სხვა ჯიშებისაგან განსხვავებით გამძლეა ფომოზის მიმართ.
- ძირხვენას არ უჩნდება ფულურო, გამოირჩევა მშრალი ნივთიერების მაღალი შემცველობით, მრგვალი და ერთგვაროვანია, მასით 1.0–1.5 კგ-ია.
- რბილობი თეთრია, გლუვი და მაგარი ქერქით.
- ფესვთა სისტემა ძირხვენას ქერქზე მცირეა და თანაბრად არის გადანაწილებული მთელ ზედაპირზე.
- მცენარე არის ანტოციანური პიგმენტაციის გარეშე, ხასიათდება პატარა როზეტით და ფოთლების პატარა ფირფიტით.
- მოსავლის აღება შესაძლებელია მექანიზირებულად.



ნიახური (ღეროვანი)



კელვინი / Kelvin RZ F1

- მუქი მწვანე ფერის ღეროვანი ნიახური სეპტორიოზის და აყოჩების (აყვავილების) მიმართ კარგი მედეგობით.
- განუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ და გადამუშავებისთვის.
- სავგებტაციო პერიოდი აღმოცენებიდან 140 დღეა.
- ღეროები გრძელი, კოხტა, ერთგვაროვანი და გლუვია, მცირე ჩაღრმავებული.
- ფოთლების მიმაგრების წერტილი თავაკვზე მაღლაა განთავსებული.
- იდეალურია სარეალიზაციოდ, როგორც დაჭრილი (ხემსი), ისე მთლიანი ღეროების სახითაც.
- ღეროები გარედან და შიგნიდან შეფერილია მუქი მწვანე ფერით.
- გემოს თვისებებით ხრამუნაა, გამაჯანსაღებელი შეგრძნებით, ტკბილია, ბოჭკოს მცირე რაოდენობით შემცველობის გამო, ჭამის შემდგომ ტოვებს სასიამოვნო გემოს.
- მცენარეს ახასიათებს ზრდის ზომიერი ტემპი, ამიტომ მოკრეფას და დისტრიბუციას უფრო მოსახერხებელს ხდის.
- გვერდითა ყლორტები არ აქვს, ან ვერტიკალურად არის განლაგებული, ეს კრეფის პროცესს აადვილებს.
- მცენარეთა დარგვის რეკომენდებული სიხშირე 80–100 ათასი მც./ჰა-ზე.



კელვინი / Kelvin RZ F1

კილიანი / Kylian RZ

- ღია მწვანე ფერის ღეროვანი ნიახური, რომელიც ხასიათდება ერთგვაროვნებით, სეპტორიოზის და აყოჩების (აყვავილება) მიმართ კარგი მედეგობით.
- რეკომენდებულია მოყვანა სეზონის ყველა პერიოდში.
- მაღალმოსავლიანი ჯიშია, განუთვნილია ნედლად სარეალიზაციოდ, ასევე სამრეწველო გადამუშავებისთვის.
- სავგებტაციო პერიოდი 130 დღეა, დათესვიდან პირველი მოსავლის აღებამდე.
- ღეროები ვერტიკალურად მდგომია, აქვს ძალიან სასიამოვნო გემო, გლუვია, კარგადაა შევსებული, გვერდითა ყლორტების მცირე ოდენობით, რაც აადვილებს მოსავლის აღებას.

არტური / Artur RZ

- ღეროვანი ნიახური ერთგვაროვანი და შესანიშნავი გარეგნული სასაქონლო იერით.
- რეკომენდებულია ზაფხულის და შემოდგომის ბრუნვაში მოყვანა.
- ღეროები გლუვია, კარგად შევსებული, გვერდითა ყლორტები თითქმის არ გააჩნია, რის გამოც გაადვილებულია მოსავლის აღება.
- კილიანთან შედარებით ჯიშის ღეროები შედარებით მოკლეა.
 - მცენარე კომპაქტურია და ვერტიკალურად მოზარდი, სარეალიზაციო ფოთლის ოპტიმალური სიგრძით.
 - ფოთლები ელვარეა, ლამაზი მწვანე ფერით.



კილიანი / Kylian RZ





ლობიო



ფაიზა / Faiza RZ

ფაიზა / Faiza RZ

IR BCMV

- შუა-საადრეო სეზონის სატაცურა ლობიოს ჰიბრიდი, რომლის მოყვანა შესაძლებელია დახურულ და ღია გრუნტში.
- ნაყოფები: ერგვაროვანია, მუქი მწვანე ფერის მარცვლებით, ძარღვების გარეშე, სიგრძე 22-25 სმ-ია.
- კარგად ინახება მოსავლის აღების შემდგომ.
- კულტივაცია არ საჭიროებს დიდ ძალისხმევას და ოპტიმალური მოვლის პირობებში იძლევა მაღალ მოსავალს შემოდგომა-ზამთრის პერიოდში.
- ჰიბრიდი არის საექსპორტოდ განკუთვნილი.
- საშუალოდ მედეგია ლობიოს მოზაიკის ვირუსის მიმართ.

17-RL1094 RZ F1

NEW

IR BCMV

- სატაცურა ლობიოს ახალი ჰიბრიდი, მომრგვალო ფორმით.
- ჰიბრიდი გამოდგება ყველა ბრუნვაში, ასევე შესაძლებელია მოსავლის ხანგრძლივად კრეფა.
- ნაყოფი: მარცვლები მომრგვალო ფორმისაა, სიგრძით 14 - 15 სმ.
- საშუალოდ მედეგია პარკოსნების სამხრეთული ვირუსის მიმართ.



ფარელია / Farelia RZ

IR BCMV

- ლობიოს ერთ-ერთი ჯიში «გრინტენს- Greentense» მიმართულებიდან, რომელიც შექმნილია უმაღლესი, შეუდარებელი ხარისხის მოსავლის მისაღებად.
- ნაყოფები: მუქი მწვანე ფერისაა, ერთგვაროვანი მარცვლებით, სიგრძე 22 - 25 სმ, ხორციანი, ძაფების და ძარღვების გარეშე, ტკბილი გემოთი და საკვები ნივთიერებების მდიდარი შემცველობით.
- კარგად ინახება მოსავლის აღების შემდგომ.
- მცენარეს ახასიათებს ღია ტიპის ზრდა, რაც უზრუნველყოფს კარგ ვენტილაციას და სინათლის თანაბარ განაწილებას, შესაბამისად გარანტირებულია კარგი გამოთქვა, რომელიც მაღალი მოსავლის წინამორბედი.
- ეს ჯიში კარგად არის ადაპტირებული ზაფხულის ცხელ (ექსტრემალურ) პირობებთან, ღია გრუნტში მოყვანისას და პოლიეთილენის სათბურშიც (ეს პირობები ვერ აუარესებს მის ფერს და ხარისხს მაჩვენებლებს).
- შესაძლებელია ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, ყველა ბრუნვაში კულტივირება, ხანგრძლივი კრეფის ციკლისთვისაც.

ფესტივალი / Festival RZ

- ძალიან პოპულარული სატაცურა ლობიოს ჯიში, რომლის მოყვანა რეკომენდებულია დახურულ გრუნტში.
- ნაყოფები მაღალი ხარისხისაა, სწორია, თანაბარი მარცვლებით, ძარღვების გარეშე, სიგრძე 22-24 სმ.
- ჯიში გამოირჩევა ძალიან მაღალი მოსავლიანობით.

ფრაზედა / Fraseda RZ F1

HR BCMV / SBMV

- ჰიბრიდს აქვს პარკოსნების სამხრეთული ვირუსისადმი მედეგობა, აყალიბებს სტაბილურ მოსავალს ნებისმიერ მოვლა-მოყვანის პირობებში.
- ნაყოფებით ძალიან ჰგავს ჰიბრიდ ფასინეს, ღია მწვანე ფერისაა, სიგრძით 24 - 25 სმ, გრძელი ყუნწით, რის გამოც მოსავლის აღება გამარტივებულია.
- მცენარე ძლიერია, ზრდის კარგი ტემპით.
- საშუალოდ მედეგია პარკოსნების ვირუსისადმი.
- ტოლერანტულია პარკოსნების სამხრეთული ვირუსისადმი.

ფადა / Fada RZ F1

IR BCMV

- სატაცურა ლობიოს ჰიბრიდი, რომლის მოყვანა რეკომენდებულია პოლიეთილენის სათბურებში.
- ნაყოფი: მარცვლები ღია ფერისაა მთელი სიმწიფის განმავლობაში, სიგრძე 21 - 24 სმ.
- მცენარე ღია ფორმისაა, ნაყოფების გამონაკვსის კარგი უნარით (ცუდი განათების პირობებშიც კი).
- საადრეო ჰიბრიდია, შესაძლებელია მოსავლის ხანგრძლივად კრეფა.
- გამძლეა პომიდორის ფოთლების ყვითელი ნაგალობის ვირუსის მიმართ, რის გამოც შესაძლებელია პოლიეთილენის სათბურში პომიდორთან ერთად მოყვანა.
- საშუალოდ მედეგია პარკოსნების ვირუსისადმი.





კობალტი / Cobalt RZ F1

HR Fom:0,1,2,1.2/For/Va IR Fon:0-2

- სახეობათშორისი შეჯვარების შედეგად წარმოქმნილი ჰიბრიდული საძირე (გიგანტური გოგრა (C.maxima) + ჯაფხის გოგრა(C.moschata)), რომელსაც აქვს ნამყენი მცენარისთვის დამახასიათებელი მოსავლის პოტენციალი.
- რეკომენდებულია საადრეო სეგმენტში აგრო ქსოვლილით ან სხვ. გადაფარვის წარმოება.
- უფრო საადრეო ჰიბრიდია ვიდრე ფერრო, მაგრამ შედარებისთვის ნაკლებად ძლიერი, აყალიბებს კარგ და დაბალანსებულ ვეგეტატიურ მცენარეს.
- აუმჯობესებს ჩითილების ზრდის ძალასა და ენერგიას.
- საძირე გამოდგება კიტრის, ნესვის და საზამთროს დასამყნობად.
- მედეგია ფუზარიოზის, ვერტიცელიოზური ჭკნობის და ფესვების ფუზარიოზული ჭკნობის მიმართ.

სუზუკა / Suzuka RZ F1

HR ToMV:0-2/Fol:0,1/For/Pl/Va:0/Vd:0 IR Ma/Mi/Mj

- პომიდვრისა და ბადრიჯნისთვის განკუთვნილი საძირე, რომელიც კარგად ინარჩუნებს გამძლეობას გახანგრძლივებულ ბრუნვაში.
- საუკეთესო პარტნიორი საძირეა საშუალო ზომის ნაყოფიანი ჰიბრიდებისათვის.
- ნამყენი მცენარე არის მძლავრი, გენერაციული, დიდი და ძლიერი ფესვთა სისტემით.
- ძლიერ მედეგია პომიდორის მოზაიკის ვირუსის, ფუზარიოზული ჭკნობის, ფესვის ფუზარიოზული სიღამპლის, ფესვების გაკორპების და ვერტიცელიოზური ჭკნობის მიმართ.
- საშუალოდ მედეგია ნემატოდების მიმართ.

ემპერადორი / Emperador RZ F1

HR ToMV:0-2/Fol:0,1/For/Pl/Va:0/Vd:0 IR Ma/Mi/Mj





საძირე

პელოპსი / Pelops RZ F1

HR Fom:0,1,2,1.2/Va IR Fon:0-2

- საზამთროსთვის განკუთვნილი ლაგენარიას ტიპის საძირე.
- განკუთვნილია საადრეო ბრუნვებისათვის.
- მედეგია ფუზარიოზის და ვერტიცელიოზური ჭკნობის მიმართ.

სფინქსი / Sphinx RZ F1

HR Fom:0,1,2 IR Fom:1.2/Px (ex Sf):2,3,5

- საძირე ნესვისა და კიტრისათვის, რომელიც კარგად ეგუება ცივ კლიმატურ პირობებს.
- რეკომენდებულია ღია და დახურულ გრუნტში მოყვანა.
- განკუთვნილია ყველაზე საადრეო გადარგვებისათვის.
- მედეგია ფუზარიოზის და ნაცრის მიმართ.



სუზუკა / Suzuka RZ F1



ბედროკი / Bedrock RZ F1

HR PVY:0,1/Tm:0-3 IR TSWV/Pc/Ma/Mi/Mj

- გენერაციული ტიპის საძირე წიწაკისთვის, არქარებს მსხმოიარობის ფაზაში შესვლას, ასევე ზრდის მოსავალს და ნაყოფის ხარისხს.
- ძლიერ მედეგია კარტოფილის ვირუსისა და პომიდვრის მოზაიკის ვირუსის მიმართ.
- საშუალოდ მედეგია პომიდვრის ბრინჯაოსფერი დაფერილობის (ლაქებიანი ჭკნობა), წიწაკის ფიტოფტორას და ნემატოდების მიმართ.





პრასი ფოთლოვანი ჭარხალი (მანგოლდი)



პრასი

მატიკო RZ F1 / Matejko RZ F1

- საადრეო მაღალმოსავლიანი პრასის ჰიბრიდი, რომელსაც გააჩნია შესანიშნავი, მაღალი სავლე მედეგობა ჭანგა სოკოებისა და თრიფსების მიმართ.
- მისი მოყვანა რეკომენდებულია ზაფხულსა და შემდგომზე.
- ჰიბრიდი შედის პროდუქციის მიმართულებაში «სურსათის მრეწველობა».
- ფოთლები მუქი მწვანე ფერისაა და საკმაოდ ვიწროა, ძლიერი ცვილის ფენით.
- მცენარე ჯანსაღია და ერთგვაროვანი.
- ცრუ ღერო გრძელი, თეთრი და მკვირია.



მატიკო / Matejko RZ F1

ფოთლოვანი ჭარხალი (მანგოლდი)

ჩარლი RZ F1 / Charlie RZ F1

- საადრეო, მაღმწიფადი ფოთლოვანი ჭარხლის ჰიბრიდი, რომლის მოყვანა რეკომენდებულია როგორც ღია, ასევე დახურულ გრუნტში.
- მოკრეფა შესაძლებელია სრულად დაუმწიფებელ ფაზაში (ე.წ. «ბები ლიფ» ტექნოლოგია) და შედის «ნახევარფაბრიკატები/საკვებად გამზადებული» მიმართულების ასორტიმენტში.
- ფოთლები ნახევრად სავლის ტიპისაა, ღია მწვანე ფერით, ოვალური ფორმის, ძლიერია და ბზვინვარე, რომელიც არ კარგავს ფერს.
- აქვს ფერების კარგი კონტრასტი (ფოთლების მწვანე და წითელი ნაწილების შერწყმა).
- ღერო და ძარღვები ნაჯერი წითელი ფერისაა.



ჩარლი / Charlie RZ F1



ცნობარი

კულტურა	თესლის რაოდენობა 1 გ-ში	მცენარეთა რაოდენობა 1 ჰა-ზე (ათასი მც.)	შეფუთვა, გ	შეფუთვა, ცალი
საადრეო თეთრთავიანი კომბოსტო	250–350	50–65		1000, 2500
შუა სეზონის თეთრთავიანი კომბოსტო	250–300	35–50		1000, 2500
საგვიანო თეთრთავიანი კომბოსტო	200–250	35–45		1000, 2500
წითელთავიანი კომბოსტო	200–250	30–55		1000, 2500
კომბოსტო ბროკოლი	200–250	40–45		1000, 2500
კომბოსტო კოლრაბი (ხვიტი)	250–320	100–120		1000, 2500
კომბოსტო ყვავილოვანი	250–300	25–35		1000, 2500
კიტრი	30–50	25–60	10,50,250	250, 1000, 2500, 10000
პომიდორი	300–330	22–28		100, 250, 500, 1000
წიწკა	130–200		5–8	100, 1000
ბადრიჯანი	200–250		4–5	100, 1000
სტაფილო	700–1300	800–1600	50,250,500	25000
სუფრის ქარხალი	90–100	500–1000	100, 250	25000, 100000
ბოლოკი	120	3500–6000	50, 250	
სალათი	850–1200	80–120	5	1000, 5000
პრასი	340–440	130–150		2500
ნიახური ბოლქვებიანი	2200–2600	70–85		10000
ნიახური ღეროიანი	2500–2700	100–120		10000
ოხრაბუში	800–1000	1–1,2 მლნ.	10, 50	
ენდივი (არდი)	600–800		1,3 – 1,5	1000, 5000
რუკოლა	35–450		2,5	1000000
ისპანახი	80–100	1000–3000	275	25000, 1000000
საზამთრო	20–30	0–12		1000, 2500, 10000
ნესვი	25–35	10–14		500, 1000





პროდუქციის
ხაზები

პროდუქციის ხაზები

კომპანია „რიკ ცვანი“ იმყოფება კვებითი ჯაჭვის პირველ რგოლში, რადგან ჩვენი სპეციალიზაცია ბოსტნეული კულტურების სელექცია და მათგან სათესლე მასალის წარმოებაა. ჩვენ პარტნიორებთან ერთად ვცდილობთ, მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ ბოსტნეული და ბაღეული კულტურების მოხმარების გაზრდაში მსოფლიოს გარშემო.

მსოფლიოში ნედლი ბოსტნეულის ინდუსტრიის მიდგომა იცვლება და უფრო ბაზარზე ორიენტირებული ხდება.

ჩვენ, პარტნიორებთან ერთად, კვებითი ჯაჭვის ყველა რგოლში ვცვლით იდეებს, ცოდნასა და გამოცდილებას, რომელსაც საბოლოოდ საერთო წარმატებისკენ მივყავართ.

ჩვენ ვაკვირდებით ბაზრის უკანასკნელ ტენდენციებს და ვხედავთ, რომ საბოლოო მომხმარებლების

მოთხოვნები ბოლო 10 წლის მანძილზე ძალიან შეიცვალა.

შესაბამისად ჩვენი კლიენტებიც მეტად სპეციფიკურ მოთხოვნებს გვიყენებენ ბოსტნეულ კულტურებთან მიმართებაში. პასუხად, ჩვენ სიხარულით შეგვიძლია შევთავაზოთ პროდუქციის ხაზები და ასორტიმენტი, ჯიშები და ჰიბრიდები, რომლებიც აკმაყოფილებენ ორივეს, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლების მოთხოვნებსაც.

თითოეული პროდუქციის ხაზი აკმაყოფილებს მინიმუმ ერთ სპეციფიკურ მოთხოვნილებას, სწორედ ამიტომ, კვებითი ჯაჭვის რგოლებში სხვა დანარჩენი წარმომადგენლებისათვის, შესაძლებლობების ფართე დიაპაზონი იქმნება.





Convenience



by Rijk Zwaan

გამზადებული საკვები

პროდუქციის მიმართულება –

«ნახევარფაბრიკატები» – «საკვებად გამზადებული» – ამ კონკრეტულ მიმართულებას მიეკუთვნებიან ნედლი (ქორფა, ნორჩი) ბოსტნეული კულტურები, რომლებიც არ საჭიროებენ დამატებითი ძალისხმევას მოხმარებამდე (რეცხვა, წმენდა, დახარისხება და დაჭრა).

საუკეთესო მაგალითი ამ მიმართულების პროდუქტებისთვის არის სალათების მზა მიქსი, სადაც სალათის ფურცლები უკვე გარეცხილი, დაჭრილი და დაფასოებულია სპეციალურ პაკეტში. კომპანია «რიკ ცვაანი» – ს, როგორც სალათის ფურცლების სელექციის მსოფლიო ლიდერს, მჭიდრო კავშირი აქვს გადამამუშავებელ მრეწველობებთან მსოფიოს მასშტაბით.

ახლო კავშირი გვეხმარება ერთობლივად გადავჭრათ უამრავი პრობლემა, ასევე, შევთავაზოთ მათ ახალი პროდუქტები, ახალი ბაზრებისათვის.

ჩვენი სასელექციო ღონისძიებები მიმართულია შენახვის ვადის გახანგრძლივების (shelf-life), ფერის, გემოს და ქიმიური შემადგენლობის გაუმჯობესკენ. ბიზნეს ოპერატორების მოთხოვნები, რომლებიც ამ კონკრეტულ სფეროში საქმიანობენ, მეტად სპეციფიკურია პროდუქციის მიმართ. მაგ: ხასხასა წითელი ფერი ან კარგი გემოს თვისებები მათთვის არ არის საკმარისი.

აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ნარჩენები იყოს მინიმალური და შეფუთვაში პროდუქტი გამოიყურებოდეს მიმზიდველად, ამასთან მოსავალი უნდა იყოს მაღალი, ხოლო აგროტექნოლოგია იყოს მარტივი, ნაკლები ძალისხმევით.

კომპანია «რიკ ცვაანი» – ს მიერ წარმოებული ჯიშები და ჰიბრიდები, აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომლებიც აქვთ, როგორც გადამამუშავებელ საწარმოებს, ისე ფერმერებს და პირველად მწარმოებლებს.

კულტურა	ჰიბრიდი / ჯიში
სალათი სალანოვა®	გოგენი, ქსერაფინი, ექსპერიენსი, ექსაითი, ეკზაკტი, გუმბოლდტი, ექსპერტაიზი, ტრიპლექსი, ვინტექსი, აქვინო, კუკი
ფოთლოვანი სალათი	ლევისტრო, ლოკარნო RZ, ექსტემპი, კარმეზი, სატინი, ლუგანო, ლოზანო, ბარლახი
სალათი აისბერგი	უმბრინასი, არგენტინასი, კამპიონასი, დიამანტინასი, მირეტი, პლატინასი, სანტარინასი
სალათი, ხრაშუნა რომენი	კრანჩიტა
მუხის სალათი (ოაკლიფი)	კირიბატი, კრილდა, როკსაი
სალათი ბები – ლიფი	კარლოვია, ლუნავია, სოლავია, ტრანკია. ბოიდი
თავიანი, ზეთოვანი სალათი	სანტორო
ისპანახი	მერკატი F1, პუმა F1, ზებუ F1
ჭარხლის სალათი	ჩარლი F1
მინდვრის სალათი	სირილა
ენდივი (არდი)	სიგალი, მონაკო
თეთრთავიანი კომბოსტო	ანკომა F1, მუქსუმა F1, მარჩელო F1
სავოსი კომბოსტო	ესტრემა F1
წითელთავიანი კომბოსტო	როდიმა F1, რედმა F1



ორგანული

კომპანია «რიკ ცვაანი» აქტიურად იცავს და მხარს უჭერს ორგანულ სოფლის მეურნეობას და ბოსტნეული კულტურების ჯანსაღი წესით კულტივირებას. 1992 წლიდან ჩვენ ვმუშაობთ იმისათვის, რომ ჩვენს მწარმოებლებს შევთავაზოთ სათესლე მასალების ფართე და სრულყოფილი ასორტიმენტი, რომელიც მიღებულია, გასუფთავებულია და წარმოებულია ორგანული წესით. აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი სათესლე მასალა სრულიად ჰარმონიზირებულია და აკმაყოფილებს ევროპული მასერტიფიცირებული ორგანოების მოთხოვნებს. მაგალითად «რიკ ცვაანის» სათესლე მასალა სრულიად აკმაყოფილებს ევროპაში «Skal Biocontrol» – ს და ამერიკაში NOP USDA–ს მოთხოვნებს.

ამიტომაც ჩვენ შევქმენით პროდუქციის მიმართულება «Organic– ორგანული», რომელშიც გაერთიანებულია ჰიბრიდებისა და ჯიშების ფართე ასორტიმენტი, ეს ასორტიმენტი მეტად დაკვირვებით იქნა შერჩეული, რომ სრულიად დაეკმაყოფილებინა პროფესიონალი მწარმოებლების პრეტენზიული მოთხოვნები, მაგალითად მცენარეთა დაავადებებისა და მავნებლებისადმი გამძლეობის უნარი და სხვ.

გარდა ამისა, ჩვენი სათესლე მასალით ორგანული წესით წარმოებული ბოსტნეული კულტურები, გამოირჩევიან შესანიშნავი ვიზუალით, აქვთ კარგი გემოსა და ხარისხის უმაღლესი მაჩვენებლები, ასევე ხანგრძლივი ვადით შენახვის უნარი.

დარწმუნებულები ვართ, ყველა რეკომენდაციების გათვალისწინებით და ოპტიმალური მოვლა– მოყვანის პირობებში, «რიკ ცვაანის» «ორგანული» მიმართულების სათესლე მასალით, ფერმერებს შეუძლიათ საუკეთესო, კონკურენტული, ჯანსაღი და ორგანული ბოსტნეული აწარმოონ.

კულტურა	ჰიბრიდი/ ჯიში
სალათი აისბერგი	დიამანტინასი, იასპერინასი
სალათი სალანოვა®	ექსპერტაიზი
მუხის სალათი (ოაკლიფი)	კირიბატი, ლოზანო
სალათი რომენი	ვიქტორინუსი
ფოთლოვანი სალათი	ლოზანო
ენდივი (არდი)	მონაკო



Industry



by Rijk Zwaan

სურსათის მრეწველობა ❄️

მოსავლის აღებისთანავე დაკონსერვება, ზრდის ბოსტნეულის შენახვის ვადას და კვებით ვარგისიანობას. ღრმად–შოკურად გაყინული, გამომშრალი, დამწნილებული, ასევე დაკონსერვებული ბოსტნეული საბოლოო მომხმარებელს ჯანსაღი და მრავალფეროვანი საკვებით უზრუნველყოფს, ასევე მარტივია მოსამზადებლად.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, კომპანია «რიკ ცვანია» ამრავლებს ბოსტნეული კულტურების ჯიშებს, რომლებიც აკმაყოფილებენ სურსათის გადამამუშავებელი მრეწველობის ყველა მოთხოვნილებას.

ეს ჯიშები შედიან «Industry» – სურსათის მრეწველობა» პროდუქციის ხაზში.

ამ ხაზის პროდუქციის უმთავრესი ღირებულებაა: მაღალმოსავლიანი, დაავადებების და მავნებლების მიმართ მედეგობა, ბიოტური და აბიოტური სტრესული ფაქტორების მიმართ კარგი გამძლეობა, მოვლა–მოყვანის პირობებისადმი ნაკლები მოთხოვნილება და სხვ. გარდა ჩამოთვლილისა გამოირჩევიან შენახვის ხანგრძლივი ვადით, რამდენიმე ციკლიანი მოსავლით,

მოსავლის აღება გახანგრძლივებულია, რაც ყველაზე მთავარია გააჩნიათ არაჩვეულებრივი გემოს თვისებები და უმაღლესი ხარისხის მაჩვენებლები.

უკანასკელი პერიოდის ტენდენციაა მექანიზირებული მოსავლის აღება, რომელსაც ამ მიმართულების ყველა ჯიში და ჰიბრიდი აკმაყოფილებს.

კულტურა	ჰიბრიდი/ჯიში
კორნიშონი	ლიზსტი F1, ღირიგენტი F1, ჰარმონია F1, ტრილოჯი F1, ჩაიკოვსკი F1, კიბრია F
სტაფილო	ვარმია F1, კაროტანი
ჭარხალი	მონტი F1, აკელა, ბებიბიტი
ისპანახი	მერკატი F1, მუფლონი F1, პუმა F1, ბოა F1, დელფინი F1
თეთრთავიანი კომბოსტო	სეპტიმა F1, სელმა F1, სეკომა F1, ანკომა F1
წითელთავიანი კომბოსტო	რედმა F1, როდიმა F1
ყვავილოვანი კომბოსტო	ცერსი F1, კასპერი F1, სტაბილისი F1, შამბორდი F1
ბროკოლი	აგასი F1, ორანტესი F1
სავოსი კომბოსტო	მადლენი F1, მორამა F1
ტკბილი წიწაკა	სონდელა F1
ნიახური	პრეზიდენტი



საოცარი გემოები

კომპანია «რიკ ცვანნი» – ს სელექციური საქმიანობის პრიორიტეტად ყოველთვის იყო და იქნება გემოს თვისებები, ამიტომ ჩვენ გამოგვყავს ჰიბრიდები და ჯიშები, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული გემოთი და არომატით.

ამბობენ «გემოვნებაზე არ დაობენ» – ო, თუმცა ჩვენ დავაკვირდით და გავაანალიზეთ გემოს შეგრძნებების მაჩვენებლები, რომლებიც ადამიანისთვის არის ხელმისაწვდომი და შევქმენით პროდუქციის მიმართულება «Sensational Flavours» – «საოცარი გემოები».

ძირითადი მახასიათებლები, რის მიხედვითაც მოხდა მიმართულებაში შემავალი ასორტიმენტის დაკომპლექტება, იყო: გემო, სუნი, არომატი და სტრუქტურა.

სპეციფიური მახასიათებლები დახვეწილი და განსხვავებული გემოს თვისებების გამო, ჩვენი ბოსტნული კულტურები, მთელს მსოფლიოში მრავალი რესტორატორის და ჰორეკა (HoReCa) ბიზნესის წარმომადგენლის ყურადღებას იპყრობს, გვერწმუნეთ ეს ჩვენი მუხლჩაუხრელი სამეცნიერო მუშაობის შედეგია. წარმოდგენისათვის, «საოცარი გემოები» – ს

მიმართულებაში შემავალ ჯიშებს და ჰიბრიდებს დამატებითი ღირებულებები აქვთ, მაგ: პომიდორები, ტკბილ-მჟავე გემოს საოცარი ბალანსით; ან ბადრიჯანი, რომლის შეწვის დროსაც იხარჯება ნაკლები ზეთი. ამ მიმართულების პროდუქციის ასორტიმენტი საშუალებას გვაძლევს ვაწარმოოთ პრემიუმ სეგმენტის გადამუშავებული ან პირველადი პროდუქტი და შესაბამისად ავითვისოთ ახალი ბაზრები.

კულტურა	ჰიბრიდი / ჯიში
სალათი სალანოვა®	გოგენი, ბარლაზი
სალათი, ხრამუნა რომენი	კრანჩიტა
რუკოლა	სპარკლი
ნესვი	რიკურა
ტბკილი წიწაკა	პალერმო F1
ყვავილოვანი კომბოსტო	ვიტავერდე F1



სენსაციური ინგრედიენტები

მიმზიდველი ბოსტნული, როგორც სენსაციური ინგრედიენტები. მადანტექნოლოგიური ბიოქიმიური კვლევებით და ტრადიციული სელექციის მეთოდების გამოყენებით, ჩვენ შევქმენით ბოსტნულის ასორტიმენტი, რომლებიც შეიცავს უფრო მეტ, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ნივთიერებებსა და ვიტამინებს, მაგ: კაროტინი ან ფოლიუმის მჟავა. «სენსაციური ინგრედიენტების» ასორტიმენტით, ჩვენს პარტნიორებს ვანახებთ, ვასწავლით და ვუხსნით ბაზრის ინტერესებს, ასევე თუ როგორ წარმოაჩინონ დამატებითი ღირებულებების უპირატესობები და მნიშვნელობა.

ჩვენ გამოვიყვანეთ ჯიშები, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან რამდენიმე ინგრედიენტით, ისინი ორიენტირებული არიან სამ უდიდეს ინდუსტრიულ სფეროში: გემოს, სამრეწველო და ჯანსაღი კვება. აუცილებელია განვიხილოთ ამ პროდუქტების პოზიციონირება და ხელი შევუწყოთ მათ წარმატებულ გაშვებას ბაზარზე.

ჩვენ მზად ვართ გაგიზიაროთ გამოცდილება და გითხრათ, რამხელა მნიშვნელობა ენიჭება გადამამუშავებელ მრეწველობაში კვებითი კომპონენტების დიდი რაოდენობით არსებობას.

მოდით განვიხილოთ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენი სელექციური მუშაობის შედეგები ბაზარზე (ან სავსე პირობებში) მაქსიმალური ეფექტის მისაღებად.

კულტურა	ჰიბრიდი / ჯიში	სასარგებლო ნივთიერება
ჭარხალი	მონტი F1	ბეტაინი
სტაფილო	ვარმია	ბეტა – კაროტინი
სალათი სალანოვა®	ექსპერტაიზი	ფოლიუმის მჟავა (ვიტამინი B9)



სენსაციური ხემსი

ჯანმთელობისთვის სასარგებლო – ჯანსაღი ხემსი
თანამედროვე ადამიანები ხშირად წასახემსებლად მსუბუქ ბოსტნულს ირჩევენ. ამიტომ კომპანია «რიკ ცვაან» – მა შექმნა საინტერესო ასორტიმენტი. პომიდორი ჩერი – თაფლივით მოტკბო გემოთი, ქლიავისებური–პომიდორი, ან პატარა ზომის ხრაშუნა კიტრის ჰიბრიდები.

ამგვარი ჰიბრიდების გამოყვანისას, ჩვენმა სელექციონერებმა გაითვალისწინეს შემდეგი მახასიათებლები: გემო და არომატი, შენახვის ხანგრძლივი ვადა და მიმზიდველი ვიზუალი. ეს ჰიბრიდები და ჯიშები გაერთიანებულია «Sensational Snacks» – «სენსაციური ხემსები» – ს მიმართულების ქვეშ. იდეალური სასუსნავი ბავშვებისათვის. ჩვენ ხემსებში თავმოყრილია ინგრედიენტების მრავალფეროვანი და იდეალური არჩევანი ჯანსაღი კვებისათვის.

ჩვენ ვამრავლებთ მრავალი ნაირსახეობის ჰიბრიდებს მოსფლიოს სხვადასხვა ადგილებში, ეს საშუალებას იძლევა მაღალი ხარისხის, მსუბუქი ბოსტნეული – ხემსისთვის ხემლისაწვდომი იყოს მთელი წლის განმავლობაში. მოდით წავიხემსოთ!

კულტურა	ჰიბრიდი/ ჯიში
ბოლოკი	მონდიალი F1
სტაფილო	ჯერადა
კომბოსტო კოლრაბი (ხვითი)	ტერეკი F1



უსაფრთხო გამოყენება

მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებით დამუშავებული სათესლე მასალის უსაფრთხო გამოყენების რეკომენდაციები
მდექს-ით დამუშავებული სათესლე მასალის გამოყენებისას აუცილებელია დავიცვათ, როგორც პირადი უსაფრთხოება, ასევე არ მივაყენოთ ზიანი გარემოს. ქვემოთ მოყვანილია ზოგადი რჩევები უსაფრთხოების ზომების შესახებ.

ზოგადი რჩევები

- აკრძალულია მდექს-ით დამუშავებული სათესლე მასალის საფურაჟედ, მეორადი გადამუშავებისთვის და სურსათად გამოყენება.
- მოარიდეთ ბავშვებს და შინაურ ცხოველებს.
- მდექს-ით დამუშავებულ სათესლე მასალასთან მუშაობისას ყოველთვის გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები: სპეცტანსაცმელი, დამცავი სათვალე, ხელთათმანები, რესპირატორი და დამცავი ფეხსაცმელები; მოერიდეთ მათ კანზე, ცხვირსა და თვალებში მოხვედრას
- მოერიდეთ სათესლე მასალის ძირს დაყრას. ძირს დაყრილი თესლი მოაგროვებთ შემოდგომა უტილიზაციისთვის. მდექს-ით დამუშავებული სათესლე მასალა არ ჩაყაროთ საკანალიზაციო სისტემაში, მდინარეებში ან სხვა წყალსაცავებში.

თესვის წინ

- არ შეწამლოთ უკვე მდექს-ით დამუშავებული სათესლე დამატებით, სხვა პრეპარატით.
- შეფუთვის გახსნისას და სათესლე ჩაყრისას, მოერიდეთ შეწამლული სათესლე მასალის ამტვერვას
- არ გადმოატრიალოთ შეფუთვა და არ ჩაყაროთ დარჩენილი მტვერი სათესლეში

თესვის დროს

- აკრძალულია თესვა ძლიერი ქარის დროს, აკონტროლეთ თესვის რეკომენდებული ნორმა
- პნევმატურ-ვაკუუმური სათესლის გამოყენებისას, შეწამლული სათესლე მასალის მტვერი მიმართეთ ნიადაგის ზედაპირისკენ ან ნიადაგის სიღრმისკენ, დამატებითი დამხმარე დეფლექტორების საშუალებით.
- ფრინველებისა და ძუძუმწოვრების სიკვდილის თავიდან აცილების მიზნით დაიცავით თესვის სიღრმე, აუცილებლობის შემთხვევაში დაფარეთ მიწით. განსაკუთრებით მწკრივების ბოლოს და სათესის მობრუნების ადგილებში

თესვის შემდეგ

- არ დატოვოთ დარჩენილი სათესლე მასალა და შეფუთვა უყურადღებოდ.
- გაანადგურეთ არსებული რეგულაციების შესაბამისად.
- დარჩენილი სათესლე მასალა დააბრუნეთ და შეინახეთ ორიგინალ შეფუთვაში.
- არ გამოიყენოთ სათესლე მასალის შეფუთვა სხვა საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის.



არ გამოიყენოთ საფურაჟედ, მეორადი გადამუშავებისთვის და სურსათად.



გამოყენების შემდგომ დაიბანეთ ხელები.



შეინახეთ ბავშვებისა და ცხოველებისაგან მიუწვდომელ ადგილას.



არ დააბინძუროთ საკანალიზაციო სისტემები, მდინარეები, ან სხვა წყალსაცავები.



ჩაიცვით სპეციალური ინდივიდუალური დამცავი საშუალებები.



თესვის დროს მინიმუმამდე შეამცირეთ წარმოქმნილი მტვერი.

უსაფრთხოების ზომები შემუშავებულია ევროპის სათესლე მასალის მწარმოებელთა ასოციაციის (ESA) მიერ.

www.euroseeds.org

სპეციფიკაციები ჯიშობრივი სიწმინდისთვის, «ევროპის სათესლე მასალის მწარმოებელთა ასოციაციის (ESA)» ნორმების მიხედვით

ევროპის სათესლე მასალის მწარმოებელთა ასოციაცია (ESA) ადგენს მკაფიო სპეციფიკაციებს და რეკომენდაციებს, სათესლე მასალის აღმოცენების ხარისხის ნორმის დადგენაზე, ასევე, ჯიშობრივ სიწმინდესა და თესლის სიჯანსაღეზე.

სათესლე მასალის ხარისხი მუდმივად მოწმდება, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია «რიკ ცვანია» აღმოვაჩენს, რომ თესლის ხარისხობრივი მაჩვენებლები იმაზე დაბალია, ვიდრე ეტალონ ცხრილში წარმოდგენილი, აუცილებლად ვაცნობებთ ფერმერს, ინდუსტრიულ მწარმოებელს, ან დისტრიბუტორებს. შემდგომ ამისა, დამკვეთები თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას, რამდენად მისაღებია ამგვარი სათესლე მასალა მათი ბიზნესისათვის.

უკანასკნელ წლებში მეზოსტნეობა – მეზადჩეობა მაღალტექნოლოგიურ და სწრაფად მზად ინდუსტრიად ჩამოყალიბდა. შედეგად, გადამამუშავებელი საწარმოებისგან და ფერმერებისაგან მუდმივად იზრდება მოთხოვნა საუკეთესო ხარისხის პროდუქტების მიმართ. იზრდება მოთხოვნა, როგორც სათესლე მასალის ფორმაზე, ასევე ხარისხის დამადასტურებელ ტექნიკურ რეგლამენტზეც, რომელშიც მკაფიოდ და მარტივად უნდა იყოს გაწერილი აგრო – ტექნოლოგიური პროცესები. მაგ: თესლის აღმოცენებაზე რა მოქმედებს საუკეთესოდ, ან როგორ გამოიყვანონ მეტი რაოდენობის ჩითილი გრუნტი გადასარგავად და სხვ. თესლი – ცოცხალი, ბუნებრივი პროდუქტია, ამიტომ, ხშირად, ცვალებადმა გარემომ პირობებმა შესაძლებელია აღმოცენების ხარისხზე იმოქმედოს. შესაბამისად, ძალიან რთულია აღმოცენებაზე ან სხვა ფიზიკურ მახასიათებლებზე ზუსტი, ან უტყუარი ინფორმაციის გაცემა. კომპანია «რიკ ცვანია» ვეყრდნობით და ვიყენებთ «სათესლე მასალის ტესტირების საერთაშორისო ასოციაციის (ISTA)» მიერ შემუშავებული პარამეტრებს (გამოსახულს პროცენტებში), რომლებიც ქვემოთ არის მოყვანილი ცხრილის სახით.

ძირითადი განმარტებები

ჩვეულებრივი სათესლე მასალა (NS)

ჩვეულებრივია (ნორმალური) სათესლე მასალა, რომელიც არ არის დამუშავებული მცენარეთა დაცვის რომელიმე ქიმიური საშუალებით. იყიდება ცალობით ან წონით.

აკურატული სათესლე მასალა (PR)

აკურატულია სათესლე მასალა, რომელიც გადამამუშავებულია დამატებით და დახარისხებულია სპეციალურ კალიბრატორში, მათ აქვთ აღმოცენების უმაღლესი ხარისხი.

აკურატული სათესლე მასალა იყიდება ცალობით.

თესლის პრაიმინგი (PR PM)

პრაიმინგში მოიაზრება სათესლე მასალის გაღებვა, ანუ აღმოცენების სტიმულაცია, რომელიც სპეციალურ კონტროლირებულ პირობებში მიმდინარეობს. პრაიმინგი ხორციელდება უფრო ერთგვაროვანი აღმოცენების მისაღებად.

ასეთი სათესლე მასალა იყიდება ცალობით.

თესლის დრაჟირება (SP)

თესლის დრაჟირებაში იგულისხმება დამხმარე სპეციალური ნივთიერებების მრავალჯერადი დამრევებით (დრაჟირება) სათესლე მასალაზე დატანა, ერთგვაროვანი მრგვალი ფორმების მისაღებად. ეს მეთოდი ამარტივებს დათესვას სპეციალური სათესით.

ასეთი სათესლე მასალა იყიდება ცალობით.

გარსიანი/აფსკიანი დაფარვა

ეს არის ერთგვაროვანი, თხელი ფირი, რომელსაც ქმნის ფუნგიციდი. ფუნგიციდის ტიპის გამოცნობა შესაძლებელია ფერის მიხედვით. რადგან შექნილია სპეციალური სისტემა, რომელშიც თითოეულ ფერს შეესაბამება კონკრეტული ფუნგიციდი. სათესლე მასალა იყიდება ცალობით.

მცენარის თესლის ხარისხი

კომპანია «რიკ ცვანის» მიერ წარმოებული სათესლე მასალა, სრულიად აკმაყოფილებს GOCT P 32592–2013 მიერ დადგენილ ყველა სტანდარტს, ასევე საქართველოს მთავრობის «თესლისა

აკურატული სათესლე მასალის (PR) სპეციფიკაციები ჯიშობრივი სიწმინდისთვის, «ევროპის სათესლე მასალის მწარმოებელთა ასოციაციის (ESA)» ნორმების მიხედვით

კულტურა	ჯიშობრივი სიწმინდის მინიმალური მოთხოვნა აკურატული სათესლე მასალისათვის (PR), %-ში
კიტრი დახურული გრუნტისათვის	99
კიტრი კორნიმონი დახურული გრუნტისათვის	98 (გარდა ფუტკრით ან ბაზის მიერ დასამტვერიანებული ჯიშებისა)
ბადრიჯანი	98
სალათი (თავიანი, ზეთოვანი, ბატავია, აისბერგი, რომენი)	98
სალათი (სხვა ტიპები)	95
წიწკა	97
პომიდორი	98
პომიდორი	98

და სარგავი მასალის საქართველოში გავრცელების დამატებითი პირობების» დადგენილება №145–ს, ასევე «ბოსტნეულისა და ბაღრეულის თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე» საქართველოს მთავრობის დადგენილება №44–ს. სათესლე მასალას აქვს ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომელიც გაცემულია, მსოფლიოში აკრედიტებული ლაბორატორიების მიერ.

თესლის აღმოცენების ხარისხი

სათესლე მასალის აღმოცენების ხარისხი სრულიად შესაბამისობაშია «სათესლე მასალის ტესტირების საერთაშორისო ასოციაციის» (ISTA) მოთხოვნებთან.

ჯიშობრივი სიწმინდე

ჯიშობრივი სიწმინდეა პოპულაციაში ჯიშის ან თესლისა და სარგავი მასალის წილი, რომელიც ჯიშის ოფიციალურ აღწერას შეესაბამება. თესლის სიწმინდეში იგულისხმება ძირითადი კულტურის თესლის მასა, გამოხატული პროცენტობით, რომელიც გადარჩეულია და გასუფთავებულია კონკრეტული პარტიიდან.

ცოცხალი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ დეკლარაცია (GMO)

ბოსტნეულის სათესლე მასალის კატალოგში აღწერილი და ნაჩვენებია ყველა ჯიშის ან ჰიბრიდის, გამრავლებულია და მიღებულია სელექციის ტრადიციული მეთოდებით, კომპანია «რიკ ცვანის» მიერ.

«ევროპის სათესლე მასალის მწარმოებლებთან ასოციაციის (ESA)» რეკომენდაციები ჯანსაღი სათესლე მასალისთვის

იმისათვის, რომ ბოსტნეულის სათესლე მასალა იყოს ჯანსაღი და შესაბამებოდეს ევროკავშირის რეგულაციებს ან «EC–ს 2002/55/EC» დირექტივებს, ასევე გაკონტროლდეს ან აღმოიფხვრას სათესლე მასალით გადაცემული დაავადებები, კომპანია «რიკ ცვანში» დანერგულია რისკების მართვის მრავალფეროვანი სტრატეგიები. მსგავს სტატეგიები მოიცავს (მაგრამ არ არის შეზღუდული) სათესლე მასალის სიჯანსაღეზე ცდების ჩატარებას, სათესლე მასალის დაცულ გარემოში წარმოებას, სავსე ინსპექტირებას, სათესლე მასალის დამუშავება/შეწამვლას ან ეფექტურ დეზინფექციას. «ბოსტნეულის ჯანსაღი სათესლე მასალის მსოფლიო ინიციატივის (ISHI–VEG)» ორგანიზაციამ შეიმუშავა სახელმძღვანელო, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი სათესლე მასალის ტესტირების მეთოდები.

ამ რეკომენდაციების ზედმიწევნით დაცვით კომპანია «რიკ ცვანში» ხდება სათესლე მასალის ტესტირება და დახარისხება.

ორგანიზაცია ISHI–VEG-ის სახელმძღვანელო და რეკომენდაციები იხილეთ ბმულზე:

www.worldseed.org/isf/ishi_vegetable.htm

აკურატული და დრაჟირებული სათესლე მასალის სპეციფიკაციები «ევროპის სათესლე მასალის მწარმოებლებთან ასოციაციის (ESA)» მიხედვით

კულტურა		აკურატული (PR)	დრაჟირებული (SP)
საზამთრო	აღმოცენება	90%	
ბადრიჯანი	აღმოცენება	90%	
კომბოსტოსებრი კულტურები	აღმოცენება	90%	
	თესლის კალიბრაცია	0,20/0,25 მმ	
პრასი	აღმოცენება	90%	90%
	თესლის კალიბრაცია	0,20/0,25 მმ	
სტაფილო	აღმოცენება	85%	85%
კიტრი	თესლის კალიბრაცია	0,20/0,25 მმ	
	აღმოცენება (ღია და დახურული გრუნტისათვის)	92%	
	აღმოცენება (მოკლე ნაყოფიანისთვის)	88%	
წიწკა (ტკბილი/ცხარე)	აღმოცენება	90%	
მინდვრის სალათი	აღმოცენება	85%	
	თესლის კალიბრაცია	0,20/0,25 მმ	
ბოლოკი	აღმოცენება	92%	
	თესლის კალიბრაცია	0,20/0,25 მმ	
სალათი	აღმოცენება	93%	95%
ჭარხალი (ფოთლოვანი, სუფრის)	აღმოცენება	90%	
	თესლის კალიბრაცია	0,75 მმ	
ნიახური (ბოლქვებიანი, ღეროიანი)	აღმოცენება	90%	90%
პომიდორი	აღმოცენება	92%	
ისპანახი	აღმოცენება	85%	
	თესლის კალიბრაცია	0,75 მმ	
ენდივი (არდი)	აღმოცენება	0,75 მმ	
		90%	92%

კატალოგში წარმოდგენილი სათესლე მასალის შეძენა რეკომენდებულია მხოლოდ კომპანია «რიკ ცვანის» ოფიციალურ დისტრიბუტორებთან, ასევე მათ ქსელებში ან/და «რიკ ცვანში» პირდაპირ. კომპანია იხსნის ნებისმიერი სახის ვალდებულებას თესლის ხარისხთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ სათესლე მასალა შეძენილია სხვა სადილორო მაღაზიაში, ან მეორეული ხელისგან. სათესლე მასალის პირდაპირ «რიკ ცვანთან» შეძენის შემთხვევაში, გავრცელება გაყიდვის/შესყიდვის პირობები, რომლის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: <https://www.rijkswaan.com/sales-conditions> ან გამოგეგზავნებათ თქვენი მოთხოვნის შესაბამისად.



მცენარის რეაქცია მავნებლების და დაავადებების ზემოქმედებაზე

მავნებელ-დაავადებებსა და მცენარეებს შორის ურთიერთდამოკიდებულება მეტად რთული საკითხია.

დაავადების ან მავნებლის უნარი დააზიანოს მცენარე, დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე, მაგალითად: გარემო პირობები, თვითონ მავნებლის ან დაავადების ბუნება, ასევე, მცენარის თავდაცვით უნარებზე.

ეს უნარი განსხვავებულად ვლინდება ერთი და იგივე სახეობის, სხვადასხვა ჯიშის მცენარეებში. მავნებლის ზემოქმედება რომელიმე ჯიშზე შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს, განსხვავებულ კლიმატურ პირობებში.

ცნობილია, რომ დაავადებები მუდმივად განიცდიან ევოლუციას(მუტირებას), წარმოიშობიან ახალი რასები ან შტამები, რომლებიც აზიანებენ მცენარეებს, რომლებიც ადრე ნაკლებად მგრძნობიარენი იყვნენ ამ დაავადებების მიმართ.

განსაზღვრება:

იმუნიტეტი – მცენარის ორგანიზმის დამცავი ბარიერი, ნებისმიერი გენეტიკურად უცხო აგენტისაგან, იქნება ეს ვირუსები, ბაქტერიები, სოკოები, თუ ორგანიზმში გარედან მოხვედრილი სხვა მიკროორგანიზმი.

გამძლეობა (მედეგობა, რეზისტენტობა) – არის გარკვეული ჯიშის მცენარის ორგანიზმის მდგრადობა რომელიმე აგენტის მიმართ, ან უნარი შეზღუდოს გარკვეული მავნებელ-დაავადებების ზრდა – განვითარება, ან/ მათ მიერ მიყენებული ზიანი მგრძნობიარე ჯიშებთან შედარებით, ერთი და იმავე გარემო პირობებში და ინფექციის გავრცელების მაღალი ან/და სხვადასხვა ფონის პირობებში.

ძალიან მაღალი ინფექციური ფონის დროს, რეზისტენტული

ჯიშებიც კი ვერ ავლენენ დაავადების მიმართ გამძლეობას.

განასხვავებენ რეზისტენტობის ორ ტიპს:

ძლიერი მედეგობა / რეზისტენტობა / გამძლეობა HR

მცენარეები აჩერებენ / ზღუდავენ პათოგენების ან მავნებლების ზრდასა და განვითარებას საშუალო ინფექციურ ფონზე, მგრძნობიარე ჯიშებთან შედარებით. თუმცა ძლიერ ინფექციურ ფონზე მათ შეუძლიათ გამოავლინონ დაავადების ან დაზიანების სიმპტომები.

საშუალო მდგრადობა / მედეგობა / გამძლეობა IR

მცენარეები ზღუდავენ პათოგენების ან მავნებლების ზრდას და განვითარებას, მაგრამ შეიძლება გამოავლინონ დაავადების ან დაზიანების სიმპტომები, მაღალი გამძლეობის მქონე ჯიშებთან შედარებით. საშუალო მდგრადობის ჯიშები ავლენენ დაზიანების / დაავადების უფრო ცოტა სიმპტომს, ვიდრე მგრძნობიარე ჯიშები იგივე პირობებში.

მგრძნობელობა / მიმდებლობა

ჯიშის უუნარობა შეზღუდოს პარაზიტების, მავნებლებისა და გარკვეული პათოგენების ზრდა – განვითარება.

დამატებითი ინფორმაცია მედეგობის ამ მითითებული კოდების შესახებ:

იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციაში რომელიმე ჯიშის მედეგობის შესახებ მითითებულია გარკვეული ბიოტიპი ან რასა, რომლის მიმართაც მოცემული ჯიში ავლენს მდგრადობას, არ ნიშნავს, რომ ჯიში ყოველთვის მედეგია მოცემული დაავადების ან/და მავნებლის სხვა ბიოტიპების ან/და რასების მიმართ.

დაავადებები

შემოკლებული დასახელება		საერთაშორისო დასახელება	ქართული დასახელება
კიტრი			
CGMMV	Cucumber green mottle mosaic virus		კიტრის მწვანე მოიზაიკის ვირუსი
CMV	Cucumber mosaic virus		კიტრის მოზაიკის ვირუსი
Px	Podoshacteria xanthii		კიტრის ნაცარი
Ccu	Cladosporium cucumerinum		მურა ლაქიანობა (კლადოსპორიოზი)
Cca	Corynespora cassicola		კიტრის შავი ობი
CVYV	Cucumber Vein Yellowing Virus		კიტრის ძარღვების გაყვითლების ვირუსი
Pcu	Pseudoperonospora cubensis		პერონოსპოროზი (კიტრის ჭრაქი)
Co	Colletotrichum orbiculare		კიტრის ანთრაქნოზი
ZYMV	Zucchini Yellow Mosaic Virus		ყაბაყის ყვითელი მოზაიკის ვირუსი
სალათი			
LMV	Lettuce Mosaic Virus (LMV:1)		სალათის მოზაიკის ვირუსი
CMV	Cucumber Mosaic Virus		კიტრის მოზაიკის ვირუსი
Bl	Bremia lactucae (Bl:1-32)		პერონოსპოროზი (სალათის ჭრაქი)
Nr	Nasonovia ribisnigri (Nr:0)		სალათის მწვანე ბუერი
Pb P	emphigus bursarius		სალათის ფესვების ბუერი
Ss(Rs)	Rhizomonas / Sphigomonas suberficien		რიზომონია, სალათის სიღამპლე
Fol	Fusarium oxysporum f. sp. lactucae		ფუზარიოზი (შავი ფეხი)
პომიდორი			
ToMV	Tomato Mosaic Virus ToMV:0,1,2		პომიდორის (თამბაქოს) მოზაიკის ვირუსი
TSWV	Tomato Spotted Wilt Virus		პომიდორის ბრინჯაოსფერი დაფერილობა (ლაქებიანი ჭკნობა)
TYLCV	Tomato Yellow Leaf Curl Virus b		პომიდორის ფოთლის ყვითელი ნაგალობის ვირუსი
Ff	Fulvia fulva (ex Cladosporium fulvum) Ff:A-E		მურა ლაქიანობა (კლადოსპორიოზი)
Va,Vd	Verticillium albo-atrum / V. dahliae, Va:0 / Vd:0		ვერტიცილიოზური ჭკნობა
Fol	Fusarium oxysporum f. sp. lycopersici Fol:0 = F1; Fol:0,1 = F2; Fol:0,1,2 = F3		ფუზარიოზური ჭკნობა
For	Fusarium oxysporum f. sp. radices lycopersici		ფუზარიოზური სიღამპლე
On	Oidium neolyopersici (ex Oidium lycopersicum)		პომიდორის ნაცარი
Sbl S	stemphylium botryosum f.sp. ycopersici		ფოთლების რუხი ლაქიანობა (სტემფილიუმ)
Ma	Meloidogyne arenaria		ფესვის გაღებანი ნემატოდა (Meloidogyne arenaria)
Mi	Meloidogyne incognita		სამხრეთული ნემატოდა (Meloidogyne incognita)
Mj	Meloidogyne javanica		ფესვის გაღებანი ნემატოდა (Meloidogyne javanica)
Pl	Pyrenochaeta lycopersici		ფესვის გაკორპება
Si	Silvering		ფოთლების ვერცხლისფერიანობა
წიწაკა			
Tm	Tomato Mosaic Virus Tm:0,2,3		პომიდორის (თამბაქოს) მოზაიკის ვირუსი
TSWV	Tomato Spotted Wilt Virus		პომიდორის ბრინჯაოსფერი დაფერილობა (ლაქებიანი ჭკნობა)
PVY	Potato Y Virus, PVY: 0 / 0,1 / 1,2		კარტოფილის ვირუსი
Lt	Leveillula taurica		წიწაკის ნაცარი
Pc	Phytophthora capsici		წიწაკის ფიტოფტორა
კომბოსტო			
Fol	Fusarium oxysporum f. sp. lactucae		ფუზარიოზი
Vi	Verticillium longisporum		ვერტიცილიოზური ჭკნობა
Pp	Peronospora parasitica		პერონოსპოროზი (ჭრაქი)
Mb	Mycosphaerella brassicicola κ		კომბოსტოს რგოლური ლაქიანობა
ნესვი და საძირეები			
Gc (ex Ec)	Golovinomyces cichoracearum		გოგროვანთა ნაცარი
Fom	Fusarium oxysporum f. sp. Melonis		ნესვის ფუზარიოზური ჭკნობა
MNSV	Melon necrotic spot virus		ნესვის ნეკროზულია ლაქიანობების ვირუსი
Px (ex Sf)	Podoshacteria xanthii, Sphaerotheca fuliginea		ნესვის ნაცარი
Ag	Aphis gossypii		ბაღრის ბუერი
Fon	Fusarium oxysporum f. sp. niveum		ნესვის ფუზარიოზი
For	Fusarium oxysporum f. sp. radices-cucumerinum		ფესვის და თავაკის ფუზარიოზური სიღამლე
Va	Verticillium albo-atrum		ვერტიცილიოზური ჭკნობა
ისპანახი			
CMV	Cucumber Mosaic Virus		კიტრის მოზაიკის ვირუსი
Pfs	Peronospora farinosa f. sp. spinaciae		ისპანახის ჭრაქი

მცენარეთა ღვომის სიხშირე ჰა-ზე (კვების არე) (x1000)

მწკრივებს / რიგებს შორის (სმ)	მწკრივი / რიგი – მცენარეებს შორის (სმ)													
	5	10	15	20	25	30	40	50	60	70	100	125	150	200
5	4000	2000	1300	1000	800	666	500	400	333	285	200	160	133	100
10	2000	1000	666	500	400	333	250	200	166	142	100	80	66,6	50
20	10000	500	333	250	200	166	125	100	83,3	71,4	50	40	33,3	25
25	800	400	266	200	160	133	100	80	66,6	57,1	40	32	26,6	20
30	666	333	222	166	133	111	83,3	66,6	55,5	47,6	33,3	26,6	22,2	16,6
40	500	250	166	125	100	83,3	62,5	50	41,6	35,7	25	20	16,6	12,5
50	400	200	133	100	80	66,6	50	40	33,3	28,5	20	16	13,3	10
75	266	133	88,8	66,6	53,3	44,4	33,3	26,6	22,2	18	13,3	10,6	8,88	6,66
100	200	100	66,6	50	40	33,3	25	20	16,6	14,2	10	8	6,66	
150	133	66,6	44,4	33,3	26,6	22,2	16,6	13,3	11,1	9,52	6,66	5,33	4,44	3,33
200	100	50	33,3	25	20	16,6	12,5	10	8,33	7,14	5	4	33,3	2,5

This image shows a blank sheet of white paper with horizontal green ruling lines. The lines are evenly spaced and run across the width of the page, providing a guide for writing. There are no margins, text, or other markings on the paper.

This image shows a full page of blank handwriting practice paper. It features approximately 20 evenly spaced, horizontal green lines running across the entire width of the page. The background is a solid off-white color, providing a clear contrast for the green lines. There are no margins, text, or other markings present.

This image shows a full page of blank handwriting practice paper. It features approximately 28 evenly spaced, horizontal green lines running across the entire width of the page. The background is a solid off-white color, providing a clean surface for writing practice. There are no margins, text, or other markings present.

This image shows a single sheet of white paper with horizontal green ruling lines. The lines are evenly spaced and run across the width of the page. There are no margins, text, or other markings on the paper.



Sharing a healthy future

Rijk Zwaan De Lier
Burgemeester Crezélaan 40
2678 KX De Lier
The Netherlands
T +31(0)174 532 300
georgia@rijkszwaan.com

კომპანია: შპს «ნობლექსი» –
(აგროსფერო)
ს/კ: 204471561
მისამართი: კახეთის
გზატკეცილი #155 0190,
თბილისი, საქართველო
ოფისი: +995 32 2 47 30 03 / 05
აგროკონსულტაცია:
+995 32 2 500 900